

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

**თეოდორ ვიზეგრუნდ ალორცი** (1903-1969) – ებრაული წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, მუსიკის თეორეტიკოსი და კომპოზიტორი, „კრიტიკული თეორიის“ ერთ-ერთი ძირითადი წარმომადგენელი. 1920-1930-იან წლებში აქვეყნებდა მუსიკალურ კრიტიკებს და ნარკოვევებს „სოციალური კვლევის ჟურნალში“. 1938 წელს „სოციალური კვლევის ინსტუტუტის“ დირექტორის, მაქს პორკაიმერის, დახმარებით წავიდა ემიგრაციაში და „ფრანკფურტის სკოლის“ სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჯერ ნიუ იორკში, შემდეგ კი ლოს ანჯელესში მოღვაწეობდა. აქ ადორნომ პორკპაიმერთან ერთად დაასრულა „განმანათლებლობის დალექტიკა. ფილოსოფიური ფრაგმენტები“. 1949 წელს დაბრუნდა გერმანიაში, ფრანკფურტში, და, როგორც დირექტორის მოადგილემ, დიდი წვლილი შეიტანა „სოციალური კვლევის ინსტიტუტის“ ხელახლა ჩამოყალიბებაში. ადორნო მონანილეობდა 1968 წლის სტუდენტური მიძრაობის დებატებში. მისი კრიტიკა ეფუძნება ჰეგელის, კანტის, ნიცშეს, მარქსის და ფროიდის სწავლებებს, ასევე, ვენის მეორე სკოლის „ახალ მუსიკასა“ და თანამედროვე ავანგარდის ლიტერატურას. მთავარი თემებია: ბატონობა თანამედროვე საზოგადოებაში, ავტორიტარიზმი, ანტისემიტიზმი და ინდივიდის ბედნიერების რეალიზაციის შესაძლებლობის თთქმის გაუჩინარება. ადორნო თანამშრომლობდა მაქს პორკპაიმერთან, ზიგფრიდ კრაკაუერთან, ვალტერ ბენიამინთან, ედუარდ შტოიერმანთან და ალბან ბერგთან. სხვა ძირითადი შრომებია: „ნეგატიური დიალექტიკა“, „მინიმა მორალია. რეფლექსიები დაზიანებული ცხოვრებიდან“, „ახალი მუსიკის ფილოსოფია“, „ჩანაწერები ლიტერატურაზე“, „კირკეგორი“. ადორნოს გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული „ესთეტიკური თეორია“ მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ესთეტიკურ მონოგრაფიად ითვლება.

# ესთავიკური

## თაორია

თაოდორ ვ. აღორცი

მთარგმნელი და ბოლოსიტყვაობის ავტორი  
დევი დუმბაძე

თბილისი, 2019

„ესთეტიკური თეორიის“ თარგმანი, რომელიც თავად თეოდორ ვ. ადორნოს არ დაუსრულებია, შესრულებულია მისი მემკვიდრეობის საფუძველზე მომზა-დებული გერმანული გამოცემის მიხედვით:

Theodor W. Adorno, Ästhetische Theorie. In: Gesammelte Schriften. Herausgegeben von Rolf Tiedemann unter Mitwirkung von Gretel Adorno, Susan Buck-Morss und Klaus Schulz, Band 7, © Suhrkamp Verlag Frankfurt am Main 1966, 1967, 1970, 1973. All rights reserved by and controlled through Suhrkamp Verlag Berlin.

ნაშრომის თარგმანს გრანტით მხარი დაუჭირა გოეთეს ინსტიტუტმა, რომელსაც აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.



The translation of this work was supported by a grant from Goethe-Institut which is funded by the German Ministry of Foreign Affairs

თარგმანი შესრულებულია პაულ ცელანის მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ასპონსორებს ვენის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი და ვენის ERSTE ფონდი.

Translation made possible with the support of the Paul Celan Translation Program, sponsored by the Institute for Human Sciences, Vienna, and ERSTE Foundation, Vienna



Institut für die Wissenschaften vom Menschen  
Institute for Human Sciences

მთარგმნელი და გამომცემელი: დევი დუმბაძე  
რედაქტორი: რუსუდან ასათიანი  
ყდის დიზაინი: ანი ასათიანი  
დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

ყველა უფლება დაცულია  
პირველი გამოცემა, 2019

ISBN 978-9941-8-2394-7

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., დევი დუმბაძე, 2019  
© Sa.Ga. Publishing for Society, Devi Dumbadze, 2019

[www.sa-ga.org](http://www.sa-ga.org)

## სარჩევი

ესთეტიკური თეორია.....	9
ხელოვნება, საზოგადოება, ესთეტიკა.....	11
ხელოვნების თავისთავადი სიცხადე დაკარგულია 11 – საწყისის საკითხის საწინააღმდეგოდ 12 – ჭეშმარიტების შიდაარსი და ნაწარმოებების სიცოცხლე 14 – ხელოვნების და საზოგადოების მიმართების შესახებ 15 – ხელოვნების ფსიქო-ანალიტიკური თეორიის კრიტიკა 19 – კანტის და ფრონტის ხელოვნების თეორიები 21 – „ხელოვნებით ტკბობა“ 25 – ესთეტიკური ჰედონიზმი და შემეცნების ბედნიერება 27	
სიტუაცია .....	28
მასალების ხრწნა 28 – ხელოვნების განხელოვნება; კულტურის ინდუსტრიის კრიტიკის შესახებ 29 – ტანჯვის ენა 32 – ახალის ისტორიის ფილოსოფია 32 – ინგარისანტულობის პრობლემის შესახებ; ექსპერიმენტი (I) 37 – ‘იზმების’ დაცვა 39 – ‘იზმები’ როგორც სეკულარიზებული სკოლები 39 – შექმნადობა და შემთხვევითობა; მოდერნი და ხარისხი 41 – „მეორადი რეფლექსია“ 41 – ახალი და ხანგრძლივობა 42 – ინტეგრაციის დიალექტიკა და „სუბიექტური წერტილი“ 44 – ახალი, უტოპია, ნეგატიურობა 48	
მოდერნული ხელოვნება და ინდუსტრიული წარმოება 49 – ესთეტიკური რაციონალობა და კრიტიკა 50 – აკრძალვების კანონიკა 52 – ექსპერიმენტი (II); სერიოზულობა და უპასუხისმგებლობა 53 – შავბნელის იდეალი 56 – ტრადიციასთან მიმართება 57 – სუბიექტურობა და კოლექტივი 58 – სოლიფსიზმი, მიმეტური ტაბუ, სრულწლოვანება 59 – „ოსტატობა“ 60 – გამოხატულება და კონსტრუქცია 61	
უმნის, მშვენიერისა და ტექნიკის კატეგორიების შესახებ .....	63
უშნოს კატეგორიის შესახებ 63 – სოციალური ასპექტი და უშნოს ისტორიის ფილოსოფია 66 – მშვენიერის ცნების შესახებ 69 – მიმეზისი და რაციონალობა 72 – კონსტრუქციის ცნების შესახებ 76 – ტექნოლოგია 78 – ფუნქციონალიზმის დიალექტიკა 81	
ბუნების მშვენიერი .....	82
განაჩენი ბუნების მშვენიერის შესახებ 82 – ბუნების მშვენიერი როგორც „გარეთ გასვლა“ 83 – კულტურული ლანდშაფტის შესახებ 85 – ბუნების და ხელოვნების მშვენიერი გადაჯაჭვულად 87 – ბუნების გამოცდილება, ისტორიულად დეფორ-	

მირებული 89 – ესთეტიკური აღქმა ანალიტიკურად 91 – ბუნების მშვენიერი როგორც შეჩერებული ისტორია 92 – განსაზღვრული განუსაზღვრებადობა 93 – ბუნება როგორც შერიგებულის შიფრი 95 – ჰეგელის ბუნების მშვენიერის კრიტიკის მეტაკრიტიკა 97 – ბუნების მშვენიერიდან ხელოვნების მშვენიერზე გადასვლა 100

მავინდი ხელოვნებაში: „APPARITION“, გასულიერება, მჟღაფილობითობა . . . . . 101

„მეტი“ როგორც მოჩვენება 101 – ესთეტიკური ტრანსცენდენცია და განჯადოება 102 – განმანათლებლობა და ძროლლა 103 – ხელოვნება და ხელოვნებისთვის უცხო 105 – არარსებული 106 – გამოსახულებითი ხასიათი 108 – „აფეთქება“ 109 – გამოსახულებების შიდაარსები კოლექტიურად 110

ხელოვნება როგორც სულიერი 111 – ნაწარმოებების იმანენტურობა და ჰეტეროგენული ელემენტი 113 – ჰეგელის სულის ესთეტიკის შესახებ 115 – გასულიერების დიალექტიკა 117 – გასულიერება და ქაოტური ელემენტი 120 – ხელოვნების მჭვრეტელობითობა აპორიულად 120 – მჭვრეტელობითობა და ცნებითობა; ნივთიერი ხასიათი 124

მოჩვენება და გამოხატულება . . . . . 127

მოჩვენების კრიზისი 127 – მოჩვენება, საზრისი, „tour de force“ 132 – მოჩვენების სსნის შესახებ; ჰარმონია და დისონანსი 135 – გამოხატულება და დისონანსი 139 – სუბიექტ-ობიექტი და გამოხატულება 140 – გამოხატულება როგორც ენობრივი ხასიათი 141 – ბატონობა და ცნებითი შემეცნება 142 – გამოხატულება და მიმეზისი 143 – შიდაწიალის დიალექტიკა; გამოხატულების აპორიები 145

გამოცანის ხასიათი, ჟუმარიტების შიდაარსი, მეტაფიზიკა . . . . . 148

მითოსის კრიზიკა და ხსნა 148 – მიმეტური და სულელური 148 – *Cui bono* 150 – გამოცანის ხასიათი და გაგება 150 – „არაფერი გარდაუსახველად“ 153 – გამოცანა, დამწერლობა, ინტერპრეტაცია 155 – ინტერპრეტაცია როგორც მიბაძვა 156 – „ბლოკი“ 157 – გაწყვეტილი ტრანსცენდენცია 158 – გამოცანის ხასიათი, ჭეშმარიტების შიდაარსი, აპსოლუტი 158

ხელოვნების ნაწარმოების ჭეშმარიტების შიდაარსის შესახებ 159 – ხელოვნება და ფილოსოფია; ხელოვნების კოლექტიური შიდაარსი 162 – ჭეშმარიტება როგორც არამოჩვენებითის მოჩვენება 163 – მომაკვდინებელთან მიმეზისი და შერიგება 165 – მეთექსისი საშინელში 167

სიმცყობრე და საზრისი . . . . . 168

ლოგიკურობა 168 – ლოგიკა, მიზეზობრიობა, დრო 170 – მიზანშეწონილობა მიზნის გარეშე 172 – ფორმა 173 – ფორმა და შინაარსი 177 – არტიკულაციის ცნება (I) 180 –

მასალის ცნების შესახებ 182 – მატერიის ცნების შესახებ; განზრახვა და შიდაარსი 183 განზრახვა და საზრისი 185 – საზრისის კრიზისი 187 – ჰარმონიის ცნება და დახურულობის იდეოლოგია 192 – ჰოყოფა 195 – კლასიციზმის კრიტიკა 197

## სუპიექტური ..... 199

სუპიექტური და ოპიექტური ეკვივოკაციურად; ესთეტიკური გრძნობის შესახებ 199 – კანტის ოპიექტურობის ცნების კრიტიკა 201 – სათუო ბალანსი 203 – ენობრივი ხასიათი და კოლექტიური სუპიექტი 204 – სუპიექტ-ოპიექტის დაალექტიკის შესახებ 206 – „გენია“ 207 – ორიგინალობა 210 – ფანტაზია და რეფლექსია 211 – ოპიექტურობა და განივთება 213

## ხელოვნების ნაცაროვების თეორიის შესახებ ..... 214

ესთეტიკური თეორია პროცესუალურად; ნანარმოების პროცესუალური ხასიათი 214 – წარმავლობა; არტეფაქტი და გენეზისი 217 – ხელოვნების ნანარმოები, როგორც მონადა, და იმანენტური ანალიზი 218 – ხელოვნება და ხელოვნების ნანარმოებები 220 – ისტორია კონსტიტუციური თვალსაზრისით; „გაგებადობა“ 222 – ოპიექტივაციის იძულება და დისოციაცია 223 – ერთიანობა და მრავალი 226 – ინტენსიურობის კატეგორია 227 – „თუ რა საფუძვლით ეწოდება ნანარმოებს მშვენიერო“ 228 – „სიღრმე“ 230 – არტიკულაციის ცნება (II) 231 – პროგრესის დიფერენციაციის შესახებ 232 – სანარმოო ძალების გაშლა 233 – ნანარმოებების ცვლილება 234 – ინტერპრეტაცია, კომენტარი, კრიტიკა 235 – ჭეშმარიტების შიდაარსი ისტორიულად 236 – ამაღლებული ბუნებასა და ხელოვნებაში; ამაღლებული და თამაში 240

## ზოგადი და კერძო ..... 241

ნომინალიზმი და უანრების განადგურება 241 – ანტიკურობის უანრების ესთეტიკის შესახებ 245 – შეთანხმებების ისტორიის ფილოსოფიის შესახებ 246 – სტილის ცნების შესახებ 248 – ხელოვნების პროგრესი 251 – ხელოვნების ისტორია არაპომოგენურად 252 – პროგრესი და მასალის ფოლობა 254 – „ტექნიკა“ 257 – ხელოვნება ინდუსტრიულ ეპოქაში 261 – ნომინალიზმი და ღია ფორმა 265 – კონსტრუქცია; სტატიკა და დინამიკა 267

## საზოგადოება ..... 271

ხელოვნების ორმაგი ხასიათი: *fait social* და ავტონომია; ფეტიშის ხასიათის შესახებ 271 – რეცეფცია და წარმოება 274 – მატერიის შერჩევა; ხელოვნებისეული სუპიექტი; მეცნიერებათან მიმართება 276 – ხელოვნება როგორც ქცევის წესი 279 – იდეოლოგია და ჭეშმარიტება 280 – „დანაშაული“; მოწინავე ხელოვნების რეცეფციის შესახებ 282 – ხელოვნების და საზოგადოების გაშუალება 284 –

კათარზისის კრიტიკა; კიტჩი და ვულგარული ელემენტი 286 – პრაქტიკასთან დამოკიდებულება; ზემოქმედება, განცდა, „შეძრნუნება“ 290 – ანგაუირებულობა 296 – ესთეტიზმი, ნატურალიზმი, ბეკეტი 298 – ადმინისტრირებული ხელოვნების წინააღმდეგ 301 – ხელოვნების შესაძლებლობა დღეს 302 – ავტონომია და ჰეტერონომია 303 – პოლიტიკური ოფცია 305 – პროგრესი და რეაქცია 308 – ხელოვნება და ფილოსოფიის სიღატაკე 310 – ობიექტის უპირატესობა და ხელოვნება 310 – სოლიფსიზმის პრობლემა და მცდარი შერიგება 311

პარალიკომენა .....	315
თეორიები ხელოვნების საწყისის შესახებ 392	
 ადრინდელი შესავალი .....	401
ტრადიციული ესთეტიკის მოძველებული ელემენტი 403 – მიამიტობის ფუნქციის შეცვლა 407 – ტრადიციული ესთეტიკის და თანამედროვე ხელოვნების შეურიგებადობა 410 – ჭეშმარიტების შიდაარსი და ხელოვნების წარმოების ფეტიშიზმი 413 – ესთეტიკის იძულება 414 – ესთეტიკა როგორც მეტაფიზიკის თავშესაფარი 416	
ესთეტიკური გამოცდილება როგორც ობიექტური გაგება 419 – წარმოების იმანენტური ანალიზი და ესთეტიკური თეორია 422 – ესთეტიკური გამოცდილების დიალექტიკის შესახებ 423 – ზოგადი და კერძო 424 – საწყისის ფენომენოლოგიური კვლევის კრიტიკა 426 – ჰეგელის ესთეტიკასთან დამოკიდებულება 426 – ესთეტიკის ღია ხასიათი; ფორმის და შინაარსის ესთეტიკა (I) 428 – ფორმის და შინაარსის ესთეტიკა (II); ნორმები და ლოზუნგები 431	
მეთოდოლოგია, „მეორადი რეფლექსია“, ისტორია 432	
 გერმანულ გამომცემულთა პოლიტიკა .....	437
 მთარგმნელის პოლისიტიკამა: დევი დუმბაძე, ხელოვნება და ხსნა. თეოდორ 3. ადორნოს „ესთეტიკური თეორია“ .....	445

## වස්තාපිකුණු තාමරියා



თავისთავად ცხადი გახდა, რომ აღარაფერია თავისთავად ცხადი ხელოვნების შესახებ: არც თავად მასში, არც მის მიმართებაში მთელთან, თვით მისი არსებობის უფლებაც. დაიკარგა რეფლექსისა და პრობლემატიზების გარეშე კეთებადი, თუმცა ეს სულაც არ ანაზღაურდება შესაძლებლად ქცეულის ღია უსასრულობით, თითქოს რეფლექსისა თვალწინ რომ გადაეშლება. გაფართოება მრავალი განზომილებით შევიწროებად მუდავნდება. იმ უხილავის ზღვას, რომელშიც ხელოვნების რევოლუციურმა მოძრაობებმა 1910-იან წლებში გაბედეს გაჭრა, თავგადასავალთა აღთქმული ბედნიერება არ მოუტანია. პირიქით, ამ პერიოდში გამოწვეულმა პროცესმა სწორედ ის კატეგორიები გახრმნა, რიმელთა სახელითაც წამოიწყეს ის. სულ უფრო და უფრო მეტს ითრევდა ახლად ტაბუირებულის მორევა. ხელოვანები ყველაგან არა იმდენად თავისუფლების ახლადმოპოვებულ სუფლის შეჰეროდნენ, რამდენადაც, უმალ, კვლავაც სავარაუდო და არცთუ უფრო მდგრადი წესრიგისკენ ლტოლვა იწყეს. ხელოვნება დღემდე ყოველთვის კერძო სფეროდ რჩებოდა; აბსოლუტური თავისუფლება მასში მთელში არათავისუფლების გამარადისებულ მდგომარეობას ეწინააღმდეგება. სწორედ მთელში იქცა ხელოვნების ადგილი საეჭვო. ავტონომია ხელოვნებამ მას შემდეგ მოიპოვა, რაც საკუთარი საკულტო ფუნქცია, ყველა ასლითურთ, მომწორა, რასაც ჰუმანურობის იდეა ასაზრდოებდა. ეს იდეა კი მით უფრო შეირყა, რაც უფრო ნაკლებად ჰუმანური ხდებოდა საზოგადოება. ხელოვნებისთვის ადამიანურობის იდეალისგან რგუნებული საკუთარი მაკონსტიტუციებელი ელემენტები თავად ხელოვნების მოძრაობის კანონმა გააუფერულა. სავარაუდოდ, მისი ავტონომია შეუქცევადი რჩება. ნებისმიერი მცდელობა, მას საზოგადოებრივი ფუნქციით აუნაზღაურდეს ის, რაშიც მას ეჭვი ეპარება და რის მიმართ ეჭვის გამოხატულებაც თავად არის, მარცხით დასრულდა. ამავე დროს, ავტონომიაში სიბრმავის მომენტიც გამოაშკარავებას იწყებს, რომელიც ხელოვნებას აღითვან ახასიათებდა, საკუთარი ემანსიპაციის ეპოქაში კი ყველა დანარჩენ მომენტს ჩრდილავს, ისეთი დაკარგული მიამიტობის მოუხედავად – თუ არა სწორედ მის შედეგად –, რომლისგან გაქცევაც ხელოვნებას უკვე აღარ ეპატიება, როგორც ამას უკვე ჰეგელი სწვდა. ეს კი მეორე ხარისხის მიამიტობას უკავშირდება: ესთეტიკურ 'რისთვის?' -ში დაეჭვებას. საეჭვოა, რჩება თუ არა ხელოვნება საერთოდ კვლავაც შესაძლებელი. ხომ არ გამოუთხარა მან სრული ემანსიპაციის შედეგად საკუთარ წინაპირობებს ძირი და დაკარგა ისინი. ასეთ კითხვას ის აღანთებს, რაც ხელოვნება ოდესლაც იყო. ხელოვნების ნაწარმოებები ემპირიული სამყაროს ფარგლებს სცდებიან და მასთან დაპირისპირებულ, საკუთარი არსის მქონე სამყაროს ქმნიან ისე, თითქოს ისიც არსებული იყოს. ამით კი ნაწარმოებები აპრიორი ჰოყოფისკენ მიღრეკილებას იჩენენ, რაც არ უნდა ტრაგიკულად მოგვარევუნებდნენ თავს. კლიშეები ისეთი შემრიგებლური ნათების შესახებ, რომელიც თითქოს ხელოვნებიდან უკვე სინამდგილესაც უნდა გადასწვდებოდეს, ამაზრზენია. და ეს

არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელოვნების ნამდვილი ცნების ბურჟუაზიული პრეპარაციით მის პაროდიირებას ახდენენ, რადგან ხელოვნებას ნუგეშის მომგვრელ საკვირაო ღონისძიებათა რიგში ამწესებენ, არამედ, ასევე, რადგან ასეთი კლიმები ხელოვნების ჭრილობას აღიზიანებენ. ხელოვნების თეოლოგიისგან, ხსნის ჭეშმარიტების უსაზღვრო მოთხოვნისგან, განდგომა გარდაუვალია; ამის გარეშე ის ვერ გაიშლებოდა. თუმცა, შედეგად ხელოვნება თავს სწირავს მხოლოდ არსებულის და სახეზე მყოფის ნუგეშისცემად ყოფნაზე. ეს კი, ვინაიდან სხვის იმედი გაცრუვდა, ასევე იმის მოჯადოებას აძლიერებს, რისგან გათავისუფლებასაც ესწრაფვის ხელოვნების ავტონომია. ასეთ ნუგეშისცემად ყოფნის ეჭვს თავად ავტონომიის პრინციპი იწვევს: ის იჩემებს, რომ მთელს როგორც დამრგვალებულს, საკუთარ თავში დასრულებულს თავად საკუთარი თავით ადგენს, ეს სახე კი შემდეგ ისეთ სამყაროზე ვრცელდება, რომელშიც თავად ხელოვნებაც არსებობს და მასაც ნარმობობს. ემპირიის უკუგდება ხელოვნების ცნების განუყოფელი ნაწილია, უბრალო *escape* კი არა, არამედ ხელოვნების იმანენტური კანონია. თუმცა, შედეგად ხელოვნება ემპირიის ბატონობის სანქციონირებას ახდენს. ჰელმუტ კუნძა ერთ-ერთ გამოკვლევაში, ხელოვნების სადიდებლად მას დაუდასტურა, რომ თითოეული ხელოვნების ნანარმობები ხოტბაა.<sup>1</sup> მისი თეზისი ჭეშმარიტი იქნებოდა, კრიტიკულად რომ ყოფილიყო განზრაბული. იმის პირისპირ, რადაც რეალობა გადაიზარდა, ხელოვნების აფირმაციული არსი – მისი გარდაუვალი მომენტი – გაუსაძლიის გახდა. ის საკუთარი ცნების შიდაარსს უნდა დაუპირისპირდეს, ამის შედეგად კი თავად სათუო ხდება, უღრმესი ბოჭკოების ჩათვლით. თუმცა, აბსტრაქტული ნეგაციით ხელოვნების თავიდან მოშორება შეუძლებელია. ხელოვნება იმას უტევს, რასაც მთელი ტრადიცია როგორც საკუთარ ქენაფენ ქანს გარანტირებულად მიიჩნევდა, ამით კი თვისებრივად იცვლება: თავად იქცევა სხვად. ამის უნარი ხელოვნებას იმის გამო შესწევს, რომ საკუთარი ფორმით ყოველთვის უბრალოდ არსებულსა და სახეზე მყოფს უპირისპირდებოდა და იმავდროულად როგორც არსებულისა და სახეზე მყოფის მომენტების გაფორმება, მას დახმარების ხელსაც უწვდიდა. ხელოვნების როგორც ნუგეშისცემის, ისე საპირისპიროს ზოგად ფორმულაზე დაყვანა თანაბრად შეუძლებელია.

ხელოვნება საკუთარ ცნებას მომენტების ისტორიულად ცვალებად კონსტელაციაში ფლობს; დეფინიციისათვის ის ხელმისურველობია. შეუძლებელია მისი არსის საწყისიდან გამოყვანა, თითქოს პირველადი ის ქენაფენი ქანი იყოს, რომელზეც ყოველივე მომდევნო დაშენდება და რომლის შერყვევისთანავე ჩამოიშლებოდა. ის, რომ პირველი ხელოვნების ნანარმობები უმაღლესი და უწმინდესია, ყველაზე გვიანდელი რომანტიკა; არაანაკლები სამართლიანობით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ უადრესი ხელოვნებისმიერი ქმნილები, მაგიური პრაქტიკების, ისტორიული დოკუმენტაციის და ისეთი პრაგმატული მიზნებისაგან განუყოფელები, როგორიცაა შეძახილებით თუ ჩაბერილი ბგერებით დიდ მანძილებზე ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენა, ამღვრეული და უწმინდურია; ასეთ არგუმენტებს კლასიცისტური კონცეფცია სიამოვნებით მიმართავს. უხეშად ისტორიულად, მონაცემები ბინდ-ბუნდში იკარგება.<sup>2</sup> თუ ხელოვნების ისტორიული გენეზისის ონტო-

1 იხ. Helmut Kuhn, Schriften zur Ästhetik, München 1966, გვ. 236 და შმდ.

2 იხ. ქვემოთ ექსკურსი „თეორიები ხელოვნების საწყისის შესახებ“, გვ. 392 და შმდ. (გერმ. გამომც. შენ.)

አዲስበደገባለሁ የዕስታዎች



ფილოსოფიური ესთეტიკის ცნება, სისტემის ან ზნების ცნების მსგავსად, მოძველებული ჩანს. ასეთი გრძნობა მხოლოდ მხატვრული პრაქტიკით და ესთეტიკური თეორიის მიმართ საჯარო გულგრილობით არ ამოინურება. თავად აკადემიურ წრებშიც უკვე ათწლეულებია, რაც შესაბამისი პუბლიკაციები აშეარად კლებულობს. ერთ-ერთი ახალი ფილოსოფიური ლექსიკონი აღნიშნავს: „სავარაუდო, არცერთი სხვა ფილოსოფიური დარგი არ დგას ესთეტიკაზე უფრო მერყეო წინაპირობებზე. ფლიუგერივით მას ‘აქეთ-იქით მიმოისცრის ქარის ყოველი რხევა ფილოსოფიის, კულტურისა თუ მეცნიერების თეორიის სფეროში. ესთეტიკა ხან მეტაფიზიკური, ხან კი ემპირიული მეთოდით ხელმძღვანელობს, ხან ნორმატიულია, ხან დესკრიფიული, ხან ხელოვანს ეყრდნობა, ხან ხელოვნების მოყვარულ; თუ ის დღეს ესთეტიკური სფეროს ცენტრად ხელოვნებას აცხადებს და ბუნებრივ მშვენიერებას მხოლოდ წინასაფეხურად განიმარტავს, ხვალ უკვე ხელოვნების მშვენიერებაში მხოლოდ მეორადი მოხმარების ბუნებრივ მშვენიერებას პოულობს.“<sup>1</sup> ასე აღნერს მორიც გაიგერი მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან დამახასიათებელ დილემას. თუმცა, ხშირად თავად ბოლომდე ჩამოყალიბებელი ესთეტიკური თეორიების პლურალიზმს ორმაგი საფუძველი აქვს: ერთი მხრივ, ხელოვნების ზოგადად ფილოსოფიური კატეგორიების სისტემით წვდომის პრინციპული სირთულე, მეტიც, შეუძლებლობა; მეორე მხრივ, ესთეტიკური დებულებების ტრადიციულად მათოვის წამდვარებული შემცნების თეორიის პოზიციებზე დამოკიდებულება. შემცნების თეორიის პრობლემატიკა უშუალოდ ესთეტიკაში მეორდება, რადგან საკითხი, თუ როგორ შეძლებს ესთეტიკა საკუთარი საგნების განმარტებას, დამოკიდებულია იმაზე, თუ პრინციპულად საგნის რა ცნებას ეყრდნობა. თუმცა, ასეთ ტრადიციულ დამოკიდებულებას თავად საგანი გვეარნახობს და უკვე ტერმინოლოგიაშიც მოცემულია<sup>2</sup>.<sup>1</sup> ასეთი დახასიათება არსებულ მდგომარეობას ადეკვატურად აღნერს, თუმცა საკმარისად არ ხსნის. სხვა ფილოსოფიური განშტოებები, შემცნების თეორიის და ლოგიკის ჩათვლით, არანაკლებ საკამათოა, მაგრამ მათ მიმართ ინტერესი ასევე შენელებული როდია. სასონარკვეთას სწორედ დარგის განსაკუთრებული მდგომარეობა ინვევს. კროჩემ ესთეტიკურ თეორიაში რადიკალური წინასალიზმი შემოიტანა. დაახლოებით იმავე პერიოდში, მნიშვნელოვანი კონცეფციები ეგრეთ წინდებულ პრინციპის საკითხებს დაშორდნენ და თავისებურ ფორმალურ პრობლემებსა და მასალებს ჩაუდრმავდნენ. ვახსენოთ ლუკარჩის თეორია რომანის შესახებ, ბერნამინის ემფატიკური გამოკვლევის სახით ჩამოყალიბებული „შერჩევითი ნათესაობების“ კრიტიკა და მისივე „გერმანული ტრაუერშპილის საწყისი“. თუ ეს უკანასკნელი ნაშრომი, სიღრმისეული აზრით, კროჩეს ნომინალიზმს იცავს,<sup>2</sup> ამის შედეგად ის ცნობიერების ისეთ მდგომარეობასაც უწევს ანგა-

1 Ivo Frenzel, [Artikel] Ästhetik, in: Philosophie, hg. von A. Diemer und I. Frenzel, Frankfurt a. M. 1958 (Das Fischer Lexikon, ტ. 11), გვ. 35.

2 იბ. Walter Benjamin, Ursprung des deutschen Trauerspiels, დასახ. ნაშრ., გვ. 26 და შმდ.

რიშს, რომელიც ესთეტიკის ტრადიციულ ცენტრალურ საკითხებზე, განსაკუთრებით, მეტაფიზიკური შიდაარსის შესახებ, უკვე არა ზოგადი პრინციპების საფუძველზე იმედოვნებს პასუხების მიღებას, არამედ მხოლოდ სხვა შემთხვევებში უბრალოდ მაგალითების სტატუსის მქონე პრობლემებიდან. ფილოსოფიური ესთეტიკა სულელურ და ტრივიალურ ზოგადობასა და თვითნებურ, მეტნილად შეთანხმებებზე დაფუძნებული, ნარმოდენებიდან გადმოღებულ მსჯელობებს შორის საბედისნერო ალტერნატივაში ექცევა. ჰეგელის პროგრამა, აზროვნება არა ზემოდან, არამედ ფენომენისთვის ფეხის აბმით განხორციელდეს, ესთეტიკაში პირველად ნომინალიზმის შედეგად შეიმჩნევა, რომლის პირისპირ თავად ჰეგელის ესთეტიკამ, საკუთარი კლასიცისტური კომპონენტების შესაბამისად, გაცილებით უფრო მეტი აბსტრაქტული მუდმივები შეინარჩუნა, ვიდრე ეს დიალექტიკურ მეთოდთან შეთავსებადი იქნებოდა. ასეთმა შედეგმა იმავდროულად კითხვის ჭვეშდააყენა, კვლავაც რჩება თუ არა ესთეტიკური თეორია შესაძლებელი ტრადიციულის სახით. ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები, მეტიც, საერთოდ მშვენიერების ნებისმიერი გამოცდილება, კონკრეტულის იდეას უკავშირდება; ის არ გვაძლევს უფლებას, ხელოვნების გარჩევისას, განსაზღვრულ ფენომენებს ისევე დავშორდეთ, როგორც ეს – და ერთობ მცდარადაც – ფილოსოფიურ კონსენსუსს შემეცნების თეორიის თუ ეთიკის სფეროში, რა ხანია, შესაძლებლად მიაჩნდა. საზოგადოდ, ესთეტიკურად კონკრეტულის მოძღვრებას აუცილებლობით ყურადღებიდან გამორჩებოდა ის, რითიც დაინტერესებას მას თავად საგანი აიძულებს. ესთეტიკის დრომოქმულობის საფუძველიც ის არის, რომ ის ასეთ ვითარებას თვალს არ უსწორებს. ესთეტიკა საკუთარი ფორმით თითქოს ვალდებულია ზოგადობას ესწრაფოდეს; ასეთი ზოგადობა კი ხელოვნების ნაწარმოების მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულებით და, ამის შემაგებად, მარადისობის ნარმავალი ღირებულებების შემოტანით სრულდება. ესთეტიკის მიმართ არსებული აკადემიური უნდობლობა თავად ესთეტიკის იმანენტურ აკადემიზმს ეფუძნება. ესთეტიკური საკითხებით დაუინტერესებლობის მოტივი კი, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების ნებისმიერ არასანდო თუ საკამათო ელემენტის მიმართ ინსტიტუციონალიზებული შემიზია და სულაც არა – პროვინციალიზმის, საკითხების საკუთარ საგანთან შედარებითი ჩამორჩენილობის მიმართ. ყოვლისმომპველ და კონტემპლაციურ განწყობას ესთეტიკას მეცნიერება აკისრებს; ამავე დროს, ასეთი განწყობა მოწინავე ხელოვნებასთან შეურიგებადად იქცა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, კაფუასთან, კონტემპლაციურ დამოკიდებულებას თითქმის ველარც გულობს.<sup>3</sup> შედეგად ესთეტიკა დღეს იმთავითვე ემიჯინება საკუთარ გასარჩევ საგანს; უბრალოდ მაყურებლის ტკბობის, მხოლოდ გემრიელის ეჭვსაც კი იწვევს. კონტემპლაციური ესთეტიკა უნებლივთ საკუთარ კრიტერიუმად სწორედ გემოვნებას წაიმდგარებს, რომლის საშუალებითაც მტკრეტელი, დაშორებული პოზიციიდან არჩევანს რომ აკეთებს, ნაწარმოებებს უპირისპირდება. მტკრეტელი, საკუთარი სუბიექტი-ვისტური შეზღუდულობის შედეგად, თავის მხრივ, თეორიულ რეფლექსის ითხოვს; ამასთან, არა მხოლოდ უახლესი მოდერნის წინაშე განიცდის მარცხს, არამედ, სავარაუდოდ, უკვე რა ხანია, საზოგადოდ ნებისმიერი პერიოდის მოწინავე ნაწარმოების წინაშეც. ჰეგელის მიერ ესთეტიკური გემოვნების მსჯელობის ადგილას

3 n.b. Theodor W. Adorno, Prismen, დასახ. ნაშრ., გვ. 304.

თავად საგნის დასმის მოთხოვნა<sup>4</sup> ამას წინასწარმეტყველებდა; თუმცა, ამის გამო, ჰეგელს გულგრილი მაყურებლის გემოვნებით დაობებული განწყობა მაინც არ მიუტოვებია. ამის საშუალებას ჰეგელს საკუთარი სისტემა აძლევდა, რომელიც შემეცნებას იქაც კი ნაყოფიერად ასულიერებს, სადაც საკუთარ ობიექტებს ზედმეტად შორდება. ჰეგელი და კანტი უკანასკნელები იყვნენ მათ შორის, ვისაც, უზემად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ შეეძლო დიდებული ესთეტიკის ისე ჩამოყალიბება, რომ თავად ხელოვნების არაფერი ესმოდა. ეს მანამ რჩებოდა შესაძლებელი, სანამ ხელოვნება, თავის მხრივ, ასევე ყოვლისმომცველ ნორმებზე იყო ორიენტირებული, რომელიც ინდივიდუალურ წარმოებში კითხვის ქვეშ კი არ დგებოდნენ, არამედ მხოლოდ წარმოების იმანენტურ პრობლემატიკაში უფრულდებოდნენ. სავარაუდოდ, არასოდეს არსებულა რაიმე სახით მაინც მნიშვნელოვანი წარმოები, რომელიც საკუთარი აღნაგობით ხსენებულ ნორმებს არ გვიზიარებდა და ამის საშუალებით მათ, ასევე, ვირტუალურად არ ცვლიდა. ნორმები უბრალოდ კი არ გაუქმდნენ, არამედ მათში ისეთი ელემენტი არსებობდა, რომელიც ინდივიდუალური წარმოებების ფარგლებს გარეთ გადიოდა. ამდენად, დიდებული ფილოსოფიური ესთეტიკები ხელოვნებასთან შეთანხმებულნი რჩებოდნენ და მის უქვეყლ ზოგად მომენტს, ასევე, ცნების საშუალებით გამოხატავდნენ, რაც სულის ისეთ მდგომარეობას შეესაბამებოდა, როცა ფილოსოფია და სულის სხვა აღნაგობანი, მათ შორის, მაგალითად, ხელოვნება, ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან მოწყვეტილი არ იყო. რადგან ფილოსოფიასა და ხელოვნებაში ერთი და იგივე სული ბატონობდა, ფილოსოფიას ხელოვნების სუბსტანციურად განხილვის საშუალება ეძლეოდა ისე, რომ წარმოებებს არ მისდევდა. რასაკვირველა, ფილოსოფიები გამუდმებით მარცხდებოდნენ ხელოვნების და საკუთარი ზოგადი განსაზღვრებების არაიგივეობით მოტივირებული ისეთი მცდელობებისას, როცა ხელოვნების სპეციფიკაციები აუცილებლად უნდა გააზრებულიყო. სპეციულაციური იდეალიზმის წარმომადგენლები უცელაზე სამარცხვინო შეცდომებს სწორედ ასეთ შემთხვევებში უშვებდნენ. რადგან კანტის აპოსტერიორის აპრიორად დამტკიცების მცდელობა არ მოეთხოვებოდა, მას ასეთი შეცდომაც წაკლებად ემუქრებოდა. კანტი მხატვრულად სწორედ იმ მეთვრამეტე საუკუნეში გამომწყვდეული დარჩა, რომელსაც, ფილოსოფიურად, უყოფს უნდებდა; ამდენად, იგი, ჰეგელის მსგავსად, ხელოვნებისთვის უცხო მტკიცებებით თავს არ იშიშვლებდა.<sup>5</sup> თვით უფრო გვიან-

4 ib. Hegel, დასახ. ნაშრ., 1-ლი წარმო, გვ. 43 და შედ.

5 მოწონების შესახებ მოძღვრებას კანტის ესთეტიკის ფორმალური სუბიექტივიზმი განაპირობებს. განვითარება ამისა, ასეთი ესთეტიკის სტრუქტურული საზღვარი კვეთაზე თვალსაჩინოდ იმ მცდელობრივი კვლებების არა ხელოვნებას. კანტის ეპოქის ხელოვნება, რომელსაც იგი თავად ფილოსოფიურად მოსაზღვრდა, იმით ხასიათდება, რომ, მართალია, ამაღლებულის იდეალს იცავს, მაგრამ კანტის გაგებაზე ორიენტირებული არ არს და, სავარაუდოდ, ზუსტად არც მის მსჯელობას იცნობს; უპირველეს ყოვლისა, ეს ბერძოვების ეხება, რომელსაც, სხვათა შორის, თვითი ჰეგელიც კი არ ასენებს. ამავე დროს, ისტორიული საზღვარი წარსულის მიმართაც ივლებოდა ისეთი ეპოქის სულისკვეთებით, რომელსაც ბარიკოდა ყველაზე მაღალი ის, რაც რენესანსში მისკენ ილტონდა, უალოუეს წარსულის სახით სტულდა. ლრმად პარადიგმუსულია, რომ კანტი არსად არ უაღლოვდება ახალგაზრდა გოეთეს და ბურჟუაზიულ რევოლუციურ ხელოვნებას უფრო მეტად, ვიდრე ამაღლებულის საკუთარ აღწერაში. ამ ახალგაზრდა პოლტებმა, კანტის ეპოქის თანამედროვეებმა ისევე, როგორც თავდებული ბუნების გამოცდილება მოპოვეს და, რამდენადც მათ ფერიშებულებას სიტყვებიც მოუნახეს, ამაღლებულის გრძნობა უფრო როგორც მხატვრული გამოსახულება და არა ზნეობრივი არსის მქონე გაამართლეს. „უდრევი,

დელ, რადიკალურად მოდერნულ შესაძლებლობებსაც კი კანტმა უფრო მეტი ასპარეზი დაუტოვა, ვიდრე ჰეგელმა, თუმცა ჰეგელი ხელოვნებას მით უფრო დიდი შემართებით უდგებოდა.<sup>6</sup> ორივეს შემდეგ კი ნატიფი თეორეტიკოსები ჰეგელის მიერ პოსტულირებულ თავისთავად საგანსა და ცნებას შორის მანკიერ შუალედში გაჩერდნენ. მათ ხელოვნების მიმართ კულინარიული დამიკიდებულება და ხელოვნების კონსტრუქციის უძლურება ერთმანეთთან გააიგივეს. გეორგ ზიმელი, ესთეტიკური ინდივიდუალურისკენ გადამწყვეტი შემობრუნების მიუხედავად, ასეთი დახვენილობის ტაპიური წარმომადგენელია. ხელოვნების შემეცნების კლიმატი ან ცნების შეუბოვარი ასკეზა, რომელსაც ჯიუტად ფაქტები არ აწუხებს, ან საგნების წიაღმი უცნობიერებო ცნობიერება; ხელოვნებას ვერასოდეს უგებენ ისინი, ვინც წანარმოებებს მაყურებლის მსგავსად მხოლოდ კომფორტულად გებულობს; ასეთი განწყობის არასავალდებულობა იმთავითვე წანარმოებების არსებითი ელემენტის, საკუთარი სავალდებულობის მიმართ გულგრილი რჩება. ესთეტიკა მანამ იყო პროფესიული, სანამ ემპირიისგან დაშორებას შეუზღუდავად პატივს სცემდა და, სარკმელის არმქონე აზრის საშუალებით, საკუთარი სხვის შიდაარსში აღწევდა; ან, სადაც ასეთი სხვა ტანიერად ახლოს, წარმოებების შინაგანი ასპექტიდან გამომდინარე, ისე მსჯელობს, როგორც ინდივიდუალური ხელოვანების მიმოფანტულ მოწმობებში, რომლებიც მნიშვნელოვნებას როგორც წანარმოებებისთვის არაგადამწყვეტი პიროვნების გამოხატულებას კი არ ფლობენ, არამედ იმიტომ, რომ ხშირად, სუბიექტზე მინიშნების გარეშე, თავად საგნის მოზღვავებული გამოცდილების ელემენტებს აფიქსირებენ. საზოგადოებრივი ჩვეულებებით ხელოვნებისთვის წაკარნახები მიამიტობა ასეთ მოწმობებს ხშირად ხელს უშლის: ან ხელოვანები ღვარძლიანად უარყოფენ ესთეტიკას და ხელობაში გამოიკეთავენ თავს, ან ანტიდილეტანტები დილეტანტურ დამხმარე თეორიებს თხზავენ. თუ მათი გამონათქვამები ესთეტიკიში უნდა ჩაირთოს, მათ ინტერპრეტაცია ესაჭიროებათ. პოლუმიკის შედეგად ესთეტიკის ადგილას მოქცეული ხელობის შესახებ მოძღვრებები ისეთ შემთხვევაშიც პოზიტივიზმით სრულდება, როცა თავად მეტაფიზიკას უთანაგრძნობენ. უსარგებლო ხდება რჩევები, თუ რა იქნება რონდოს შეთხვისთვის ყველაზე მოსახერხებელი გზა, როგორც კი ისეთი საფუძვლებით, რომელთა შესახებ ხელობის მოძღვრებებში არაფერი იციან, თავად რონდოს შეთხვა შეუძლებელი აღმოჩნდება. მათი პრაქტიკული რჩევები ფილოსოფიურ გაშლას ითხოვენ, რათა ჩვეულის უპრალო ამონარიდებზე მეტი აღმოჩნდნენ. თუ რჩევები ასეთი გადასვლის წინ წყდება, თითქმის ყოველთვის,

გადმონოლილი, ერთგარად შემზარავი კლდეები, ცაზე მოქუფრული ელვის ღრუბლები, ჭექა-ქუბილით მოძრავნი, ვულკანები, მთელი თავიანთი გამანაგურებული ძალით, ქარბუქები უკან მოტოვებული გავერანგბით, უსაზღვრო, მღელვარე იკვანე, მძლავრი მდინარის მაღლო ჩანჩქერი და სხვა ამგავრი ხედები წინააღმდეგობის განევის ჩვენეულ უნარს საკუთარ სიმძლავრესთან შედარებით უმნიშვნელო წვრილმანად აქცევენ. თუმცა, მათი ხედი მით უფრო მიმზიდველი ხდება, რაც უფრო საშილეო – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოებაში ვამყოფებით ხოლო, ასეთ საგნებს უპირატესად ამაღლებულს ვუწოდებთ, რადგან ისინი საშვინველის ძალას ჩვეულ საშუალო დონესთან შედარებით ამაღლებენ და ჩვენში წინააღმდეგობის განევის სრულიად განსხვავებულ უნარს აღმოგვაჩენინებენ, რომელიც გვაგლუანგბას, რომ ბუნების მოჩენებით ყოვლისშემძლებისა თვალი გაფუსწოროთ“ (Kant, დასახ. ნაშრ., გვ. 124 [Kritik der Urteilskraft, § 28]).

<sup>6</sup> „ამაღლებული კი, პირიქით, ასევე უფორმო საგანში შეიძლება აღმოგაჩინოთ, რამდენადც ან ასეთ საგანში, ან საგნის გამოწვევის შედეგად, უსაზღვროება შეიძლება წარმოვიდგინოთ და, მიუხედავად ამისა, ტოტალობასთან ერთად გავიაზროთ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 104 [Kritik der Urteilskraft, § 23]).

მხარდაჭერას ბუნდოვანი მსოფლმხედველობისგან ეძიებენ. იდეალისტური სისტემების დასრულების შემდეგ, თუ ესთეტიკა კრუნჩევებით კვლავ გამოცოცხლებულ დარგს უნდა აღემატებოდეს, მის წინაშე მყოფი სირთულე ეს არის: მნარმონებლის ფენომენებთან სიახლოვე ცნებით ძალას უნდა დაუკავშირდეს, რომელიც ურყევი უმაღლესი ცნებით, 'ფრაზით', აღარ იმართება. ცნებით მედიუმზე დამოკიდებული ასეთი ესთეტიკა ხელოვნების ნაწარმოებების უბრალო ფენომენოლოგიას გასცდებოდა. საპირისპიროდ, ამაო რჩება ნომინალისტური სიტუაციის ზენოლის ქვეშ იმაზე გადასვლის მცდელობა, რასაც, სავარაუდოდ, ემპირიული ესთეტიკა ეწოდებოდა. თუ, მაგალითად, ასეთი გამეცნიერების დიქტატის შედეგად კლასიფიკაციების და აბსტრაქციების საშუალებით ემპირიული აღწერებიდან ზოგად ესთეტიკურ ნორმებამდე ამაღლებას მოვისურვებდით, ხელში მხოლოდ წყალწყალა ელემენტი შემოვგრჩებოდა, რაც სპეციულაციური სისტემების გამჭოლ და სუბსტანციურ კატეგორიებთან შედარებას ვეღარ გაუძლებდა. თანამედროვე ხელოვნების პრაქტიკის მიმართ გამოყენებული ასეთი დისტილატები დაახლოებით ისევე ვარგისი იქნებოდა, როგორც ოდითგან მხატვრული ეტალონები. ნებისმიერი ესთეტიკური კითხვა ხელოვნების ნაწარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსის შესახებ თავად კითხვით სრულდება: არის თუ არა ის, რასაც ნაწარმოებები თავისებური აღნაგობის საშუალებით როგორც სულს შეიცავენ, ჭეშმარიტი? სწორედ ეს არის ემპირიზმისთვის ანათემა, როგორც ცრურნება. მისთვის ნაწარმოებები არაკვალიფიცირებული სტიმულების ხვეულებია. ამდენად, მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა არის ასეთი სტიმულები თავისთავად, შეუძლებელია, მხოლოდ პროექციული იქნებოდა. შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებებზე, სუბიექტურ რეაქციებზე დაკვირვება, მათი გაზომვა და განზოგადება, თუმცა ამით სწორედ იმის განხილვა გვისხლტება ხელიდან, რაც ესთეტიკის ნამდვილ საგანს შეადგენს. მას უკიდურესად ესთეტიკამდე მყოფი სფერო ენაცვლება, რომელიც საზოგადოებრივად კულტურის ინდუსტრიის სფეროს სახით დამკაიდრდა. ჰეგელის მიღწევას, სავარაუდოდ, უფრო მაღალი მეცნიერება კი არ აკრიტიკებს, მას უბრალოდ ვულგარული ადაპტაციის სასარგებლოდ ივნიებენ. ხელოვნება ემპირიზმს ვერ გუობს, რომელიც, თუ განუმეორებელ და ჭეშმარიტად თავისუფალ ჯონ დიუის არ გამოვრიცხავთ, ხელოვნებას დიდად ვერც კი აღიქვამს, ისეთი შემთხვევების გარდა, როცა ნებისმიერ, საკუთარი თამაშის წესებისთვის მიუღებელ შემეცნებას ხელოვნებას როგორც პოეზიას მიანერს. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ხელოვნების მიერ ასეთი თამაშის წესების გაუქმება მისთვის სწორედ მაკონსტიტუირებელია, რადგან ის ისეთი არსებულია, რომელიც ემპირიით არ ამოინურება. არსებითი ხელოვნებაში სწორედ ის არის, რასაც მასში ადგილი არ აქვს,<sup>7</sup> რაც ნებისმიერი ნივთის ემპირიული კრიტერიუმის არათანაზომიერია. ხელოვნებაში ადგილის არმქონეს გააზრება ნაწარმოშობს ესთეტიკის იძულებას.

ობიექტურ სირთულებს სუბიექტურად ყველაზე გავრცელებული წინააღმდეგობა ემატება. უთვალავი ადამიანი ხელოვნებას ზედმეტად მიიჩნევს, რომელიც მათ საკვირაო გართობაში ხელს უშლის, რადაც ის, როგორც თავისუფალ დროს ბურჯუაზიული ყოფის შემაგებელი, მათთვის მართლაც იქცა. მიუხედავად ხე-

7 ob. Donald Brinkmann, Natur und Kunst. Zur Phänomenologie des ästhetischen Gegenstandes, Zürich u. Leipzig 1938, და შმდ.

ლოვნების მიმართ მთელი ასეთი მტრული განწყობისა, ამგვარი წინააღმდევობა იმავდროულად ასევე ხელოვნების მონათესავე ელემენტის გამოხატვას ხელს უწყობს. ხელოვნება სულ უფრო რაციონალიზებულ და გასაზოგადოებულ საზოგადოებაში ჩაგრული და დამორჩილებული ბუნების ინტერესს აღიქვამს. თუმცა, საზოგადოებრივი საქმიანობა თვით ასეთ წინააღმდევობასაც ინსტიტუციად აქცევს და მას ესპლოატაციას უწევს: ხელოვნებას როგორც ირაციონალობის ბუნებრივ საცავს შემოღობავს, რომელშიც აზროვნების შეშვება დაუშვებელია. ამავე დროს, ხელოვნება ესთეტიკური თეორიიდან დამდაბლებული და თავისთავად სიცხადედ დაქვეითებული წარმოდგენის მოქავშირე ხდება: ხელოვნება აბსოლუტურად მჭვრეტელობითი უნდა იყოს; და ეს მაშინ, როცა ყოველთვის ცნებაში მონაწილეობს. ხელოვნებაში მჭვრეტელობის რაც არ უნდა პრობლემური უპირატესობა პრომიტიულად მის შესახებ აზროვნების აკრძალვის დირექტივაში ერვათ, რადგან აზროვნება, სავარაუდოდ, არც დამკიდრებულ ხელოვანებს არ ახასიათებდა. ასეთი მრნამსის შედეგია მიამიტობის ბუნდოვანი ცნებაც. წმინდა გრძნობის სფეროში – ასეთი დასახელება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეოკანტიანელის ნაშრომის სათაურში ჩინდება – ნებისმიერი ლოგიკურობის მსგავსი ელემენტი ტაბუს ქვეშ ექცევა, მიუხედავად იმისა, რომ ნანარმოებს თანმიმდევრულობის მომენტები ახასიათებს, რომელთა არაესთეტიკურ ლოგიკასა და მიზეზობრიობასთან კავშირის განსაზღვრებას მხოლოდ ფილოსოფიური ესთეტიკა შეძლებდა.<sup>8</sup> შედეგად, გრძნობა საკუთარი თავის საპირისპიროდ იქცევა: ის განივთდება. ხელოვნება მართლაც არის სამყარო ხელმეორედ: ხელოვნება სამყაროს ჰგავს და არც ჰგავს. ესთეტიკურმა მიამიტობამ კულტურის ინდუსტრიის ეპოქაში, რომელიც დირექტივებს მართლაც მისდევს, ახალი ფუნქცია შეიძინა. წარჩინებული გულუბრყვილობა, რასაც ოდესლაც ხელოვნების ნანარმოებები, საკუთარი კლასიციზმის კვარცხლბეკზე, როგორც მის განმსაზღვრელს აქებდნენ, კლიენტების მოზიდვის საშუალებად რეალზებადი გახდა. მომხმარებლები, რომლებსაც მიამიტობას უდასტურებენ და ჩასახებენ, იმის შესახებ უაზრო ფიქრს უნდა გადაჩვიონ, რისი აბებად შეფუთული სახით ჩაყლაპვაც მათ უწევთ. უწინდელი გულუბრყვილობა კულტურის მომხმარებლის სიბრიუმედ ითარგმნება: მადლიერად და მეტაფიზიკურად დაწყნარებული სინდისით, იგი ინდუსტრიისგან ისედაც გარდაუვალ ნაგავს ყიდულობს. როგორც კი მიამიტობას პოზიციის სახით იკავებენ, ის უკვე აღარ არსებობს. ხელოვნებას და მის შესახებ ცნობიერების გამოცდილებას შორის ნამდვილი მიმართება განათლებაში თუ მოიპოვება; განათლება, ასევე, ხელოვნებისთვის, როგორც სამომხმარებლო პროდუქტისთვის, წინააღმდევობის განევას წერთობის და იმავდროულად რეციპიენტს სუბსტანციურად უჩვენებს იმას, თუ რა არის ხელოვნების ნანარმოები. ასეთი განათლებისგან ხელოვნება დღეს მეტნილად მოწყვეტილია – უკვე მნარმოებელთან. ამისთვის მას, ხელოვნებაზე დაბლა მყოფის მუდმივი ცდუნებით, საფასურის გადახდა უწევს, უდახვენილესი ხერხების ჩათვლით. ხელოვანთა გულუბრყვილობა კულტურის ინდუსტრიის მიამიტური დამყოლობის პირისპირ გადაგვარდ. გულუბრყვილობა უშუალოდ ხელოვანის ბუნებრივი არის არც არასოდეს ყოფილა; პირიქით, ის თავისთავადი სიცხადე, რომლითაც ხელოვანი საკუთარ თავზე აღმატებულ სოციალურ კონტექსტს მიემართე-

8 ob. Arthur Schopenhauer, Sämtliche Werke, hg. von W. v. Löhneysen, ტ. 2: Die Welt als Wille und Vorstellung II, Darmstadt 1961, გვ. 521 და შმდ.

ბოდა, ყოველთვის ერთგვარი კონფორმიზმი იყო. ასეთი მიამიტობის კრიტერიუმი ხელოვნებისეული სუბიექტის მიერ, გარკვეულწილად, უწყვეტად მიღებული საზოგადოებრივი ფორმები იყო. მიამიტობა, საკუთარი სამართლიანობის და უსამართლობის საშუალებით, იმასთან გადახლართულია, თუ რამდენად ეთანხმება ან ენინააღმდეგება სუბიექტი ასეთ ფორმებს, თუ რას რჩება კვლავაც, საზოგადოდ, თავისთავადი სიცხადის პრეტენზიის უფლება. მას შემდეგ, რაც არსებობის ზედაპირი, ნებისმიერი უშუალობა, რომლითაც ის ადამიანებისკენ შემობრუნდება, იდეოლოგიად იქცა, მიამიტობა საკუთარი თავის საპირისპიროდ გარდაისახა: განივთებული ცნობიერების განივთებული სამყაროს რეფლექსებად. ხელოვნების ისეთი პროდუქცია, რომელიც სიცოცხლის გამეშების იმპულსის წინააღმდეგ შეუპოვრობას ინარჩუნებს – მაშასადამე, ჭეშმარიტად მიამიტური –, იმად იქცევა, რასაც კონვენციური სამყაროს თამაშის წესები არამიამიტურს უწოდებენ, თუმცა, რასაც კონვენციურია, შინაგანად ზუსტად იმდენად ინარჩუნებს გულუბრყვილობას, რამდენადაც ხელოვნების ქცევაში რეალობის პრინციპის დაუმორჩილებელი ელემენტი გადარჩება – ერთგვარად ბავშვური, სამყაროს ნორმების თანახმად ინფორმილური ელემენტი. ასეთი გულუბრყვილობა დამკვიდრებულის საპირისპიროა; და განწირულიცაა. ჰეგელი, უფრო მძაფრად კი იოხმანი, ამას სწოდნენ. თუმცა, მათ საკუთარი კლასიციზმი იმდენად ზღუდვავდა, რომ შედეგად ხელოვნების დასასრული იწინასწარმეტყველეს. ხელოვნების ნაივური და რეფლექსიური მომენტები, სინამდვილეში, ყოველთვის უფრო მეტად იყო ერთმანეთში გადახლართული, ვიდრე ამის ალიარება სურდა ნატერას ალმოცენებად ინდუსტრიულ კაპიტალიზმში. ხელოვნების ისტორიამ ჰეგელის შემდეგ საკუთარი ნაადრევი ესთეტიკური ესქატილოგიის თავგზაბნეულობა ცრადყო: ჰეგელის შეცდომა ის იყო, რომ იგი მიამიტობის ჩვეულ იდეალს იზიარებდა. თვით მოცარტიც კი, რომელიც ბურჟუაზიულ ყოფაში ნიჭიერი მხტუნავ-მოცეკვავე ლვთისშვილის როლს ასრულებს, საკუთარ უხეშ არსზე შეუდარცხლად უფრო რეფლექსიური იყო; ამას მოცარტის მამასთან მიმოწერის თითოეული გვერდი გვიმოწმებს. თუმცა, რეფლექსიას მოცარტი საკუთარ მასალაში ახორციელებდა და არა აბსტრაქტულად, ზემოდან მოფარფატედ. თუ რამდენად შეიცავს, ოპერეტური პირობის სახით, რეფლექსიას წმინდა მჭერეტელობის კიდევ ერთი ჩვენეული კერპის, რაფაელის, შემოქმედება, მისი ფერწერის კომპოზიციის გეომეტრიულ მიმართებები ცხადდება. ურეფლექსიონ ხელოვნება რეფლექსიური ეპოქის რეტროსპექტული ფანტაზიაა. თეორიული განაზრებება და სამეცნიერო შედეგები ხელოვნებაში იმთავითვე ერთმანეთს ერწყმოდენ და ხშირად ხელოვნების ნაარმოებს წინ უსწრებდენ კიდეც; უმნიშვნელოვანესი ხელოვანები კი სულაც არ ყოფილან ისინი, ვინც ამას უფრთხოდა. გავიხსენოთ ჰაეროვანი პერსპექტივის ალმოჩენა პიერო დელა ფრანჩესკასთან, ან ფლორენციული კამერატას ესთეტიკური სპეკულაციები, რომლებმაც ოპერა წარმოშვა. ოპერა ფაქტის შემდგომ, როგორც პუბლიკის ფავორიტის, მიამიტობის აურით შემკული ფორმის პარადიგმაა; და ეს მასინ, როცა ოპერა სწორედ თეორიაში წარმოიშვა და, პირდაპირი მნიშვნელობით, გამოგონებაა.<sup>9</sup> მსგავსად, მეტვიდეტე საუკუნეში ტემპერირებული განწყობის შემოტანამ კვინტების წრედებით მოდულაციის წინაპირებები წარმოშვა და ამით ბაზის შემოქმედებაც განსაზღვრა, რაზეც

9 Hanns Gutman, Literaten haben die Oper erfunden, in: Anbruch 11 (1929), გვ. 256 და შმდ.

ბახმა ფორტეპიანოს საკუთარი დიდებული ნაწარმოების სათაურითაც მადლიერად მიგანიშნა. თვით მეცხრამეტე საუკუნეშიც კი, იმპრესიონისტული ფერწერის წესი თვალის ბადურაზე მიმდინარე პროცესების მართებულად თუ მცდარად განმარტებულ სამეცნიერო ანალიზს ეფუძნებოდა. თუმცა, ხელოვნებაში თეორიული და რეფლექსური ელემენტები გარდაუსახავი იშვიათად რჩებოდა. დროდადრო – და შესაძლოა, ასევე, თვით უახლესი წარსულის ელექტრონიკაში – ხელოვნება მცდარად გებულობდა იმ მეცნიერებას, რომელსაც თავად ეყრდნობოდა. რაციონალობიდან აღმოცენებულ პროცესტიულ იმპულსს ამან დიდი სარგებელი ვერ მოუტანა. სავარაუდოდ, იმპრესიონისტების ფიზიოლოგიური თეორემები მეტროპოლიტების და მათი გამოსახულებების დინამიკის ნაწილობრივ იმპულსური, ნაწილობრივ კი საზოგადოების მიმართ კრიტიკულად განწყობილი გამოცდილებების ანარეკლები იყო. განვითარებული სამყაროს იმანენტური დინამიკის აღმოჩენით იმპრესიონისტებს განივთებისთვის წინააღმდეგობის განევა სურდათ: ყველაზე თვალსაჩინო ეს განივთება სწორედ მეტროპოლიტებში იყო. მეცხრამეტე საუკუნეში საბუნებისმეტყველო ახსნები ხელოვნების გაუთვითცნობიერებელ აგენსად მოქმედებდნენ. მსგავსების წყარო ის იყო, რომ ასეთი ეპოქის მოწინავე ხელოვანების რეაქციის გამომწვევი ratio სწორედ ბუნებისმეტყველებაში მოქმედი იყო. მაშინ, როცა ხელოვნების ისტორიაში, როგორც წესი, სციენტური თეორემები კვდება, ხელოვნების პრაქტიკები არც მათ გარეშე ჩამოყალიბდებოდა და არც, პირიქით, ასეთი თეორემების საფუძველზე პრაქტიკების დამაკამაყოფილებელი ახსნა აღმოჩენით განვითარებული. ამას რეცეფციისთვის საკუთარი შედეგებიც მოჰყვება: არავის არ აქვს თავად რეცეფციის საგანზე ნაკლები რეფლექსურობის უფლება. ვინც არ იცის ის, თუ რას ხედავს ან რას ისმენს, ნაწარმოებთან უშუალო მიმართების პრივილეგიით ვერ ისარგებლებს; იგი მათი აღქმის უნარს ვერ ფლობს. ცნობიერება აღქმაზე დაშენებული შრე არ არის; პირიქით, ცნობიერებაში ესთეტიკური გამოცდილების ნებისმიერი მომენტი ურთიერთზემოქმედებაში იმყოფება. არცერთი ხელოვნების ნაწარმოები არ შედეგება ერთმანეთზე დადებული შრეებისგან; შრეების ასეთი განლაგება მხოლოდ კულტურის ინდუსტრიის გათვლის შედეგია – ნივთადექცეული ცნობიერებისა. მაგალითად, კომპლექსურ და გაფართოებულ მუსიკაში შეიძლება დავაკირდეთ, თუ რაოდენ ცვალებადია პირველადად აღქმულსა და ცნობიერების, რეფლექსის განმახორციელებელი აღქმის საშუალებით განსაზღვრულს შორის ზღურბლი. ხშირად, წარმავალი მუსიკალური პასაჟის საზრისის გაგება დამოკიდებულია მისი სტატუსის არააქტუალურ მთელში ინტელექტუალურად ამოცნობაზე, სავარაუდო უშუალო გამოცდილება კი, თავის მხრივ, წმინდა უშუალობის ფარგლებს გარეთ მყოფ მომენტზე. ხელოვნების ნაწარმოებების იდეალურ აღქმაში ამგვარად გაშუალებული თავად უშუალოდ იქცეოდა; მიამიტობა მიზანი და არა საწყისია.

თუმცა, ის, რომ ესთეტიკის მიმართ ინტერესი შესუსტდა, არა მხოლოდ თავად ესთეტიკა, როგორც დარგი, განაპირობებს, არამედ, სავარაუდოდ – და უფრო მეტად – თავად მისი საგანი. ესთეტიკა, როგორც ჩანს, გამოუთქმელად საერთოდ ხელოვნების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ის უპირატესად როგორ-ზე და არა რომ-ზეა ორიენტირებული. ასეთი დამოკიდებულება სათუო გახდა. ესთეტიკას ხელოვნების ფაქტის იმ სახით ვარაუდი, როგორც ოდესლაც კანტის შემცნების თეორია ბუნებისმეტყველების მათემატიკურ ფაქტს იაზრებდა,

## ტრადიციული ესთეტიკის და თანამედროვე ხელოვნების შეურიგებადობა

აღარ შეუძლია. ის, რომ ხელოვნება, რომელიც საკუთარი ცნებას ინარჩუნებს და მოხმარებას არ ემორჩილება, ანტიხელოვნებაში გადადის; მისი საკუთარი თავით უკმაყოფილება, რეალური და მომავალი კატასტროფების პირისპირ, რომლებსაც ხელოვნების კვლავინდელი არსებობა ზნეობრივად ვერ ეფარდება, ესთეტიკურ თეორიასაც გადაეცემა. ესთეტიკურის ტრადიციისთვის ასეთი ეჭვები უცხო იყო. ჰეგელმა ფილოსოფიური ესთეტიკის სიმაღლეზე, რომელსაც თავად მიაღწია, ხელოვნების აღსასრული ინიასნარმეტყველა. მართალია, ესთეტიკამ ასეთი პროგნოზი მოგვიანებით მიივიწყა, დღეს ხელოვნება საკუთარ აღსასრულს კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობს. ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ესთეტიკა იმად დარჩებოდა, რაც ოდესლაც იყო, დღეს კი აღარ შეუძლია იყოს, აღმოცენებად საზოგადოებაში ის სრულიად განსხვავებულად გადაიქცეოდა, რადგან მასში ხელოვნების ფუნქცია შეიცვალა. ხელოვნების ცნობიერება სრულიად საფუძვლიანად აღარ ენდობა ისეთ განხილვებს, რომელიც, უბრალოდ მათგან მოსალოდნელი თემატიკიდან და ჰაბიტუსიდან გამომდინარე, ისე უესტიკულიორებენ, თითქოს ჯერ კიდევ მყარი ნიადაგი არსებობდეს იქ, სადაც რეტროსპექტულად საეჭვო გახდა, არსებობდა თუ არა ასეთი ნიადაგი საერთოდ ოდესმე და უკვე იმთავითვე იდეოლოგია ხომ არ ყოფილა ის, რაშიც თანამედროვე კულტურის საქმიანობა, ხელოვნების რებრიკის ჩათვლით, უეჭველად უკვე გადავიდა. ხელოვნების შესაძლებლობის შესახებ კითხვა იმდენად აქტუალური გახდა, რომ მასხრად იგდებს საკუთარ, სავარაუდოდ, უფრო რადიკალურ ფორმასაც: არის თუ არა, და თუ კი – რა სახით, ხელოვნება საერთოდ კვლავაც შესაძლებელი. ასეთი კითხვის ადგილს დღეს ხელოვნების კონკრეტული შესაძლებლობის შესახებ კითხვა იკავებს. ხელოვნებით გამოწვეული უკმაყოფილება მხოლოდ მოდერნის პირისპირ სტაგნაციის განმცდელი საზოგადოებრივი ცნობიერების უკმაყოფილება არ არის. ის ყველგან ასევე მხატვრულად არსებითზე, მოწინავე პროდუქტებზე ვრცელდება. თავის მხრივ, ხელოვნება თავშესაფარს საკუთარ უარყოფაში ექცებს და, საერთოდაც, მხოლოდ სიკვდილის საშუალებით გადარჩენას ესწრაფების: მაგალითად, თეატრში რაღაც სათამაშოს, ჭუჭრუტანიან კოლოფს, ციმციმს, სამყაროს იმიტაციას თვით მავთულხლართის მსგავს ქმნილებებში ეწინააღმდეგება. წმინდა მიმეტური იმპულსი – სამყაროს ბედნიერება ხელმეორედ –, რომელიც ხელოვნებას სულიერად აქცევს, ოდითგან ხელოვნების ანტიმითოლოგიურ, განმანათლებლურ კომპონენტად გამძაფრებული, სრულყოფილი მიზნობრივი რაციონალობის სისტემის პირობებში აუტანლობაში გადაიზარდა. ისევე, როგორც ბედნიერება, ხელოვნებაც ინფანტილურობის ეჭვს აღძრავს; მიუხედავად იმისა, რომ ინფანტილურობის წინაშე შემი, თავის მხრივ, რეგრესად რჩება და ნებისმიერი რაციონალობის *raison d'être*-ს ვერ სწოდება. თვითმრჩენი პრინციპის მოძრაობა, თუ ის საკუთარ თავს არ აფეტიშებს, საკუთარი აღმიაფრენის საშუალებით, ბედნიერების მოთხოვნისკენ მიგვიძღვს; ხელოვნების სასარგებლოდ ამაზე უფრო მძლავრად არაფერი მეტყველებს. ხელოვნებაში თავად ხელოვნების რიდის ელემენტი გვიანდელი პერიოდის რომანში მუდმივი თანადასწრების ფიქციის საპირისპირო იმპულსებია. თხრობის ისტორია პრუსტის შემდეგ მეტნილად ამას მიჰყება, თუმცა კი უანრი ბოლომდე ვერ იშორებს იმას, რასაც ბესტსელერთა სიებში უმაღლესი ხარისხის იარლიყი *'fiction'* აღიარებს: თუ რაოდენ იქცა ესთეტიკური მოჩვენება საზოგადოებრივ უბედურებად. მუსიკა დაბეჯითებით ცდილობს გათავისუფლდეს ისეთი მომენტისგან, რომლითაც ბენიამინმა,

ერთობ გულუხვად, ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები საკუთარი ტექნიკური რეპტროდუცირებადობის ეპოქამდე განსაზღვრა: აურისგან, მოჯადოებისგან, რომელიც სწორედ მუსიკიდან მომდინარეობს, თუნდაც ის ანტიმუსიკა იყოს – სადაც არ უნდა იწყებოდეს; მუსიკის თავისებური თვისებებიდან, ასეთ ნაშებს ხელოვნება როგორც საკუთარი წარსულის კორექტირებად გადმონაშთებს არ ამუშავებს; პირიქით, ერთი შეხედვით, ისინი თავად ხელოვნების ცნებას შეეზარდნენ. თუმცა, რაც უფრო მეტად უნდეს ხელოვნებას, რათა მოჩვენება ტყუილს არ მიჰყიდოს, საკუთარ მიდგომებზე რეფლექსის განხორციელება და, შესაძლოა, ასეთი რეფლექსის საკუთარ აღნაგობაში შეამსაწინააღმდეგოდ ინტეგრირება, მით უფრო სკეპტიკური ხდება იმ გადაჭარებული მოთხოვნის მიმართ, რომ მას თვითგანაზრება გარედან თავს მოახვიონ. ესთეტიკას ნაკლი ახასიათებს: ის საკუთარი ცნებებით ხელოვნების ისეთ სიტუაციას უძლურად ჩამორჩება, რომელშიც ხელოვნება, სულ ერთია, თუ რად შეიქნება, თავად საკუთარი განაზრებისთვის აუცილებელ ცნებებს არყევს. ვერცერთი თეორია, ესთეტიკურის ჩათვლით, ზოგადობის ელემენტზე უარს ვერ იტყვის; ესთეტიკური თეორიისთვის ეს ინვეს ცდუნებას, სწორედ ისეთი მუდმივები დაიცვას, რომლებსაც ემფატიკურმა მოდერნულმა ხელოვნებამ უნდა შეუტიოს. ჰუმანიტარული მანია, რომ ახალი მარადიგივობრივზე, მაგალითად, სიურრეალიზმი – მანიერიზმზე, დაყვანილ იქნეს, მხატვრული ფენომენების ისტორიული სტატუსის როგორც საკუთარი ჭეშმარიტების მაჩვენებლის გაუაზრებლობა, ფილოსოფიური ესთეტიკის აბსტრაქტული მითითებებისკენ მიდრეკილებას შეესაბამება, რომლებშიც ინვარიანტული მხოლოდ ისლაა, რომ მათ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სული კვლავ და კვლავ ტყუილის სახით აშიშვლებს. ის, რაც თავს მარადიულ ესთეტიკურ ნორმად წარმოადგენს, ისტორიული ქმნადობის პროცესის შედეგი და წარმავალია; პრეტეზია, რომ ასეთი ნორმა არასოდეს დაიკარგება, მოძველებულია. სემინარებში გამობრძნედილი სასკოლო ოსტატებიც კი შეყოვნდებოდნენ კაფკას პროზისთვის, „გარდასახვისთვის“ ან „სადამსჯელო კოლონისთვის“, ისეთი სანქციონირებული კრიტერიუმი მიესადაგებინათ, როგორიცაა დაუინტერესებელი სიამოვნება; ვისაც კაფკას შემოქმედების სიდიადე განუცდა, იმასაც უნდა გრძნობდეს, თუ რაოდენ უადგილოა მის შემთხვევაში ხელოვნებაზე მსჯელობა. ეს არც ისეთი უანრული აპრიორების შემთხვევაშია განსხვავებული, როგორიცაა ტრაგიკული თუ კომიკური თანამედროვე დრამატურგიაში, მიუხედავად იმისა, რომ მასში ისინი ისევე შეზრდილია, როგორც კაფკას იგავში უზარმაზარი ყაზარმის შუასაუკუნეობრივი ნანგრევები. თუ ბეკეტის პიესები ვერც ტრაგიკულად და ვერც კომიკურად ვერ ჩაითვლება, ისინი მით უფრო ნაკლებად არანა ტრაგიკომედიის ტიპის ნარევი ფორმები, როგორც ეს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი სკოლის ესთეტიკოსს მოეპრიანა. პირიქით, ამ პიესებს თავად კატეგორიების, როგორც ასეთების, შესახებ ისტორიული განაჩენი გამოაქვთ და ისეთი ინერვაციის ერთგული რჩებიან, რომ კომიკურობის განთქმულ ძირეულ ტექსტებზე სიცილი უკვე შეუძლებელია, ან, თუ შესაძლებელია, მხოლოდ უხეშობის ხელახლა მიღწეულ მდგომარეობაში. ახალი ხელოვნება იმის მიდრეკილებას იჩენს, რომ საკუთარი ცნებები თვითორეფლექსის საშუალებით თემატურებად გარდასახოს პიესებში, როგორებიცაა „გოდო“ და „თამაშის დასასრული“, მაგალითად, სცენაში, როცა მთავარი მოქმედი პირები სიცილის გადაწყვეტილებას დებულობენ – აქ უფრო კომიკურობის ბედისწერა ტრაგიკული ხდება, ვიდრე თა-

## ხელოვნების ნაწარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსი და ფეტიშური ხასიათი

ვისთავად პიესები არიან კომიკურები; ასეთი სიცილი სცენაზე თავად მაყურებლი-სას ახშობს. უკვე ვედეკინდმა სიმპლიციმუსის გამომცემელთა წინააღმდეგ მიმართულ საკვანძო პიესას სატირის სატირა უწოდა. მცდარია ისეთი გამობრძნედილი ფილოსოფიის აღმატებულება, რომელსაც ისტორიული მიმოხილვა *nil admirari*-ს და გამაყოფილებას აწვდის, შემდეგ კი თავის მარადიულ ღირებულებებთან შინაურულად მოქცევით ყველაფრის მარადიგივებიდან მოგებას იღებს: სწორედ იმას, რაც სერიოზულად განსხვავებულია, რაც არსებულსა და დამკვიდრებულს ვნებს, საკუთარი მოსალოდნელი სითბოს შედეგად, უკუაგდებს. ასეთი განწყობა, სოციალური ფსიქოლოგიის და, ასევე, ინსტიტუციური თვალსაზრისით, რეაქციულ განწყობასთან შეთქმული რჩება. მხოლოდ კრიტიკული თვითცნობიერების პროცესში შეძლებდა ესთეტიკა კვლავაც ხელოვნების მიღწევას, თუკი ამის უნარი მას, საერთოდ, ოდესალაც ჰქონდა.

თუმცა, მაშინ, როცა ხელოვნება, ნაკვალევით დამტრთხალი, ესთეტიკას, როგორც ჩამორჩენილს, ალმაცერად უყურებს, მას ფარულად იმისიც უნდა ეშინოდეს, რომ უკვე არაანაქრონისტულმა ესთეტიკამ, შესაძლოა, ხელოვნების ისედაც თითქმის განწყვეტის პირას მყოფი სასიცოცხლო ძაფები გადაჭრას. მხოლოდ ასეთი ესთეტიკა შეძლებდა მსჯელობას საკითხზე, გადარჩება თუ არა საერთოდ ხელოვნება მეტაფიზიკის განადგურების შემდეგ, რომელსაც ხელოვნება საკუთარ არსებობასაც და შიდაარსაც უმაღლის, და თუ კი – როგორ. ხელოვნების მეტაფიზიკა ხელოვნების გადარჩენის ინსტანციად იქცა. თეოლოგიური საზრისის არარსებობა, რაც არ უნდა მოდიფიცირებული სახით, ხელოვნებაში თავად ხელოვნების საზრისიანობის კრიზისად მწვავდება. ნაწარმოებები, რაც უფრო შეუპოვრად გამოიქვთ მათ დასკვნები ცნობიერების მდგომარეობიდან, მით უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან თავად უსაზრისობას. ამდენად, ნაწარმოებები ისტორიულად საჭირო ჭეშმარიტებას იძენებ; თუ მას უარყოფდით, ხელოვნებას უძლურ ნუგმად ყოფნაზე გავნირავდით და ის მანკიერ არსებულს მოერგებოდა. თუმცა, უსაზრისი ხელოვნებას იმავდროულად არსებობის უფლება თანდათან ეკარგება, ყოველ შემთხვევაში, იმის თვალთახედვით, რაც უახლეს ფაზამდე ურყევის პერსპექტივად რჩებოდა. კითხვაზე, თუ რისთვის არსებობს ხელოვნება, ერთადერთი პასუხი გოეთეს მიერ ეგრეთ წოდებული აბსურდულის დანალექი იქნებოდა, რომელსაც ნებისმიერი ხელოვნება შეიცავს. ახლა ის ზედაპირზე ნარმოწინდება და ხელოვნებასაც აბეზღებს. ისევე, როგორც ხელოვნების თუნდაც ერთ-ერთი ფესტივალში მდგომარეობს, შეუპოვარი პროგრესის ძალით, ხელოვნება ფეტიშიზმში რეგრესაც განიცდის: ხელოვნება ბრმა თვითმიზნად იქცევა და საკუთარ თავს არაჭეშმარიტებად ამხელს, ერთგვარ კოლექტიურ დელუზიურ ნარმოდგენად, როგორც კი მისი ობიექტური ჭეშმარიტების შიდაარსი, როგორც საკუთარი თავის საზრისი, რყევას იწყებს. ფსექუონალიზს ხელოვნების პრინციპი ბოლომდე რომ გაეაზრებინა, მას, როგორც ნებისმიერ პოზიტივიზმს, ხელოვნების გაუქმების მოთხოვნა მოუწევდა. საკუთარ პაციენტებთან ფსიქონალიზი ისედაც იმის მიღრეკილებას ავლენს, ისინა ხელოვნებას ანალიზის საშუალებით გადააჩვიოს. თუ ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ სუბლიმირების, ფსიქიური ეკონომიკის საშუალებით სანქციონირდება, ის ჭეშმარიტების შიდაარსს კარგავს; და მხოლოდ ღვთისმოსავი სიცრუის სახით განაგრძობს არსებობას. თუმცა, ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოების ჭეშმარიტება ვერც ისეთი ფეტიშიზმის გარეშე იარსებებ-

და, რომელიც ახლა ხელოვნების არაჭეშმარიტებად ქცევას ესწრაფვის. ხელოვნების ნანარმოებების ხარისხიანობა არსებითად საკუთარი გაფეტიშების ხარისხზე დამოკიდებული: ნარმოებების პროცესით თვითქმნილისთვის მიგებულ პატივზე და ამის შედეგად გართობის დამვიწყებელ სერიოზულობაზე. მხოლოდ ფეტიშიზმის, ნანარმოების რეალობის მიმართ დაბრმავების საშუალებით – რეალობისა, რომლის ნანილიცაა ხელოვნება – ხელოვნება რეალობის პრინციპის მოჯადოებას სულიერის სახით ტრანსცენდირებს.

ასეთ პერსპექტივებში ესთეტიკა არა გადალახული, არამედ მით უფრო საჭირო აღმოჩნდება. ხელოვნების მოთხოვნილება დაბნეულობის შედეგად ესთეტიკისგან ნორმების მიღება კი არ არის, არამედ, პირიქით, ესთეტიკის დახმარებით რეფლექსის ძალის განვითარება, რომელსაც მხოლოდ თავად ხელოვნება ვერ ახორციელებს. ისეთი ტერმინები, როგორებიცაა მასალა, ფორმა, აღნავობის ჩამოსხმა, ესოდენ მარტივად ნარმოთქმულნი თანამედროვე ხელოვანთა მიერ, ჩვეულ მოხმარებაში ერთგვარ ცარიელ ფრაზებად რჩებიან; მათი ამისგან განკურნება კი ესთეტიკის მიერ ხელოვნების პრაქტიკის მხარდაჭერაა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკას თავად ნანარმოებების გაშლა ითხოვს. ნანარმოებები არადროითი თვითგივეობრივი კი არ არიან, არამედ იქცევიან იმად, რაც არიან, რადგან მათი ყოფნა ქმნადობაა. ამდენად, ნანარმოებები სულის ფორმებს იხმობენ, მაგალითად, კომენტარს და კრიტიკას: ნანარმოებების ქმნადობა სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება. ამავე დროს, ასეთი ფორმები კვლავ სუსტი რჩება, თუკი ისინი ნანარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსს ვერ აღწევენ; ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ძალუმთ, როცა მკაფიოდ ესთეტიკად ყალიბდებან. ნანარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსი ფილოსოფიას ითხოვს: მხოლოდ ასეთ შიდაარსში იკვეთება ფილოსოფია ხელოვნებასთან, ან სულაც მასში განილევა. ასეთი მიმართულებით ნანარმოებების რეფლექსიური იმანენტურობის ტრაქტორიას და არა მათზე გარედან ფილოსოფების მორგებას მივყავართ. ნანარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსი მკაცრად უნდა განვასხვაოთ ნებისმიერი ფილოსოფიისგან – სულ ერთია, ნანარმოებები ავტორისა თუ თეორეტიკოსის მიერ უდიდესი ძალისხმევით ჩადებულისგან. დასაძრავი ის არის, რომ თითქმის ორასი წელია, რაც ამ ორი სფეროს ერთმანეთთან შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა.<sup>10</sup> ამავე დროს, ესთეტიკა უხეშად უკუაგდებს ნებისმიერ, რაც არ იყოს დამსახურებული ფილოლოგიის პრეტეზიას, თითქოს ის ხელოვნების ნანარმოებების ჭეშმარიტების შიდაარსს სარწმუნოდ იკვლევდეს. ტრადიციული ესთეტიკის და აქტუალური ხელოვნების შეურიგებლობის ეპოქაში ხელოვნების ფილოსოფიურ თეორიას მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება: ნიცხშე დებულების ვარიაციით, განადგურების პროცესში მყოფი კატეგორიები, განსაზღვრული ნეგაციის საშუალებით, გარდამავალ კატეგორიებად გაიაზროს. როგორც ესთეტიკა, კვლავ აქტუალური რჩება მხოლოდ დამკვიდრებულ კატეგორიათა მოტივირებული და კონკრეტული დაშლა, რომელთა გარდასახულ ჭეშმარიტებასაც იმავდროულად ესთეტიკა ათავისუფლებს. თუ ხელოვანები მუდმივი რეფლექსის საჭიროებას განიცდიან, რეფლექსია, ამავე დროს, შემთხვევითობას უნდა გამოვტაცოთ, რათა ის ქაოტურ და სამოყვარულო, სახელდახელო ჰიპოთეზებად, ჩხირკედელაობის რაციონალიზაციებად ან სასურველის არასავალდებულო

10 იხ. Theodor W. Adorno, Noten zur Literatur III, 2. Aufl., Frankfurt am Main 1966, გვ. 161.

მსოფლმხედველობრივ განცხადებებად არ გადაგვარდეს ისე, რომ შესრულებულ-ში გამართლებას ვედარ პოლობდეს. თანამედროვე ხელოვნების ტექნოლოგიურ *parti pris*-ს გულუბრყვილოდ აღარ უნდა ვენდობოდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოვნება სრულიად დაემორჩილება მიზნის – ანუ ქმნილების – საშუალებებით, სწორედ მისი შექმნის ხერხებით ჩანაცვლებას. ამისენ სწრაფვა მეტად საფუძვლი-ანად უთანხმდება უნივერსალურ საზოგადოებრივ მიდრეკილებას: რადგან მიზანი – კაცობრიობის გონიერი მოწყობა – წინააღმდეგობებს აწყდება, საშუალებებს, ანუ, წარმოებას წარმოების მიზნით, სრულ დასაქმებასა და ყველაფერ მასთან და-კავშირებულს აღმერთებენ. ფილოსოფიაში ესთეტიკა მოღური აღარ არის, ამავე დროს, ყველაზე მოწინავე ხელოვნები მის აუცილებლობას მით უფრო მძაფრად შეიგრძნობენ. ბულეზიც, უეჭველად, არა ჩვეულებრივი სტილის ნორმატიულ ეს-თეტიკას, არამედ ხელოვნების ისტორიის ფილოსოფიით განსაზღვრულ თეორიას ესწრაფვის. რასაც იგი „*orientation esthétique*“-ით გულისხმობს, ყველაზე უპრია-ნად ხელოვანის კრიტიკულ თვითგანაზრებად ითარგმნებოდა. თუ გულუბრყვილო ხელოვნების უამი ამოწურულია, როგორც ამას ჰეგელი გვასწავლის, ხელოვნებამ თავად უნდა შეისისხლორცოს რეფლექსია და იქამდე მიიყვანოს, რომ სადღაც ზემოთ გარეგნულის, უცხოს სახით აღარ დაფარფატებდეს; სწორედ ამას ენოდება დღეს ესთეტიკა. ბულეზის ბჭობის ქვაკუთხედი მის მიერ ავანგარდის ხელოვანთა შორის გავრცელებული შეხედულებით გაოგნებაა, თითქოს ტექნიკური ხერხების გამოყენების კომენტირებული სახელმძღვანელო უკვე თავად წანარმოები იყოს. ბულეზის თანახმად, მნიშვნელოვანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, თუ რას ახორ-ციყლებს ხელოვანი და არა ის, თუ როგორ ან რა უკიდურესად მოწინავე საშუალე-ბებით სურდა მას რაიმეს განხორციელება.<sup>11</sup> მისთვისაც, აქტუალური შხატკერული შემოქმედების ისტორიული ვითარების წვდომა პროცესის ასპექტით და ასეთი წვდომის გაშუალებით ტრადიციასთან ანტითეტიკური მიმართება წარმოებისთვის ადგკვატურ დასკვნებს ემთხვევა. ჯერ კიდევ შიონბერგი, საგნის მიმართ უცხო ესთეტიკის სამართლიანი კრიტიკით, ხელობის მოძღვრების და ესთეტიკის ერთ-მანეთისგან გამიჯვნას დოგმატურად ითხოვდა, რაც სრულიად სარწმუნო ჩანდა შიონბერგის და ბაუპაუსის თაობის ხელოვანთათვეს, ბულეზი კი ასეთ გამიჯვნას სწორედ ხელობის, ოსტატობის სახელით, აუქტებს. შიონბერგის ჰარმონიის მოძღ-ვრება ასევე მხოლოდ იმით ახერხებდა ასეთი გამიჯვნის შენარჩუნებას, რომ იგი საკუთარ წიგნში ისეთი საშუალებებით შემოიფარგლა, რომლებითაც თავად, უკვე რა ხანია, აღარ სარგებლობდა; თუმცა, მას ეს საშუალებები რომ განეხილა, იგი დაუყორებლივ ესთეტიკურ განაზრებას მიაღწევდა, დიდატექიკურად გაზიარებადი ხელობის მითითებების ნაკლებობის შედეგად. ესთეტიკა მოდერნის საბედისნერო დაბერებას პასუხობს, რომელსაც ტოტალურად ტექნიკურ ნაწარმოებებში დაძა-ბულობის არარსებობა იწვევს. მხოლოდ შიდატექნიკურ სფეროში ამაზე რეაგი-რება შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის კრიტიკაში ყოველთვის ზეტექნიკური ელემენტიც მუდავნდება. ის, რომ თანამედროვეობაში საერთოდ რაიმე მნიშვნელობის მქონე ხელოვნება საკუთარი შემწყნარებელი საზოგადოების წიაღში უმნიშვნელო ხდება, თავად ხელოვნებაზე თავისთავადი უმნიშვნელოს ია-რებით ზემოქმედებს, რომლებიც, მთელი თავიანთი განსაზღვრულობისდა მოუხე-

11 ob. Pierre Boulez, Nécessité d'une orientation esthétique, in: Zeugnis. Theodor W. Adorno zum sechzigsten Geburtstag, hg. von M. Horkheimer, Frankfurt a. M. 1963,გვ. 334 და შმდ.

დავად, ასევე, შესაძლოა, სხვაგვარად ან საერთოდ არც არსებულიყვნენ. ის, რაც დღეს ტექნიკურ კრიტერიუმებად ითვლება, მხატვრული რანგის შესახებ მსჯელობის საშუალებას აღარ იძლევა და ხშირად გემოვნების დრომოჭმული კატეგორიის მსჯელობაში გადადის. მრავალი ქმნილების მიმართ კითხვა მათ ვარგისიანობა-უვარებისობის შესახებ არაადევეგატური გახდა; როგორც ბულეზი შენიშვნას, ისინი საკუთარ არსებობას მხოლოდ კულტურის ინდუსტრიასთან აპსტრაქტულ დაპირისპირებას და არა საკუთარ შიდარსა და ასეთი შიდაარსის რეალიზაციის უნარს უმადლიან. ქმნილებები გაურბიან გადაწყვეტილებას, რომლის გამოტანის უნარიც მხოლოდ ყველაზე მონინავე ტენდენციებთან გამტლავების შემძლე ესთეტიკას ექნებოდა, იმავდორულად, მათი რეფლექსის საშუალებით გამსჭვალავსა და გადამსწრებას. გემოვნების ცნებაში ხელოვნების მიერ წამოყენებული ჭეშმარიტების პრეტენზია სავალალოდ სულს ღაფაეს; ესთეტიკამ ასეთ ცნებაზე უარი უნდა თქვას. ძველ ესთეტიკას იმაში ადანაშაულებენ, რომ სწორედ გემოვნების სუბიექტურ მსჯელობაზე დაყრდნობით ხელოვნებას იმთავითვე საკუთარი ჭეშმარიტების პრეტენზიას ართმევს. ჰეგელი ასეთ პრეტენზიას მთელი სერიოზულობით აღიქვამდა და ხელოვნების სასიამოვნო თუ სასარგებლო სათამაშო მოწყობილობისგან განსხვავებას ხაზს უსგამდა, რის შედეგადაც გემოვნებას ემტერებოდა, თუმცა საკუთარი ესთეტიკის მატერიალურ ნაწილში გემოვნების შემთხვევითობის გარღვევა მანც ვერ მოახერხა. კანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ესთეტიკური ობიექტურობისა და გემოვნების მსჯელობის აპორია გააცნობიერა. მართალია, კანტმა გემოვნების მსჯელობის მომენტები ესთეტიკურად გაანალიზა, მაგრამ ისინი იმავდროულად ლატენტურად, ცნების გარეშე ობიექტურ მომენტებად გაიაზრა. ამის შედეგად მან ნებისმიერი ემფატიკური თეორიიდან არა უბრალოდ სურვილისამებრ გაქრობადი ნომინალისტური საფრთხე აღწერა და, ამასთან, ის მომენტებიც დააფიქსირა, რომლებითაც ასეთი თეორია საკუთარ თავს სცდება. საკუთარი საგნის სულიერმა მოძრაობამ ასეთ საგანზე, ასე ვთქვათ, თვალი დახუჭა; თუმცა ასეთი მოძრაობით კანტმა თავისი გარდაცვალებიდან ასორმოცდათი წლის შემდეგ წარმოშობილი ხელოვნების ყველაზე ძირული იმპულსები სააზროვნო სივრცეში შემოიტანა, რომლებიც ობიექტურობას ხელის ცეცებით ღია, დაუფარავ ელემენტში ექცენტ. განსახორციელებელი სწორედ ის იქნებოდა, რაც კანტის და ჰეგელის თეორიებში მეორადი რეფლექსის საშუალებით რეალიზაციას ელის. ფილოსოფიური ესთეტიკის ტრადიციის გაუქმებამ ეს ტრადიცია უნდა აღასრულოს.

იმანენტურად ესთეტიკის საჭიროება იმაში ვლინდება, რომ ის არც ზემოდან და არც ქვემოდან კონსტრუირებადი არ არის – არც ცნებებიდან და არც არაცნებითი გამოცდილებიდან. ასეთი მანკიერი ალტერნატივისგან თავის დაღწევაში ესთეტიკას მხოლოდ ფილოსოფიური წვდომა ეხმარება: ფაქტი და ცნება ერთმანეთს პოლარულად კი არ უპირისპირდებიან, არამედ მრავალმხრივ ურთიერთგაშუალებული არიან. ეს უნდა გაიშინაგანოს ესთეტიკამ მას შემდეგ, რაც კრიტიკამ ორიენტაცია იმდენად დაკარგა, რომ ხელოვნების პირისპირ, მცდარი ან შემთხვევითი მსჯელობის შედეგად, კრახს განიცდის. თუმცა, თუ ესთეტიკა არც ხელოვნებისთვის უცხო დირექტივა და არც უძლური კლასიფიკაცია არ უნდა აღმოჩნდეს, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ როგორც დიალექტიკური უნდა წარმოდგეს; საერთოდ, დიალექტიკური მეთოდის არცთუ გაუმართლებელი განსაზღვრება ის იქნებოდა, რომ

ის დედუქციურის და ინდუქციურის ისეთი გამიჯვნით არ უნდა დაკმაყოფილდეს, რომელიც ნივთისმიერად გაქვავებულ აზროვნებას გამსჭვალავს: სწორედ ასეთ გამიჯვნას უპირისპირდება გერმანულ იდეალიზმში, კერძოდ, ფიხტესთან, დიალექტიკის ყველაზე ადრინდელი ფორმულირება.<sup>12</sup> ესთეტიკას არ აქვს უფლება ჩამორჩეს არც ხელოვნებას და არც ფილოსოფიას. ჰეგელის ესთეტიკამ, უმნიშვნელოვანესი წვდომებით გაჯერებულობის მიუხედავად, მთავარ ნაშრომებში მოცემული დიალექტიკის ცნება ისევე ვერ დააკმაყოფილა, როგორც საკუთარი სისტემის სხვა მატერიალურმა ნაწილებმა. ამის მარტივად გამოსწორება შეუძლებელია. ესთეტიკურ დიალექტიკაში სულის მეტაფიზიკას ვერ წავიმდვარებთ, რომელსაც როგორც ჰეგელთან, ისე ფიხტესთან იმის გარანტირება სურდა, რომ ინდივიდუალური, რომლითაც ინდუქცია იწყება, და ზოგადი, რომლიდანაც გამომდინარე დედუქცია ხორციელდება, ერთი და იგივე იყოს. ესთეტიკას, თავად ფილოსოფიურ დარგს, უმფატიკური ფილოსოფიისთვის გახრნილის ხელახლა გამოლვიძება არ ძალუდს. თანამედროვე მდგომარეობასთან უფრო ახლოა კანტის თეორია. საკუთარ ესთეტიკაში კანტი აუცილებლის და იმავდროულად აუცილებლის დაფარულობის ცნობიერების ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობდა. ასეთი თეორია ერთგვარად ბრმა ნინსვლით გამოირჩევა. ის სიბრძელეში ხელს აცეცებს და მაინც სწორედ იმაში არსებული ზენოლით იმართება, რისკენაც მიინვეს. ეს დღეს ნებისმიერი ესთეტიკური ძალისხმევის ქვაკუთხედია. ხელოვნება ის არის, ან, საკუთარი მოჩვენებითობის ზოგადი განსაზღვრებით, უახლეს ზღვრამდე იყო ის, რადაც ყოვნა მეტაფიზიკას, არამოჩვენებითად, ყოველთვის მხოლოდ სურდა. როცა შელინგმა ხელოვნება ფილოსოფიის ორგანონად გამოაცხადა, მან უნებლიერ აღიარა ის, რასაც სხვა შემთხვევებში დიდებული იდეალისტური სპეციულაცია ჩქმალავდა ან, თვითშენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, სულაც უარყოფდა; ამდენად, როგორც ცნობილია, მან საკუთარი იგივეობის თეზისი ჰეგელის მსგავსად სიცოცხლეში უდრევად არ გაატარა. ესთეტიკური ტენდენცია, ეს უშველებელი ‘თითქოს’, მოგვიანებით კირკეგორმა ჰეგელთან აღიქვა, „დიდ ლოგიკაში“ მისი დაწვრილებითი დამტკიცება შესაძლებელი იქნებოდა.<sup>13</sup> ხელოვნება არსებული და, მეტნილად, გრძნობადია, რაც სულად სწორედ ისე განისაზღვრება, როგორც იდეალიზმი ამას არაესთეტიკური სისამდგოლის შესახებ მხოლოდ ამტკიცებს. ამის გამოცდილებას ისეთი მიამიტური კლიშე ფარავს, რომ ხელოვანს ან იდეალისტად შერახცავენ, ან, გემოვნებისდა მიხედვით, საკუთარი საგნის სავარაუდო აპსოლუტური გონიერების შედევრად – მასხარად. ხელოვნების ნაწარმოებები საკუთარი გარკვეულობით, ობიექტურად, და სულაც არა სულიერი პროცესებიდან მათი გენეზისის საშუალებით, სულიერი არიან: ნინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ჭამა-სმისგან პრინციპულად განუსხვავებელი იქნებოდნენ. თანამედროვე, აღმოსავლეთ ევროპის სივრციდან მომდინარე ესთეტიკურ დებატებს ფორმის კანონის როგორც სულიერის პრიმატი საზოგადოებრივი სინამდვილის შესახებ იდეალისტურ შეხედულებასთან ერევათ; ამდენად, ასეთი დებატები ცარიელია. ხელოვნება ემპირიულ რეალობასთან ნინააღმდეგობა მხოლოდ სულის სახით არის: სამყაროს არსებული წყობის განსაზღვრული ნეგაციისკენ მოძრაობს. ხელოვნების დიალექტიკური კონსტრუქ-

12 ob. Johann Gottlieb Fichte, Ausgewählte Werke in sechs Bänden, hg. von F. Medicus, Darmstadt 1962, Teil 3,გვ. 31 (Erste Einleitung in die Wissenschaftslehre).

13 ob. Theodor W. Adorno, Drei Studien zu Hegel, დასახ. ნაშრ., გვ. 138 და შმდ. და გვ.155.

## ადრინდელი შესავალი

ცია აუცილებელია, რამდენადაც სული მისი შინაგანი მახასიათებელია, თუმცა ხელოვნება ასეთ სულს არც როგორც აბსოლუტს არ ფლობს და არც მისი არსებობის გარანტიას გვაძლევს. ხელოვნების ნანარმოებები, რაც არ უნდა არსებულად გვევლინებოდნენ, სწორედ ასეთ სულსა და მის საკუთარ სხვას შორის მიმდინარე პროცესს დაკრისტალუბებია. ჰეგელის ესთეტიკისან განსხვავებაც აქ მულავნდება. ჰეგელის ესთეტიკაში ხელოვნების ნანარმოებების ობიექტურობა სულის თავად საკუთარ სხვაობაში გადასული და ასეთ სხვაობასთან იგივეობრივი ჭეშმარიტებაა. ჰეგელთან სული ტოტალობასთან გაიგივდა, თავად ხელოვნებაში ტოტალობის ჩათვლით. თუმცა, მას შემდეგ, რაც იდეალიზმის გენერალური თეზისი დაემხო, სული ხელოვნების ნანარმოებების მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია; ამასთან, ის მათი ხელოვნებად გადამქცევი მომენტია, მაგრამ სულაც არ არსებობს საკუთარ თავთან დაპირისპირებულის გარშე. ასეთ დაპირისპირებულს არც სული შთანთქავს და არც ისტორიაში არსებულა ოდესმე წმინდა ნანარმოებები, რომელთაც სულის თუ არასულისთვის მიეღწიათ. ნანარმოებებში სული მაკონსტიტუირებელად უწმინდურია. თითქოს ასეთი იგივეობის განმასახიერებელი ნანარმოებები უმნიშვნელოვანესი სულაც არ არიან. ამავე დროს, ის, რაც ხელოვნების ნანარმოებებში სულს უპირისპირდება, არც საკუთარი მასალების და ობიექტების ბუნებრივი ელემენტია. ასეთი ელემენტი ხელოვნების ნანარმოებებში მხოლოდ ზღვრულ ლირებულებას შეადგენს. ნანარმოებებთან დაპირისპირებული მათ შინაგანად ახასიათებს; მათი მასალები ისევე ისტორიულად და საზოგადოებრივად წინასწარფორმირებულია, როგორც მათი ხერხებიც; მათი ჰეტეროგენული ელემენტი კი ის არის, რაც მათ ერთიანობას ენინაალმდეგება და რასაც ასეთი ერთიანობა თავად საჭიროებს, რათა მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე წინაალმდეგობის არგამწევზე პიროვნის გამარჯვება. ამდენად, ესთეტიკური რეფლექსია ხელოვნების ისტორიას ეთანხმება: ის ცენტრში მუდამ დისონანსურს აქცევდა, კონსონანსისგან საკუთარი განსხვავების გაუქმებამდე. ხელოვნება ამით ეზიარება ტანჯვას, რომელიც ხელოვნების პროცესის ერთიანობის საშუალებით ენისკენ ილტვის და არ ქრება. ჰეგელის ესთეტიკა უბრალოდ ფორმალური ესთეტიკისგან საკუთარი სერიოზულობით განსხვავდებოდა. ჰარმონიისკენ მიღრეკილი მახასიათებლების, იდეის როგორც სულიერი გამოვლენის რწმენის მიუხედავად, ჰეგელმა ვითარება შეიცნო და ხელოვნება საჭიროებების ცნობიერებას დაუკავშირა. მან, ვინც პირველად იწინასწარმეტყველა ხელოვნების აღსასრული, ხელოვნების შენარჩუნების უზუსტესი მოტივიც დაასახელა: ეს თავად საჭიროებების გადარჩენაა; სწორედ საჭიროები ელიან გამოხატულებას, რომელსაც ხელოვნების ნანარმოებები უტყვით საჭიროებებისთვის როგორც მათი წარგზავნილები ახორციელებენ. თუმცა, ის, რომ სულის მომენტი ნანარმოებებისთვის იმანენტურია, იმის ტოლფასია, რომ ასეთი მომენტის მათ წარმომშობ სულთან, თუნდაც თვით ეპოქის სულთან, გაიგივება შეუძლებელია. ხელოვნების ნანარმოებში სულის განსაზღვრება ესთეტიკის უმაღლესი ამოცანაა – მით უფრო აუცილებელი, რამდენადაც ესთეტიკა სულის კატეგორიას უბრალოდ ფილოსოფიისგან ვერ გადმოიღებს. ნანარმოებების სულის იმასთან გაიგივების მიდრეკილების მქონე *common sense*-ს, რითიც, როგორც სულით, ნანარმოებები ავტორმა გაულინთა, უმაღ იმის აღმოჩნა უნევს, რომ ისინი მხატვრული მასალის წინაალმდეგობის, თავად ასეთი მასალის პოსტულატების, ისტორიულად აქტუალური მოდელებისა და ხერხების,

## ესთეტიკური გამოცდილება როგორც ობიექტური გაგება

ელემენტარულად უკვე ისეთი სულის საშუალებით, რომელსაც შემოკლებით და ჰელენისგან განსხვავებული აზრით, ობიექტური შეიძლება ეწოდოს, იმდენად არის თანაკონსტიტუირებული, რომ მისი სუბიექტურ სულზე დაყვანა ბათილდება. ეს ხელოვნების ნაწარმოებების სულის შესახებ საკითხს საკუთარი გენეზისის საკითხისგან აშორებს. მატერიის და შრომის ურთიერთმიმართება ჰეგელმა ბატონის და ყმის დიალექტიკში გაძალა, რომელიც თვალსაჩინოდ სწორედ ხელოვნებაში რეპროდუცირდება. თუ „ფენომენოლოგიის“ ეს თავი ისტორიულად ფეოდალიზმის ხანას გვახსენებს, თავად ხელოვნებას, უკვე საკუთარი არსებობით, არქაულობა ახასიათებს. ამის შესახებ რეფლექსია განუყოფელია ხელოვნების არსებობის შენარჩუნების უფლებაზე რეფლექსისგან. დღევანდელმა ნეოტროგლოდიტმა ეს კულტურის შეუპოვარი ცნობიერების მიამიტობაზე უკეთ იცის.

ესთეტიკური თეორია როგორც აპრიორისტულ კონსტრუქციას უფრთხის, ისე ზეალმავალ აბსტრაქციას ერიდება; მისი ასპარეზი ესთეტიკური საგნის გამოცდილებაა. ასეთ საგანს უბრალოდ გარედან ვერ შევიმეცნებთ, ის თეორიისგან გაგებას ითხოვს, სულ ერთია, თუ აბსტრაქციის რა დონეზე. ფილოსოფიურად, გაგების ცნებას, იქნება ეს დილთაის სკოლა თუ თანაგრძნობის მსგავსი კატეგორიები, სახელი შეელახა. თუ ასეთ თეორემებსაც გავაბათილებთ და ხელოვნების ნაწარმოების გაგებას მეკაცნად საკუთარი ობიექტურობის საშუალებით განსაზღვრული შემეცნების სახით ვითხოვთ, სირთულები ვერ დაილევა. წინასწარ უნდა ვალიაროთ, რომ, თუკი საერთოდ სადმე, შრეების თანახმად შემეცნება სწორედ ესთეტიკაში ხორციელდება. მხოლოდ თვითნებურად თუ შევძლებდით ასეთი სტრატიფიკაციის დასანყისის გამოცდილებაში დაფიქსირებას. მისი ამოსავალი წერტილი ესთეტიკურ სუბლიმაციაზე გაცილებით უფრო ღრმაა: ის ცოცხალა აღქმისგან განუყოფელია. გამოცდილება აღქმასთან ნათესაობრივ კვშირს ინარჩუნებს, თუმცა რაც არის, მხოლოდ უშუალობისგან დაშორების საშუალებით იქცევა, რომელიც კვლავ ჩაძირვის საფრთხეს ყოველთვის განიცდის, განათლებიდან გარიყულთა მსგავსად, თეატრალური პიესის თუ კინოფილმის მოქმედების თხრობისას პრეზენტის ნაცვლად პერფექტის დროს რომ იყენებენ; ამავე დროს, ასეთი უშუალობის ნებისმიერი კვალის გარეშე ხელოვნებისული გამოცდილება ისევე ამაოა, როგორც ასეთი მომენტის მსხვერპლად ქცეულიც. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი ნაწარმოების მომასწავებელ უშუალო არსებობას, სურს ეს თუ არა, ალექსანდრიული გამოცდილება ვერ აღნევს. ესთეტიკური ელემენტის ხელოვნებამდე მყოფი გამოცდილების მცდარობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელოვნების ნაწარმოებებთან თავს აიგივებს და არც აიგივებს, როგორც ემპირიულ სიცოცხლეში და, შესაძლოა, მით უფრო მაღალი ხარისხთაც – სწორედ ისეთი განწყობის საშუალებით, რომელსაც სუბიექტივიზმი ესთეტიკური გამოცდილების ორგანოდ განიხილავს. უახლოვდება რა ნაწარმოებს ცნების გარეშე, ის გემოვნების სფეროში გამომწყვდეული რჩება და ნაწარმოებს ისევე მანკიერად ექცევა, როგორც მისი ფილოსოფიური ფრაზების ნიმუშად დამახიჯება. უდარდელად მაიდენტიფიცირებელი დახვენილობის სირბილე ხელოვნების ნაწარმოების ურყეობას ღალატობს; თუმცა, ურყევი აზრი საკუთარ თავს რეცეფციულობის მომენტში ატყუებს, რომლის გარეშეც აზრი ვერ იქნებოდა. ხელოვნებამდე მყოფი გამოცდილება პროექცი-

ას ითხოვს,<sup>14</sup> ესთეტიკური გამოცილება კი, სწორედ მასში სუბიექტურობის აპრიორული უპირატესობის შედეგად, სუბიექტის საპირისპირო მოძრაობაა. ესთეტიკური გამოცდილება მჭვრეტელის ერთგვარ თვითუარყოფას საჭიროებს: მის უნარს, უპასუხოს ან აღიქვას ის, რასაც ესთეტიკური ობიექტები დამოუკიდებლად გამოთქამენ და რის შესახებაც იმავდროულად დუმან. ესთეტიკური გამოცდილება, უპირველეს ყოვლისა, მჭვრეტელსა და ობიექტს შორის დაშორებას ამყარებს. დაუინტერესებელი ჭვრეტის შესახებ აზრით ეს უკვე იგულისხმება. ფილისტერები ისინი არიან, ვისი ხელოვნების ნაწარმოებებთან დამოკიდებულებაც იმით იმართება, შეუძლიათ თუ არა მათ – და რა დონემდე – მაგალითად, ნაწარმოებებში მოქმედ პიროვნებათა ადგილის დაკავება; კულტურის ინდუსტრიის ნებისმიერი დარგი ამას ეყრდნობა და საკუთარ კლიენტებსაც ასეთ შთაბეჭდილებას უმყარებს. რაც უფრო მეტად ეუფლება ხელოვნებისაული გამოცდილება საკუთარ საგნებს, რაც უფრო, გარკვეული აზრით, ახლოა მათთან, მით უფრო შორდება; ხელოვნებით აღფრთოვანება ხელოვნებისთვის უცხოა. შედეგად, ესთეტიკური გამოცდილება, როგორც ეს მოპენპაუერმა გააცნობიერა, ჯიუტი თვითშენარჩუნების მოჯადოებას არღვევს: ის ცონბიერების ისეთი მდგომარეობის მოდელია, რომელშიც მე უკვე საკუთარი ინტერესების, საბოლოოდ კი, საკუთარი რეპროდუქციის საშუალებით ბეჭდიერებას ვეღარ აღწევს. – თუმცა, ვინც რომანის ან დრამის მოქმედების განვითარებას, მოტივაციებთან ერთად, ადეკვატურად ალიქამს, ან ნახატზე ადეკვატურად ამოიცნობს საგნობრივ ვითარებებს, ამით ქმნილებებს ჯერ სულაც არ გებულობს; ეს ისევე გასაგებია, როგორც ისიც, რომ გაგება იმავდროულად ასეთ მომენტებს საჭიროებს. არსებობს ისეთი ზუსტი ხელოვნებათმცოდნეობითა აღწერები, თვით ანალიზებიც კი – მაგალითად, მუსიკის ზოგიერთი თემატური ანალიზი –, რომლებიც ვერავითარ არსებით ელემენტს ვერ სწვდებიან. მეორე შერე ნაწარმოების განზრახვის გაგება იქნებოდა, იმის, რისი გაზიარებაც თავისითავად სურს ტრადიციული ესთეტიკის ენით: ნაწარმოების იდეისა, მაგალითად, სუბიექტური ზნების დამაშავეობა იძსენის „ველურ იხვში“. თუმცა, ნაწარმოების განზრახვა საკუთარი შიდაარსის იგივებრივი არ არის და განზრახვის გაგებაც მხოლოდ წინასწარია. მაგალითად, მას არ შეუძლია იმის შესახებ მსჯელობა, რეალიზებულია თუ არა განზრახვა ნაწარმოების ქსოვილში; ახორციელებს თუ არა საკუთარი აღნაგობა, ხშირად ანტაგონისტურ ძალთა თამაშს, რომლებიც ნაწარმოებში ობიექტურად მის განზრახვებს მიღმა ქმდებენ. გარდა ამისა, განზრახვის გაგება ჯერ ვერც ნაწარმოების ჭეშმარიტების შიდაარსს ვერ სწვდება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნაწარმოების გაგება, არსებითად და არა უბრალოდ ბიოგრაფიული შემთხვევითობის თვალსაზრისით, პროცესია. ის სულაც არ არის იდუმალი განცდა, რომელსაც ყველაფერი თითქოს ჯადოსნურად, ერთი ხელის მოსმით ერგება და მაინც საგანთან მისაღწევ კარიბჭედ რჩება. გაგების იდეა ის არის, რომ ხელოვნების ნაწარმოების სრულ გამოცდილებაში გავლით მისი შიდაარსი სულიერის სახით ცნობიერდება. ეს ისევე ეხება ასეთი შიდაარსის მატერიასთან, მოვლენასა და განზრახვასთან მიმართებას, როგორც მის საკუთარ ჭეშმარიტობა-მცდარობას, ხელოვნების ნაწარმოების ისეთი სპეციფიკური ლოგიკის

<sup>14</sup> იხ. Max Horkheimer und Theodor W. Adorno, Dialektik der Aufklärung, დასახ. ნაშრ., გვ. 196 და შმდ. // მაქს ჰორქემაიმერი და თეოდორ ვ. ადორნო, განმანათლებლობის დიალექტიკა, დასახ. ნაშრ., გვ. 270. და შმდ.

თანახმად, რომელიც მასში ჭეშმარიტის და მცდარის განსხვავებას გვასწავლის. ნაწარმოებებს მხოლოდ მაშინ ვგებულობთ, როცა მათი გამოცდილება ჭეშმარიტის და არაჭეშმარიტის ალტერნატივას ან, როგორც ამის ნინასაფეხურს, მართებულის და მცდარის ალტერნატივას აღწევს. კრიტიკა ესთეტიკურ გამოცდილებას გარედან არ ემატება, არამედ მისთვის იმანენტურია. ხელოვნების ნაწარმოების ჭეშმარიტების კომპლექსიად წვდომას ნაწარმოები საკუთარ არაჭეშმარიტებასთან მიმართებაში მოჰყავს, რადგან არ არსებობს ნაწარმოები, საკუთარი თავის გარეთ მყოფ, მსოფლიო ეპოქის არაჭეშმარიტ ელემენტს რომ არ ეზიარებოდეს. ისეთი ესთეტიკა, რომელიც საკუთარი პერსპექტივით ჭეშმარიტებას არ უახლოვდება, საკუთარი ამოცანის მიმართ დუნდება; უმეტეს შემთხვევაში, კულინარიული ხდება. რადგან ხელოვნების ნაწარმოებებისთვის ჭეშმარიტების მომენტი არსებითა, ისინი შემეცნებაში მონაწილეობენ და, ამდენად, მასთან ლეგიტიმურ მიმართებაში. ნაწარმოებების ირაციონალობის ხელში ჩაგდება, უფრო მაღალის მომიზეზბით, სწორედ მათი სიმაღლის მიმართ დანაშაულებრივია. ხელოვნების ნაწარმოებების შემეცნება თავის საკუთარ შემეცნებით გარკვეულობას მიჰყვება: ისინი ისეთი შემეცნების წესია, რომელიც ობიექტის შემეცნება არ არის. ასეთი პარადოქსი იმავდროულად ხელოვნებისეული გამოცდილების პარადოქსიცაა. მისი მედიუმი გაუგებარი ელემენტის თავისთავადი სიცხადეა. ხელოვანები სწორედ ასე იქცევიან; ხშირად ეს არის მათი თეორიების ერთგვარი აპოკრიფულობის და უძლურების ობიექტური საფუძველი. ხელოვნების ფილოსოფიის ამოცანა არა იმდენად ახსნა-განმარტებების საშუალებით გაუგებარი მომენტის გაუქმებაა, რასაც თითქმის გარდაუვალად ცდილობდა სპეკულაცია, რამდენადაც თავად გაუგებრობის გაგება. ასეთი გაუგებრობა საგნის ხასიათის სახით შენარჩუნდება; მხოლოდ ეს იცავს ხელოვნების ფილოსოფიას საგანზე ძალადობისგან. საკითხი გაგებადობის შესახებ უკიდურესად მწვავდება აქტუალური წარმოების პირისპირ. ეს კატეგორია, თუკი გაგება სუბიექტში არ უნდა გადაიტანოთ და ფარდობითობაზე გავწიროთ, ხელოვნების ნაწარმოებში ობიექტურად გაგებად ელემენტს პოსტულირებს. თუ ნაწარმოები გაგებადობის შეუძლებლობის გამოხატულებას მიზნად ისახავს და მისი სახელით საკუთარ გაგებადს თავად ხრნის, გაგების დამკვიდრებული იერარქიაცი იმსხვრევა. მის ადგილს ხელოვნების გამოცანის ხასიათზე რეფლექსია იყავებს. თუმცა, სწორედ ეგრეთ წოდებულ აბსურდულ ლიტერატურაში – ეს კრებითი ცნება მეტისმეტად ჰეტეროგენულს ეკვრება იარლიყად, რომ მოქნილი გაგების გაუგებრობაზე მეტი გამოიწვიოს – მუდავნდება ის, რომ გაგება, საზრისი და შიდაარსი ეკვივალენტები არ არიან. საზრისის არასებობა განზრახვად იქცევა, სხვათა შორის, არცთუ ყოველთვის ერთი და იმავე შედეგით; იონესკოს „მარტორექტის“ მსგავს პიესებში, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანურ განსჯას ადამიანების მარტორექტად გარდასახვა ეყისრება, საკმაოდ ნათლად შეიძლება იმის აღქმა, რასაც უწინ იდეას უწოდებდნენ: ლაქლაქისა და სტანდარტიზებული ცნობიერებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა, რომლის უნარიც, პიესის თანახმად, არა იმდენად წარმატებით ადაპტირებულთა კეთილზომიერად ფუნქციონირებად მე-ს, რამდენადაც სწორედ მათ აქვთ, ვინც გაბატონებულ მიზნობრივ რაციონალობას ბოლომდე არ ან ვერ აპყოლია. საგარაუდოდ, რადიკალურად აბსურდულის განზრახვა ხელოვნების მოთხოვნილებიდან აღმოცენდება: მეტაფიზიკური უსაზრისობის მდგომარეობა ხელოვნების საზრისის მომშორებელ ენად უნდა ითარგმნოს, პოლემიკურად, მაგა-

## ადრინდელი შესავალი

ლითად, სარტრის წინააღმდეგ, რომელიც ასეთ მეტაფიზიკურ გამოცდილებას, თავის მხრივ, საკმაოდ ურყევად, სუბიექტურად, ქმნილებაში მოცემულად იაზრებს. ნეგატიური მეტაფიზიკური შიდაარსი ბეკეტთან, ფორმასთან ერთად, შეთხულზეც ზემოქმედებს. თუმცა, ამის შედეგად ქმნილება აპსოლუტურად გაუგებარი არ ხდება; მისი ავტორის დასაბუთებული უარი, საგარუედ სიმბოლოების ახსნები გადმოვგიშალოს, სხვა მხრივ უკუგდებული ესთეტიკური ტრადიციის ერთგულებას ინარჩუნებს. მეტაფიზიკური შიდაარსის ნეგატიურობასა და ესთეტიკური შიდაარსის დაბნელებას შორის მიმართება სუფევს და არა იგივეობა. მეტაფიზიკური უარყოფა ისეთი ესთეტიკური ფორმის საშუალებას აღარ იძლევა, რომელიც თავად მეტაფიზიკურ ჰოყოფას გამოიწვევდა, თუმცა მას, მიუხედავად ამისა, ესთეტიკურ შიდაარსად ქცევა, ფორმის განსაზღვრება შეუძლია.

ხელოვნებისეული გამოცდილების ცნება, რომელშიც ესთეტიკა გადადის და, რადგან ის გაების სურვილს ინარჩუნებს, პოზიტივიზმს ვერ იწყნარებს, იმავდროულად ნანარმოების იმანენტური ანალიზის მოარულ ცნებას სულაც არ ემთხვევა. იმანენტური ანალიზი, რომელიც ხელოვნებისეული გამოცდილებისთვის, ფილოლოგის საპირისპიროდ, თავისთვად ცხადია, მეცნიერებაში უსათუოდ გადამწყვეტ პროგრესს აღნიშნავს. ხელოვნებათმცოდნების დარგებმა, მაგალითად, მუსიკის აკადემიურმა გარჩევამ, მხოლოდ მაშინ გამოიღვიძეს საკუთარი ფარისეულური ლეთარგიდან, როცა ასეთი მეთოდი დაგვიანებით აითვისეს, იმის ნაცვლად, რომ ხელოვნების ნანარმოების სტრუქტურული საკითხების გარდა ყველაფრით დასაქმდნენ. ნანარმოების იმანენტური ანალიზის საშუალებით მეცნიერებას ხელოვნების მიმართ უცხოობის განკურნვა სურდა – თუმცა მეცნიერებაში ადაპტაციით, თავის მხრივ, ასეთმა ანალიზმა პოზიტივიზმის ნიშნები შეიძინა, რომელთა გადალახვასაც ესწრაფოდა. ის სიმკაცრე, რომლითაც ის საგანზე კონცენტრირდება, ნანარმოებში იმ ყველაფრის უკუგდებას აადვილებს, რაც მასში, მეორე პოტენციის ფაქტში, მოცემული არ არის, რასაც ადგილი არ აქვს. ასევე, მუსიკალურად, უსაგნო მსჯელობის განმკურნავი მოტივის თემატური ანალიზები ხშირად თავად ისეთი ცრურნმენით სნეულდებიან, თითქოს ძირითადი მასალების და მათი ვარიაციების დანაწევრების საშუალებით უკვე სწვდნენ იმას, რასაც შემდეგ, უწვდომელად და ასეთი ასკეზის კორელაციურად, მანკიერი ირაციონალობაში აღიარებენ. ნანარმოების იმანენტური განხილვა არცთუ შორია ჯიუტი ხელოსნობისგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღმოჩენები მეტნილად ასევე იმანენტურად გამოსწორებად იქნებოდა, როგორც არასაკმარისი ტექნიკური წვდომა. ფილოსოფიურ ესთეტიკას, ნანარმოების იმანენტური ანალიზის იდეასთან დაახლოებულს, მიუხედავად ამისა, საკუთარი სამკვიდრო იქ აქვს, სადაც ასეთი ანალიზი ვერ აღწევს. ესთეტიკის მეორადმა რეფლექსიამ ასეთი ანალიზის საშუალებით მიგნებული საგნობრივი ვითარებები საკუთარი თავს მიღმა უნდა გაიყვანოს და ემფატიკური კრიტიკის საშუალებით მათი ჭეშმარიტების შიდაარსისკენ ილტვოდეს. ნანარმოების იმანენტური ანალიზი თავისთვად, ასევე, უეჭველად რათა ხელოვნების შესახებ საზოგადოებრივი რეფლექსია ჩაახშის, შევიწროებულია. ის, რომ ხელოვნება, ერთი მხრივ, საზოგადოებას დამოუკიდებლად უპირისპირდება, მეორე მხრივ კი, თავადაც საზოგადოებრივია, მის გამოცდილებას საკუთარ კანონს უწესებს. ვინც ხელოვნებაში მხოლოდ საკუთარ მატერიალურ ელემენტს განიცდის და მას ესთეტიკად მორთავს, ფილისტერია, თუმცა ის, ვინც

მას მხოლოდ ხელოვნებად აღიქვამს და ამას პრეროგატივად აქცევს, მის შიდაარსს კარგავს. რამეთუ შიდაარსი, თავის მხრივ, კვლავ მხოლოდ ხელოვნება ვერ იქნება, თუ ის ტავტოლოგიის სახით არ უნდა გაანეიტრალოს. ხელოვნების ნაწარმოებს ისეთი ჭვრეტა ვერ სწოდება, რომელიც მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ნაწარმოების შინგანი შემადგენლობა, რაც არ უნდა ძლიერ გაშუალებულად, საჭიროებს იმას, რაც, თავის მხრივ, ხელოვნება არ არის.

მხოლოდ გამოცდილება, ამდენად, ესთეტიკურად საკმარისი ლეგიტიმაციის წყარო არ არის, რადგან მას ისტორიის ფილოსოფია საზღვარს უწესებს. სადაც ის მას გადალახავს, თანამგრძნობ დაფასებად ჩამოქეცითდება. ნარსულის მრავალი ნაწარმოების უშუალო გამოცდილება, მათ შორის ყველაზე ცნობილების, უკვე შეუძლებელია და ასეთი უშუალობის ფიქცია მათ სცდება. თუ მართებულია, რომ ისტორიული ტემა გეომეტრიული პროგრესიის კანონის შესაბამისად ჩქარდება, ის უკვე ჩვენგან ისტორიულად არცთუ შორის მყოფ ნაწარმოებებსაც ითრევს. ისინი ჯიუტად სპონტანურად ხელმისაწვდომის მოჩვენებას ინარჩუნებენ, სწორედ რომლის განადგურებაც იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა, საჭირო, რათა მათი შემეცნება შესაძლებელი გამხდარიყო. ნაწარმოები არქაულები საკუთარი განუცდელობის მდგომარეობაში არიან. ასეთი ზღვარი ურყევად და უწყვეტად არ გაივლება; პირიქით, ის წყვეტილია, დინამიკური, და შეიძლება *correspondance*-ის საშუალებით მოიშალოს. არქაულობის როგორც არაგანცდადის გამოცდილების თვისება ხდება. თუმცა, გამოცდილების საზღვარი გვაიძულებს, რომ ათვლის წერტილად მოდერნი ავილოთ. მხოლოდ ის თუ მოჰყენს ნათელს ნარსულს მაშინ, როცა ნარსულით შემოფარგვლის აკადემიური ჩვეულება ნარსულს ვერ სწვდება და იმავდროულად, დამორჩინების რღვევით, შეუქცევადის მიმართ დანაშაულს სჩადის. თუმცა, საბოლოოდ, ხელოვნებას, თვით საზოგადოების უკიდურესი ნეგაციისას, საზოგადოებრივი არის აქვს და გაუგებარი რჩება იქ, სადაც, ამავე დროს, ასეთი არსის გაება არ ხდება.<sup>15</sup> ამით ხელოვნებისეული გამოცდილება საკუთარ პრეროგატივას კარგავს. ამაში დამნაშავე კატეგორიებს შორის გზააბნეულად მოხეტიალე ხერხია. მხატვრულ გამოცდილებას შინაგანად წინააღმდეგობა ამოძრავებს: ესთეტიკური სფეროს მაკონსტიტუირებელი იმანენტურობა იმავდროულად მისი გამოცარიელებული იდეოლოგიაცაა. ესთეტიკურმა გამოცდილებამ საკუთარ თავს უნდა გადააბიჯოს: ის უკიდურესობები გაივლის, მათ შორის მანკიერ საშუალოში მშვიდობიანად არ სახლდება. ის არც ფილოსოფიურ მოტივებზე ამბობს უარს, რადგან მათ თავად გარდაქმნის აყოლების ნაცვლად, და არც საზოგადოებრივი მომენტის ეგზირცირებას ახდენს. ბეთჟოვენის სიმღონიას ვერც ის უდებს ალღოს, ვინც ეგრეთ წოდებულ წმინდა მუსიკალურ პროცესებს მასში ვერ გებულობს, და ვერც ის, ვინც მასში ფრანგული რევოლუციის ექს ვერ აღიქვამს<sup>16</sup> – და ასევე იმას, თუ როგორ არის ეს ორი მომენტი ფენომენში ერთმანეთით გაშუალებული. ეს ფილოსოფიური ესთეტიკის ხისტ და იმავდროულად გარდაუვალ თემას ნარმოადგენს. ამას არა განცალკევებული გამოცდილება, არამედ მხოლოდ მისით გაუდენილი აზრი უმკლავდება. ესთეტიკა ცნების გარეშე ესთეტიკური ფენომენებს არ უნდა ემსგავსებოდეს. ხელოვნების გამოცდილებას გარეგანის და შინაგანის,

15 ob. Theodor W. Adorno, Noten zur Literatur I, 6. Aufl., Frankfurt am Main 1968, გვ. 73 და შმდ.

16 ob. Theodor W. Adorno, Einleitung in die Musiksoziologie. Zwölf theoretische Vorlesungen, 2. Aufl., Reinbek 1968, გვ. 226.

ხელოვნებისთვის იმანენტური ასეთი ანტაგონიზმის ცნობიერება ეკუთვნის. ეს-თეტიკური გამოცდილებების მხოლოდ აღწერა, თეორია და მსჯელობა, არასაკ-მარისია. თუ ნაწარმოებების გამოცდილება და არა უბრალოდ გარედან მათზე მორგებული აზრი გვჭირდება, მაშინ არც ისინი, პირიქით, უშუალო მოცემუ-ლობაში ადეკვატურად არ გადმოიცემა; ვერცერთ ნაწარმოებს წმინდად საკუთარი თავიდან გამომდინარე ვერ გავიგებთ. ნებისმიერი საკუთარი ლოგიკით და თან-მიმდევრულობით შინაგანად ისევე ყალიბდება, როგორც იმავდროულად სულის და საზოგადოების კონტექსტის მომენტია. ასეთი ორი მომენტის, სციენტისტუ-რი ჩვეულებით, წმინდად ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებელია. იმანენტურ სიმწყობრეში გარეგნული ელემენტის მართებული ცნობიერება მონაწილეობს; ნაწარმოების სულიერი და სოციალური პოზიცია მხოლოდ საკუთარი შინაგანი ელემენტისკენ მიმართულ კრისტალიზაციის გავლით შეიძლება დადგინდეს. არ არსებობს ხელოვნებისეული ჭეშმარიტი, რომლის ჭეშმარიტებაც ლეგიტიმაციას ყოვლისმომცველად არ მოიპოვებს; არ არსებობს მართებული ცნობიერების მქონე ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შინაგანი ესთეტიკური ხარისხით არ დასტურ-დება. აღმოსავლეთის ბლოკის კიტჩი ისეთი პოლიტიკური პრეტენზიის არაჭეშ-მარიტებაზეც მეტყველებს, თითქოს იქ საზოგადოებრივად ჭეშმარიტი მიღწეულია. თუ ესთეტიკური გაგების მოდელი ხელოვნების ნაწარმოებში მოძრავი მიმართებაა, თუ გაგება საკუთარ თავს საფრთხეს უქმნის, როგორც კი ცნობიერება ასეთი ზონიდან ამოხტება, ასეთი ცნობიერება, თავის მხრივ, მოძრავი უნდა დარჩეს, ყოველთვის თანაბრად შინაგანიც იყოს და გარეგანიც, აზრის ასეთი მოძრაობით განცდილი წინააღმდეგობის მიუხედავად. ვინც მხოლოდ შინაგან სფეროში იმ-ყოფება, მისთვის ხელოვნება თვალს არ ახელს; ვინც მხოლოდ გარეთ დარჩებო-და, ხელოვნების ნაწარმოებებს მსგავსების ნაკლებობის შედეგად გააყალბებდა. თუმცა, ესთეტიკა ასეთ ორ პოზიციას შორის რაფსოდიულ მიმორხევებს იმის სა-შუალებით აღემატება, რომ მათ გადახლართულობას თავად საგანში ავითარებს.

ბურჟუაზიული ცნობიერება ხელოვნებისთვის უცხოს ეჭვისკენ იხრება, რო-გორც კი ჭვრეტა პოზიციას ხელოვნების ნაწარმოების გარეთ იყავებს ისევე, რო-გორც ნაწარმოებებთან მიმართებაში, ჩვეულებრივ, მართლაც გარეთ ხეტიალობს. ასეთ ეჭვს უნდა შევახსენოთ, რომ ხელოვნებისეული გამოცდილება მთლიანობა-ში სულაც არ არის ისე უშუალო, როგორც ხელოვნების ოფიციალურ რელიგიას სურს. ნებისმიერი ნაწარმოების გამოცდილება საკუთარ სიტუაციას, საკუთარ სტატუსს, პირდაპირი და გადატანითი აზრით, საკუთარ ადგილსამყოფელს უკავ-შირდება. ზედმეტად მონადინებულ გულუბრყვილობას ამის აღიარება არ სურს და უბრალოდ ვერ სწვდება იმას, რაც მისთვის წმინდაა. მართლაც, ნებისმიერი ნაწარმოები, ჰერმეტულად დახურულის ჩათვლით, საკუთარი ფორმალური ენის საშუალებით მონადოლოგიური დახურულობის ფარგლებს სცდება. თითოეულ ნაწარმოებს, რათა მისი გამოცდილება შესაძლებელი გახდეს, სჭირდება, თუნ-დაც ჩანასახობრივი, აზრი, ხოლო რადგან აზრის შეჩერება შეუძლებელია, სინამ-დვილები – ფილოსოფია, როგორც მოაზროვნე ქცევა, რომელსაც შრომის განაწ-ილების საფუძველზე გაცემული განკარგულებები არ წყვეტს. აზრის ზოგადობის საშუალებით, ხელოვნების ნაწარმოების მიერ ნებისმიერი შინაგანად მოთხოვნილი რეფლექსია, ასევე, გარეგანია; ნაყოფიერია თუ არა, ამას ის წყვეტს, თუ რას გა-მოამზეურებს ნაწარმოების შინაგანი ელემენტიდან. ესთეტიკის იდეას შინაგანად

ახასიათებს ხელოვნების თეორიის საშუალებით გაუხეშებისგან გათავისუფლება, რაც მისთვის შრომის განაწილების გარდაუვალი შედეგია. ნაწარმოებების გაგება მათი ახსნისგან ჯორის არ არის, თუმცა ეს არა გენეტიკურ, არამედ საკუთარი კომპლექსის და შიდაარსის ახსნას ეხება, მიუხედავად იმისა, რომ არც ახსნა და არც გაგება ერთმანეთს არ ემთხვევა. გაგებას როგორც სპონტანური შესრულების არაამბესწელი, ისე ამხსნელი შრე ეკუთვნის; ის ტრადიციული ყაიდის ხელოვნების განმარტებას სციდლება. ახსნა, ასევე, ნებისთ თუ უნებლივთ, ახალის და უცნობის ნაცნობზე დაყვანას გულისხმობს, თუმცა ნაწარმოებებში მათი საკუთარი ელემენტი ამას ეწინააღმდეგება. ხელოვნების ნაწარმოებების ასეთი შემბლალავი რეალურის გარეშე ისინი ვერ გადარჩებოდნენ. მათი არსებითი, უნვდომელი ელემენტი მაიცემნებით აქტიურ აქტებზე, წვდომაზეა დამოკიდებული; ამის შედეგად კი ნაცნობად და ძველად ყალბდება. ამდენად, ნაწარმოებების სიცოცხლე თავად ნინააღმდეგობრივია. ეს პარადოქსი ესთეტიკამ უნდა გააცნობიეროს. მას არ აქვს უფლება ისე მოიქცეს, თითქოს მისი მხრიდან ტრადიციისთვის ზურგის შექცევას რაციონალური საშუალებები არ აქვს. ესთეტიკა ზოგადი ცნებების მედუმში თავად ხელოვნების რადიკალურად ნომინალისტური სიტუაციის პირობებშიც კი მოძრაობს, ხელოვნებასთან გაზიარებული კერძოს უტროპის მიუხედავად. ეს არა მხოლოდ ხელოვნების გასაჭირია, არამედ საკუთარ *fundamentum in re*-საც ფლობს. თუ რეალურის გამოცდილებაში ზოგადია ის, რაც ნამდვილად გაშუალებულია, ხელოვნებაში ეს კერძოა; თუ არაესთეტიკური შემცნება, კანტის ფორმულირებით, ზოგადი მსჯელობის შესაძლებლობის საკითხს განიხილავდა, მაშინ ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები სვამს კითხვას, თუ როგორ არის ზოგადის ბატონობის პირობებში საერთოდ შესაძლებელი რაღაცის მაინც კერძოდ ყოფნა. ეს ესთეტიკას, რომლის მეთოდიც აპსტრაქტული ცნებების ქვეშ სუბსუმცია არ არის, ცნებებზე დამოკიდებულს ხდის, სახელდობრ, ისეთებზე, რომელთა ტელოსიც კერძოა. ჰეგელის მოძღვრება ცნების მოძრაობის შესახებ, თუ საერთოდ სადმე, სამართლიანი სწორედ ესთეტიკაშია; ის ზოგადის და კერძოს ისეთი ურთიერთზემოქმედებას განიხილავს, რომელიც ზოგადს კერძოს გარედან კი არ ჩაუნერგავს, არამედ მას თავად კერძოს ძალის ცენტრებში ექებს. ზოგადი ხელოვნების სკანდალია: რადგან ხელოვნება იმად იქცევა, რაც არის, მას არ შეუძლია იყოს ის, რადაც სურს ყოფნა. ინდივიდუაციას, თავის საკუთარ კანონს, საზღვარს სწორედ ზოგადი უდეგენს. ხელოვნება გარეთ მიგვიძლვის და იმავდროულად არც მიგვიძლვის; მის მიერ რეფლექსის საგნად ქცევული სამყარო რჩება ის, რაც არის, რადგან ხელოვნება მას სწორედ მხოლოდ რეფლექსის საგნად აქცევს. თვით დადაც კი, როგორც მიმთითებელი ჟესტი, რომლადაც სიტყვა საკუთარი ცნებითობის მოსაშორებლად გარდაიქმნება, ისევე ზოგადი იყო, როგორც ბავშვურად გამეორებული ჩვენებითი ნაცვალსახელი, დადას ლოზუნგად დასახული. ხელოვნება აბსოლუტურად მონადოლოგიურ ელემენტს ნატურულობს და, საბენიეროდ და საუბედუროდაც, მაინც ზოგადით გაჯერებულია. ის აუცილებლად უნდა გასცდეს ისეთი აბსოლუტური ზემოქმედების მოძრაობის მოუნევდა, თუ ხელოვანები ნაცნობად კონფორმისტულად ვითარებას მოერგებოდნენ: ისინი ექსპრესიონიზმის მიღმა რეგრესს განიცდიდნენ. სადაც არ უნდა გაეუქმებინათ პოლემიკურად ხელოვნების ნაწარმოებებს საკუთარი დაკონ-

კრეტების ტრაექტორიაზე ზოგადი ელემენტი – უანრი, ტიპი, იდიომა, ფორმულა –, ასეთი გამორიცხული, საკუთარი ნეგაციის საშუალებით, ნაწარმოებებში მაინც ყოველთვის მოცემული რჩება; ეს მოდერნისთვის მაკონსტიტუირებელია.

ზოგადის სიცოცხლის წვდომას სპეციფიკაციის წიაღში ზოგადობა სტატიკური თავისთავად ელემენტის მოჩვენების ფარგლებს გარეთ გაპყავს, რომელიც ესთეტიკური თეორიის სტრუქტურობაში დამნამავე იყო. მუზმივების კრიტიკა თავად მათ არ უარყოფს, არამედ მათ ცვალებადობას იაზრებს. ესთეტიკა საკუთარ საგანს საწყისურ ფენომენად არ განიხილავს. ფენომენოლოგადა და მის წიადაგზე განვითარებული თეორიები ესთეტიკას ერგებიან, რადგან ისინი, როგორც ეს თავად ესთეტიკას უნდა მოეთხოვებოდეს, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან მომდინარე ხერხებს ეწინააღმდეგებიან. ხელოვნების ფენომენოლოგიას არც ხელოვნების ფილოსოფიური ცნებიდან განვითარება სურს და არც კომპარატიული აბსტრაქციის საშუალებით მასთან აღმასვლა, არამედ მხოლოდ იმის გამოთქმა, თუ რა არის ხელოვნება. ასეთ არსა ფენომენოლოგია ხელოვნების საწყისად მიიჩნევს, მისი ჭეშმარიტისა და არაჭეშმარიტის კრიტერიუმად. თუმცა, რაც ასეთ შემთხვევაში ხელოვნებიდან გვიმზერს, როგორც თითქოს ჯადოსნური ჯოხით გამოტყუებული, უკიდურესად უშინაარსო რჩება და მხატვრული გამომჟღავნებებისთვის დიდ შედეგს ვერ იძლევა. ვისაც მეტის მიღწევა სურს, საგონბრიობას უნდა დაუთმოს ყურადღება, რომელიც წმინდა არსობრიობის ცნებასთან შეუთავსებადია. ხელოვნების ფენომენოლოგიას წაუმდვარებლობის ნანამძღვარი ამარცხებს. ხელოვნება დასცინის იმის მცდელობებს, რომ მას წმინდა არსობრიობების ვალდებულებები დააძალონ. ხელოვნება არ არის ის, რაც, სავარაუდოდ, ოდითგნ უნდა ყოფილიყო, არამედ მხოლოდ ის, რადაც იქცა. ისევე, როგორც კითხვა ხელოვნების ნანამოებიებს ინდივიდუალური საწყისის შესახებ სუბიექტურის მომენტების შემცველი ობიექტურობის პირისპირ უნაყოფოა, ასევე, პირიქით, ხელოვნების საწყისა საკუთარი აზრით ვერ დავეყრდნობით. ხელოვნებისთვის არა აქციდენციური, არამედ კანონია ის, რომ რაღაცას დაეხსნა. საკუთარი წმინდა ცნების განსაზღვრებებს, რომლებიც მან მოიპოვა, ბოლომდე არა-სოდეს აღასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მათით საზრდოობს; ვალერის თანახმად, უწმინდესი ნანამოებები უმაღლესები სულაც არ არიან. თუ მოვისურვებდით, რომ ხელოვნება ხელოვნებისული ქცევის საწყის ფენომენებზე დაგვევყანა – მიბაძეისაკენ ტრადიციაზე, გამოხატულების მოთხოვნილებაზე, მაგიურ გამოსახულებებზე – მხოლოდ კერძო და თვითნებურ ელემენტს მოვიმკიდით. ასეთ მომენტებს ხელოვნებაზე ზეგავლენა აქვთ, ისინი მასში მონანილობენ, მასში თავს ირჩენ; მაგრამ ხელოვნებას არც ერთი მათგანი არ ამონურავს. ესთეტიკაზე ხელოვნების სავარაუდო არსებ ნადირობა არ უნდა დაიწყოს, არამედ ასეთი ფენომენები ისტორიულ კონსტრუაციაში გაიაზროს. ვერცერთი იზოლირებული ინდივიდუალური კატეგორია ხელოვნების იდეას ვერ გაიაზრებს. ხელოვნება საკუთარ თავში მოძრავი სინდრომია. შინაგანად უაღრესად გაშუალებული, ის მოაზროვნე გაშუალებას ითხოვს; მხოლოდ გაშუალება და არა, სავარაუდოდ, ორიგინალურად ნარმოჩენილი მჭვრეტელობა სრულდება ხელოვნების კონკრეტული ცნებით.<sup>17</sup>

ჰეგელის მთავარი ესთეტიკური პრიციპი, რომ მშვენიერი იდეის გრძნობადი გამოვლინებაა, იდეის, როგორც აბსოლუტური სულის, ცნებას ნაიმძღვარებს. მას

17 ob. Theodor W. Adorno, Über das gegenwärtige Verhältnis von Philosophie und Musik, in: Filosofia dell'arte, Roma u. Milano 1953 (Archivio di filosofia, ed. E. Castelli), გვ. 5 და შმდ.

მხოლოდ მაშინ ექნებოდა ძალა, თუ ასეთი ცნების ტოტალური მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, თუკი ფილოსოფია აბსოლუტურის იდეის ცნებით აღნერას შეძლებდა. ისეთ ისტორიულ ფაზაში, როცა გონების სინამდვილის შესახებ შეხედულება პირსისხლიან დაცინვად იქცა, პეგელის განმარტება, ჭეშმარიტი წვდომის სიმდიდრის მიუხედავად, უბრალო ნუგებშისცემად იქცევა და უფერულდება. თუ პეგელის კონცეფციამ ისტორია ჭეშმარიტებასთან ბედნიერად შეაულლა, თავად ასეთი კონცეფციის ჭეშმარიტებას ისტორიის უბედურებისგან ვერ გავმიჯნავთ. სავარაუდოდ, პეგელის მიერ კანტის კრიტიკა კვლავაც ძალაში რჩება. მშვენიერი თუ ლამაზად გაკრეჭილ ბალა უნდა აღემატებოდეს, ის უბრალოდ ფორმალური ელემენტი არ არის, რომელიც სათავეს მჭვრეტელობის სუბიექტურ ფუნქციებში იღებს. პირიქით, მშვენიერის საფუძველი ობიექტში უნდა ვეძიოთ. თუმცა, პეგელის მიერ ამის მისაღწევად გალებული ძალისხმეული გაბათილდა, რადგან მეტაესთეტიკურად სუბიექტის და ობიექტის მთელში იგივეობას უსამართლოდ პოსტულირებს. ინდივიდუალურ მოაზროვნეთა შემთხვევითა შეცდომა არ არის, არამედ სენტული აპორით განპირობებულია ის, რომ დღეს პოეზიის ქმნილებათა ფილოსოფიური ინტერპრეტაციები სწორედ ისეთ შემთხვევაში, როცა პოეტურ სიტყვას და შეთხულს მითოლოგიურად ამაღლებენ, თავად ასეთ შეთხულში, განსამარტავი ნაწარმოებების შემადგენლობაში ვერ აღწევენ და მათ ფილოსოფიური თეზისის სცენად ამახინჯებენ. გამოყენებითი ფილოსოფია, აპრიორულად საბედისწერო, მისთვის დაკონკრეტების ჰაეროვნების მიმნიჭებელი ნაწარმოებებიდან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ამოიკითხავს. ესთეტიკურ ობიექტურობაში მშვენიერის კატეგორია, ასევე, მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია; ეს ობიექტურობა ნებისმიერი ადეკვატური რეფლექსისთვის კანონიკურობას ინარჩუნებს და ესთეტიკამდე მყოფ ცნებით სტრუქტურებს უკვე აღარ ემორჩილება; უეჭველი და იმავდროულად დაუცველი, ის თავისებურად მოფარფატე ხდება. ასეთი ობიექტურობის ადგილსამყოფელი მხოლოდ საგნობრივი ვითარებების ანალიზია, რომლებშიც გამოცდილება ფილოსოფიური სპეცულაციის ძალით ისე აღწევს, რომ ფიქსირებულ ამოსავალ პოზიციებს არ ენდობა. ფილოსოფიური სპეცულაციის ესთეტიკური მოძღვრებები განათლების საგანძურად არ უნდა დაკონსერვდეს, თუმცა არც მისი მოშორებაა დასაშვები, ყველაზე ხაკლებად, ხელოვნების გამოცდილების სავარაუდო უშუალობის სასარგებლოდ, რომელიც ხელოვნების ცნობიერება ფარულად უკვე მოცემულია – მაშასადამე, სინამდვილეში, მოცემულია ის ფილოსოფია, რომლისგანაც მიაჩნიათ, რომ ქმნილებების მიამიტური ჭვრეტის საშუალებით თავისუფლდებიან. ხელოვნება მხოლოდ ხელოვნების უკვე განვითარებული ენის ფარგლებში ცოცხლობს და არა სუბიექტის *tabula rasa*-სა თუ სავარაუდო განცდებში. ამდენად, ასეთი განცდები აუცილებელია, მაგრამ ესთეტიკური შემეცნების საბოლოო წყარო სულაც არ არს. სწორედ ხელოვნების სუბიექტზე დაუყვანადი და სუფთა უშუალობით დაუსაკუთრებადი მომენტები ცნობიერებას ითხოვენ და, ამდენად, ფილოსოფიასაც. ფილოსოფია ნებისმიერ ესთეტიკურ გამოცდილებას შინაგანად ახასიათებს, თუ ის ხელოვნების მიმართ უცხოდ, ბარბაროსულად არ რჩება. ხელოვნება საკუთარ ექსპლიკაციას ელის. მეთოდურად ასეთი ექსპლიკაცია ესთეტიკური თეორიის ისტორიულ ტრადიციაში შემონახული კატეგორიების ან მომენტების ხელოვნების გამოცდილებასთან კონფრონტაციის საშუალებით ხორციელდება, რის შედეგადაც ორივე ურთიერთმიმართებით ზუსტდება.

ჰეგელის ესთეტიკა სარწმუნოდ აღნუსხავს იმას, რაც კვლავაც მისაღწევი რჩება. თუმცა, ჰეგელის დედუქციური სისტემა სწორედ საგნების მიმართ ისეთ დანებებას აფერხებს, რომელიც, თავის მხრივ, სისტემის სახით პოსტულირდება. ჰეგელის შემოქმედება აზრს ვალდებულებით ტვირთავს, მაგრამ მისი პასუხები ასეთი აზრისათვის სავალდებულო აღარ არის. თუ უძმდლავრესი ესთეტიკური კონცეფციები, კანტის და ჰეგელის, სისტემების ნაყოფები იყვნენ, სისტემების ნერვები ისინი შეარყია, მაგრამ არ გაანადგურა. ესთეტიკა სამეცნიერო აზროვნების უწყვეტობით სულაც არ მიმდინარეობს. ფილოსოფიებთან დაკავშირებული ცალკეული ესთეტიკები საერთო ფორმულას საკუთარ ჭეშმარიტებად ვერ იწყნარებენ; ის უფრო ასეთი ესთეტიკების კონფლიქტში უნდა ვეძიოთ. ის, რომ ერთი ესთეტიკოსი პრობლემებს მეორისგან მემკვიდრეობით დებულობს და შემდეგ მშვიდობიანად მათზე მუშაობა უნდა განაგრძოს, განსავლული ილუზია და უკუსაგდებია. ნებისმიერი ადეკვატური ესთეტიკური რეფლექსის კანონიკად ობიექტურობის იდეა რჩება. ამავე დროს, ასეთი რეფლექსის ადგილი ესთეტიკური ქმნილების შინაგანი წინააღმდეგობაა – ასევე, ფილოსოფიურ აზრთა ერთმანეთთან წინააღმდეგობაც. ესთეტიკა, რათა ცარიელ ხმაურს აღემატებოდეს, ლია და დაუფარავ ელემენტში გაჭრას ესწრაფვის და მისგან მსხვერპლად მეცნიერებისგან ნასესხებ უსაფრთხოების ითხოვს – ეს ყველაზე შეუზღუდულავად პრაგმატისტმა დიუიმ გამოთქვა. რადგან ესთეტიკა ხელოვნების შესახებ ზემოდან და გარედან არ უნდა მსჯელობდეს, არამედ საკუთარ შინაგან ტენდენციებს თეორიული ცნობიერების მიღწევაში დაეხმაროს, ესთეტიკა ვერ დასახლდება უსაფრთხოების ზონაში, რომელსაც ნებისმიერი თვითკმარი ხელოვნების ნაწარმოები ამტყუნებს. ნაწარმოებებში მათ უმაღლეს აღმასვლამდე გრძელდება ის, რასაც მოუქნელ შეგირდს ასწავლიან, როცა ფორტეპიანოზე მცდარ ნოტს იღებს, ან ფანქრით არასწორად ხატავს; ხელოვნების ნაწარმოებების გახსნილობა, დამკვიდრებულთან მათი კრიტიკული მიმართება, რაც მათ თვისებას განაპირობებს, ასევე სრული წარუმატებლობის შესაძლებლობას შეიცავს, ხოლო ესთეტიკა საკუთარ საგანს უმაღ უუცხოვდება, როგორც კი საკუთარი აღნაგობით ამის შესახებ ცრუობს. ის, რომ არცერთმა ხელოვანმა არ იცის დანამდვილებით, გამოვა თუ არა რაიმე იქიდან, რასაც აკეთებს, მისთვის ბედნიერებაცაა და შიშიც; დამკვიდრებული მეცნიერებისთვის ასეთი რამ სრულიად უცხოა, ის სუბიექტურად ობიექტურს, ხელოვნების მოწყვლად ხასიათს აღნერს. ხელოვნების გაუჩინარებად წერტილს აღნიშნავს წვდომა, რომ სრულყოფილი ნაწარმოებები თითქმის არავითარი სახით არ არსებობენ. ესთეტიკამ საკუთარი ობიექტის ასეთი დაუცველობა ასეთი ობიექტის და თავისი საკუთარი ობიექტურობის მოთხოვნას უნდა დაუკავშიროს. რადგან ესთეტიკას მეცნიერების იდეალი აფრთხობს, ის ასეთი პარადოქსისგან უკან იხევს; მაგრამ სწორედ ის არის მისი სასიცოცხლო ელემენტი. ხელოვნებაში განსაზღვრულობის და გახსნილობის მიმართება, სავარაუდო, ისე განიმარტება, რომ ნაწარმოებებთან გამოცდილების და აზრების უსასრულოდ მრავალ გზას მივყავართ, მაგრამ ისინი ჭეშმარიტების შიდაარსში იკვეთებიან. ხელოვნებისეული პრაქტიკა, რომლისთვისაც უპრიანი იქნებოდა ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო მტკირდოდ მდიპყვეს თეორიას, ამას აცნობიერებს. სიმებიანი კვარტეტის პრიმარიუსმა რეპეტიციის დროს მასში აქტიურად ჩართულ მონაწილეს, რომელიც თავად შემსრულებელ მუსიკოსი არ იყო, მიუგო, რომ შეუძლია

და უნდა კიდევ გამოთქვას კრიტიკა და რჩევები, როგორც კი რაღაცას შეამჩნევს; თითოეულ ასეთ დაკვირვებას კი, თუ ის ზუსტია, შრომის პროცესი, საბოლოოდ, ერთსა და იმავესთან მიჰყავს – სწორ ინტერპრეტაციასთან. ესთეტიკაში თვით კონტრადიქტორული მიდგომებიც კი ლეგიტიმურია, რომელებიც, მაგალითად, ფორმით ან, პირიქით, მატერიის მეტ-ნაკლებად ურყევი შრეებით იწყებნ. უახლეს პერიოდამდე, ესთეტიკური ქცევის როგორც სუბიექტის ქცევის ნებისმიერ ცვლილებას იმავდროულად საგნობრივი მხარეს ცვლილებაც უკავშირდებოდა; თითოეულში ახალი საგნობრივი შრეები წარმოჩნდა, რომელთაგან ზოგიერთი ხელოვნებამ აღმოაჩინა და აითვისა, სხვები კი მოკვდნენ. საგნობრივი ფერწერის სიკვდილის ფაზამდე, თვით კუბიზმშიც, ნანარმოებისკენ როგორც საგნობრივ მხარეს, ისე ნმინდა ფორმას მივყავდით. ამას აბი ვარპურგის და მისი სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები გვიმოწმებენ. ისეთი მოტივების ანალიზები, როგორიცაა, მაგალითად, ბენიამინისა ბოდლერის ქმნილებების შესახებ, გარკვეულ პირობებში, ესთეტიკურად, მაშასადამე, ფორმის თავისებური საკითხების მიმართ განხორციელებული, შეიძლება ოფიციალურ და თითქოს ხელოვნებასთან უფრო ახლოს მყოფ ფორმალურ ანალიზზე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდეს. მართალია, ასეთი ფორმალური ანალიზი ბევრით სჯობდა და კვლავაც სჯობს ჯიუტ ისტორიუმშის, რომელიც ფორმის ცნებას საკუთარ სხვასთან დიალექტიკისგან წყვეტს და, ამდენად, მას აჩერებს, მაგრამ მასაც, თავის მხრივ, გაშეშება ემუქრება. თუმცა, საპირისპირო პოლუსზე, ვერც ჰეგელმა დააღნია თავი ამის საფრთხეს. რასაც ჰეგელს თვით მისი სასიკვდილო მტერი, კირკეგორი, ესოდენ უქებს – ჰეგელის მიერ ფორმის საპირისპიროდ შინაარის გამოკვეთას – არა მხოლოდ ცარიელი და უმნიშვნელო თამაშის წინააღმდეგობას და, მაშასადამე, ხელოვნების ჭეშმარიტებასთან ურთიერთობას მოგვასწავებს, რაც ჰეგელისთვის უმნიშვნელოვანენია იყო. ჰეგელმა იმავდროულად ხელოვნების ნანარმოების მატერიალურ შიდაარსს, ფორმასთან საკუთარი დიალექტიკის ფარგლებს გარეთ, ზედმეტი წონა მიანიჭა. შედეგად, მის ესთეტიკაში ხელოვნებისათვის უცხო, ფილისტერულმა ელემენტმა შეაღნია, რომელმაც შემდგომ დიამატის ესთეტიკაში, რომელსაც ის უკვე ისევე აღარ აეჭვებდა, როგორც ოდესაც მარქსს, საკუთარი საპედისწერო ხასიათი გამოავლინა. მართალია, ჰეგელის წინამორბედი ესთეტიკა, კანტის ჩათვლით, ხელოვნების ნანარმოებს ჯერ ემფატიკურად, როგორც ასეთს, არ იაზრებს. ის ნანარმოებს ერთგვარი სუბლიმირებული ტებობის საშუალების მდგომარეობით შემოფარგლავს. თუმცა, კანტის აქცენტი ნანარმოების ფორმალურ მაკონსტიტუირებელ ელემენტებზე, რომლის გარეშეც ხელოვნება საერთოდ ვერ ყალიბდება, ხელოვნების ჭეშმარიტების შიდაარსს ჰეგელზე უფრო მეტად აგებს პატივს; ჰეგელი ასეთ შიდაარსს დამოუკიდებლის სახით ვარაუდობს, თუმცა მას თავად ხელოვნებიდან გამომდინარე არ ავითარებს. ფორმის როგორც სუბლიმირების მომენტები ჰეგელის საპირისპიროდ ჯერ კიდევ *dixhuitième*-ად რჩება; ამავე დროს, ისინი ასევე უფრო განვითარებული და მოდერნულია; ფორმალიზმი კი, რომელიც კანტს სამართლიანად მიენერება, ორასი წლის შემდეგ მართლაც ანტიინტელექტუალური რეაქციის დევნის ლოზუნგად იქცა. მიუხედავად ამისა, კანტის ესთეტიკის ძირეულ დებულებაში სისუსტეც აშკარაა უკვე მანამ, სანამ ფორმალური და ეგრეთ წოდებული შინაარსის ესთეტიკის თაობაზე კამათს მივაღწევთ. ეს სისუსტე კანტის თეორიული მიდგომის ესთეტიკური მსჯელობის უნარის კრიტიკის

## ადრინდელი შესავალი

სპეციფიკურ საგნობრივ ვითარებებთან მიმართებას უკავშირდება. შემეცნების თეორიის ანალოგიურად, კანტი, თითქოს ეს თავისთავად ცხადი იყოს, მის მიერ მეთვრამეტე საუკუნის სტილით ‘მშვენიერის გრძნობად’ წოდებული ელემენტის-თვის სუბიექტურად ტრანსცენდენტურ დასაბუთებას ეძებს. თუმცა, წმინდა გონების კრიტიკის თანახმად, არტეფაქტები კონსტიტუციები იქნებოდნენ, თავად ობიექტის სფეროში განთავსებულები, ტრანსცენდენტური პრობლემატიკის ზე-მოთ მყოფ შრეში. ასეთ კრიტიკაში, უკვე კანტთან, ხელოვნების თეორია შესაძლებელი იქნებოდა როგორც თეორია ობიექტების შესახებ და იმავდროულად როგორც ისტორიული. სუბიექტურობის ხელოვნებასთან დამოკიდებულება არ არის, როგორც კანტი ვარაუდობს, ქმნილებებზე რეაქციის წესის დამოკიდებულება, არა-მედ, უპირველეს ყოვლისა, თავად ქმნილებების საკუთარი ობიექტურობის მომენტია; ხელოვნების საგნები სხვა ნიუობისგან სწორედ ამით განსხვავდებიან. სუბიექტი ასეთ საგანთა ფორმასა და შიდაარსში იმაღება – მხოლოდ მეორადად, და მთელი შემთხვევითობებით გაჯერებული იმ თვალსაზრისით, თუ როგორ რეაგირებენ მათზე ადამიანები. რასაკვირველია, ხელოვნება ისეთ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს, როცა საგანსა და ასეთ საგანზე რეაქციას შორის ურყევი დიქოტომია ჯერ გაბატონებული არ იყო; ეს რეაქციის ფორმების, თავის მხრივ, ნივთობრივი გასაგნების კორელაციების, აპრიორად დამახინჯების ცდუნებას ინვევს. თუ დავუშვებთ, რომ როგორც საზოგადოების სიცოცხლის პროცესში, ისე ხელოვნებასა და, ასევე, ესთეტიკაში წარმოება რეცეფციაზე უპირატესია, ეს უკვე ტრადიციული, მიამიტურად ესთეტიკური სუბიექტივიზმის კრიტიკას გულისხმობს. განცდას, შემოქმედ ადამიანებსა თუ მსგავს ელემენტებს კა არ უნდა დავეყრდნოთ, არამედ, პირიქით, ხელოვნება წარმოების ობიექტურად გამლადი კანონზომიერების შესაბამისად გავიაზროთ. ამას მით უფრო დაუინიჩებით უნდა ვითხოვდეთ, რადგან ხელოვნების ნაწარმოების საშუალებით გამოწვეული აფექტების პრობლემატიკა, რომელსაც ჰეგელი აღნერს, ასეთი აფექტების მართვის შედეგად განუზომლად გამწვავდა. ხშირად სუბიექტური ზემოქმედების კონტექსტები კულტურის ინდუსტრიის ნებით საერთოდ იმის წინააღმდეგ შემობრუნდებიან, რაზეც რეაგირება ხდება. ამავე დროს, ნაწარმოებები საპასუხოდ სულ უფრო მეტად თავიანთ საკუთარ ქსოვილში იხევენ და ამით აფექტის შემთხვევითობასაც ხელს უწყობებს; თუმცა, ზოგიერთ პერიოდებში, ამ ორ ასპექტს შორის ჰარმონია თუ არა, გარკვეული პროპორცია მაინც არსებობდა. ხელოვნებისეული გამოცდილება, შესაბამისად, ნაწარმოებების მიმართ შემმეცნებელ და არა აფექტურ ქცევას ითხოვს; სუბიექტს ნაწარმოებები და მათი მოძრაობა მომენტის სახით შეიცავს; იმდენად, რამდენადც სუბიექტი ნაწარმოებებს გარედან ეგებება და თავად მათ დისციპლინას არ ემორჩილება, ის ხელოვნების მიმართ უცხოა – სოციოლოგიის ლეგიტიმური ობიექტია.

ესთეტიკისთვის დღეს კანტსა და ჰეგელს შორის კონტროვერსის უკან მოტოვება იქნებოდა აუცილებელი, მათი თეორიების სინთეზის საშუალებით განმენდის გარეშე. კანტთან ფორმით სასიამოვნოს ცნება ესთეტიკურ გამოცდილებას ჩამოუვარდება და მისი აღდგენა შეუძლებელია. ჰეგელის მოძღვრება შინაარსის შესახებ ზედმეტად უხეშია. მუსიკას მართლაც აქვს განსაზღვრული შინაარსი: სწორედ ის, რაც მასში ხდება; მიუხედავად ამისა, მუსიკა მასხრად იგდებს შინაარსობითობას იმ სახით, რა სახითაც მას ჰეგელი განიზრახავდა. ჰეგელის სუბიექტივიზმი იმდენად ტოტა-

ლურია, მისი სული იმდენად არის ყველაფერი, რომ სულის საკუთარი სხვისაგან განსხვავება და, ამდენად, ასეთი სხვის განსაზღვრება ჰქეცელის ესთეტიკაში ვერ რეალიზდება. რადგან მისთვის ყველაფერი სუბიექტი ხდება, მისი სპეციფიკური ელემენტი, სული როგორც ნაწარმოებების მომენტი, იხრნება და მატერიის მომენტს ისე ემორჩილება, რომ დაილექტიკას ვერ აღწევს. ჰქეცელთან შეკამათებას თავს ვერ ავარიდებთ: ესთეტიკაში, ცალსახად დიდებული წვდომის მიუხედავად, იგი სწორედ ისეთი რეფლექსის ფილოსოფიაში გამომწყვდეული დარჩა, რომელსაც თავად ებრძოდა. ჰქეცელი, საკუთარი კონცეფციის საწინააღმდეგონდ, იზიარებს პრიმიტულ შეხედულებას, რომ შინაარსს თუ მატერიას ესთეტიკური სუბიექტი აფორმებს, ან სულაც, როგორც ამბობენ, ‘ამუშავებს’; მას ისედაც პრიმიტული შეხედულებების რეფლექსის საშუალებით რეფლექსის ნინააღმდეგ გამოყენება უყვარს. სწორედ ხელოვნების ნაწარმოებში, თავად ჰქეცელის ტერმინოლოგით, შინაარსი და მატერია იმთავითვე, ასევე, უკვე სუბიექტი უნდა იყვნენ. მხოლოდ შინაარსის და მატერიას საკუთარ სუბიექტურობაში გავლით იქცევა ნაწარმოები პრიმიტურად სხვად. სუბიექტი საკუთარ თავში ობიექტურად გაშუალებულა; მხატვრული ფორმშესხმის საშუალებით, სუბიექტის საკუთარი – ლატენტური – ობიექტური შიდაარსი მულავნდება. ხელოვნებაში შინაარსის შესახებ არცერთი სხვა ნარმოდგენა ადეკვატური არ არის; ოფიციალურმა მარქსისტულმა ესთეტიკამ ვერც დიალექტიკა და ვერც ხელოვნება ვერ გაიგო. ფორმა საკუთარ თავში შინაარსით გაშუალდება, თანაც არა ისე, თითქოს ფორმა უბრალოდ მისთვის ჰქეტეროგენულ ელემენტს შეემთხვა; შინაარსი კი, ასევე, საკუთარ თავში ფორმით გაშუალდება. ამავე დროს, ფორმაც და შინაარსიც თვით მათ გაშუალებაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოების იმანენტური შინაარსი, მისი საკუთარი მასალა და ასეთი მასალის მოძრაობა, შინაარსისგან როგორც განცალკევებადისგან – პიესის ფაბულის ან ნახატის სიუჟეტისგან – ძირულად განსხვავდება; ჰქეცელი მათ უკიდურესად გულუბრყვილოდ შინაარსთან აიგივყბს. როგორც ჰქეცელი, ისე კანტი ესთეტიკურ ფენომენებს აზრობრივად ჩამორჩებიან: კანტი მათ სიღრმესა და სისაგესა, ჰქეცელი მათში თავისებურად ესთეტიკურს. ნახატის შინაარსი მხოლოდ მასში გამოსახული არ არის, არამედ ის ყველაფერია – ფერის ელემენტი, სტრუქტურები და რელაციები –, რასაც ის შეიცავს; მუსიკის შინაარსი, მაგალითად, შიონბერგის სიტყვებით, თემის ისტორიაა. შინაარსს, როგორც მომენტი, შესაძლოა, საგანიც ეკუთვნოდეს, პოეზიაში – ასევე, მოქმედება ან მონათხრობი ამბავი, თუმცა არანაკლებ ისიც, რასაც ეს ყველაფერი ნაწარმოებში განიცდის, რის საშუალებითაც საკუთარ თავს აორგანიზებს, იცვლება. ფორმის და შინაარსის ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია, თუმცა ისინი გაშეშებული და, ორივე პოლუსის თვალსაზრისით, არადამაყმაყოფილებელი დაპირისპირებიდან უნდა გავათავისუფლოთ. ბრუნო ლიბრუკისის წვდომა, რომ ჰქეცელის პოლიტიკა და სამართლის ფილოსოფია მის ლოგიკაში უფრო მოცემული, ვიდრე უშუალოდ მატერიალური დარგების მის ლექციებსა თუ ნაწერებში, ასევე ესთეტიკაზე ვრცელდება; ესთეტიკის შეუზღუდავ დიალექტიკამდე მიყვანა კვლავაც განსახორციელებელი რჩება. ჰქეცელი ლოგიკის მეორე ნანილის დასაწყისში ავითარებს აზრს, რომ რეფლექსის კატეგორიები აღმოცენებულია, ქმნადობის შედეგია და, მიუხედავად ამისა, თავისთავად მნიშვნელობენ; ამავე სულისკვეთებით, ნიცშემ “კერპების მწუხრში” ის მითი დაანგრია, რომ ქმნადობის შედეგი ჭეშმარიტი ვერ იქნება. ესთეტიკა სწორედ ასეთ დემონტაჟს უნდა მიჰყვეს. ის, რაც ესთეტი-

კაში მარადიულ ნორმად მკვიდრდება, როგორც ქმნადობის შედეგი, წარმავალია, საკუთარი პრეტენზიის შედეგად თითქოს მისი დაკარგვა შეუძლებელია, ძველდება. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ისტორიული მოძრაობიდან აღმოცენდული, აქტუალური მოთხოვნები და ნორმები შემთხვევითა და არასავალდებულო არ არის, არამედ საკუთარი ისტორიული შიდაარსით ობიექტურია; ეფუძნული ესთეტიკაში საკუთარი მყარი ელემენტი, ჩონჩხია. ესთეტიკამ საკუთარი ისტორიული შიდაარსის ობიექტურობა ისტორიოგრაფიულად, ისტორიის მსვლელობის შედეგად გარდაუვალის სახით კი არ უნდა გამოიყანოს, არამედ ობიექტურობას საკუთარი აღნა-გობიდან უნდა სწორდეს. ესთეტიკა ისტორიაში ტრივიალური აზრობრივი მოძელით არ მოძრაობს და იცვლება: ისტორია ესთეტიკის ჭეშმარიტების შიდაარსს იმანენტურად ახასიათებს. ამდენად, ისტორიის ფილოსოფიის თვალსაზრისით სიტუაციის ანალიზს მკაცრი აზრით იმის გამოაქვარავება მოეთხოვება, რაც ოდესალაც ესთეტიკურ პარიორად განიხილებოდა. სიტუაციიდან ამოკითხული ლოზუნგები ზოგად ნორმებზე უფრო ობიექტურია; ფილოსოფიური ჩვევა კი სწორედ იმას ითხოვს, რომ მათ ნორმების წინაშე თავი იმართლონ. მართლაც შესაძლებელი იქნებოდა იმის წარმოჩენა, რომ დიდებული ესთეტიკური მანიფესტების ან მსგავსი ქმნილებების ჭეშმარიტების შიდაარსმა იმის ადგილი დაიკავა, რასაც უწინ ფილოსოფიური ეს-თეტიკა აღნევდა. აუცილებელი ესთეტიკა უკიდურესად დროითის ჭეშმარიტების შიდაარსის თვითცნობიერება იქნებოდა. რასაკირველია, ეს, როგორც სიტუაციის ანალიზის კონტრაპუნქტი, ტრადიციული ესთეტიკური კატეგორიების ასეთ ანალიზთან კონფრონტაციას ითხოვს; ხელოვნებისეულ და ცნების მოძრაობას ერთმანეთთან მხოლოდ ასეთი კონფრონტაცია აკავშირებს.

ის, რომ დღეს ესთეტიკის მცდელობას ზოგად მეთოდოლოგიას ვერ წავუმდვარებთ, როგორც ამას ჩვეულება ითხოვს, თავად ერთგვარი მეთოდოლოგიაა. ამიში დამანაშავე ესთეტიკური საგნის და ესთეტიკური აზრის მიმართებაა. მეთოდის დაუინებულ მოთხოვნას გამოცდილი მეთოდების სხვებთან დაპირისპირების საშუალებით მკაცრად ვერ დავაკმაყოფილებთ. სანამ წარმოებებში, გოთეს კაპელასთან შედარების მსგავსად, არ შევაბიჯებთ, მსჯელობა ესთეტიკურ საგნებში ობიექტურობაზე, იქნება ეს მხატვრული შიდაარსის თუ საკუთარი შემეცნების ობიექტურობა, უბრალო მტკიცებად რჩება. ისეთ ხმაურიან ავტომატურ შეკამათებას, რომ ობიექტურობაზე ფუჭად მსჯელობენ იქ, სადაც მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებებთან გვაქვს საქმე; რომ ესთეტიკური შიდაარსი, ობიექტურად ორიენტირებული ესთეტიკის დასასრული, სხვა არაფერია, თუ არა პროექცია, ქმედითად მხოლოდ ობიექტურად მხატვრული შიდაარსის თავად ხელოვნების წარმოებში დამტკიცება პასუხობს. მეთოდს განხორციელება ამართლებს, რაც მის წინასწარ დაშვებას კრძალავს. თუ ესთეტიკურ ობიექტურობას, როგორც აბსტრაქტულ ზოგად პრინციპს, განხორციელებამდე წავიმდვარებდით, ასეთი სისტემაში საყრდენის არმქონე ობიექტურობა იმთავითვე წაგებული დარჩებოდა; ესთეტიკური ობიექტურობის ჭეშმარიტება მომდევნოთი და არა თავდაპირველით, საკუთარი გაშლით კონსტიტუირდება. პრინციპის უკმარისობას ესთეტიკური ობიექტურობა პრინციპად სხვას ვერაფერს დაუპირისპირებს. რასაკვირველია, განხორციელება, თავის მხრივ, პრინციპების შესახებ კრიტიკულ რეფლექსიას

ითხოვს. ეს მას უპასუხისმგებლო თვითნებური აზროვნებისგან იცავს, საკუთარი ამპარტავნობისგან კი ისეთი სული, რომელიც ხელოვნების ნანარმოებებს სწორება, თავს საგნად მქეცევი სულის საშუალებით იცავს; ხელოვნების ნანარმოებები უკვე თავისთავად ასეთი სულია. ის, რასაც ასეთი სული სუბიექტური ელემენტისგან ითხოვს, მისი საკუთარი სპონტანურობაა. ხელოვნების შემეცნება საგნად ქცეული სულის რეფლექსის მედიუმში გავლით კვლავ საკუთარ თხევად აგრეგატულ მდგომაროებაში მოქცევას ნიშნავს. თუმცა, ესთეტიკა ისეთ რწმენას უნდა უფრთხოდეს, თითქოს ხელოვნებასთან საკუთარ მსგავსებას იმის საშუალებით მოიპოვებს, რომ ჯადოსნური უქსტით, ცნებითი შემოვლითი გზების დაზოგვით გამოთქვამს, თუ რა არის ხელოვნება. ამასთან, აზროვნების გაშუალებულობა ხელოვნების ნანარმოებების გაშუალებულობისგან თვისებრივად განსხვავდება. ხელოვნებაში გაშუალებული, ის, რის საშუალებითაც ქმნილებები საკუთარი ‘აი, ეს’-ისგან განსხვავებული სხვანი არიან, რეფლექსიამ ხელმეორედ უნდა გააშუალოს: ცნების მედიუმის საშუალებით. თუმცა, ეს წარმატებას არა ცნების მხატვრული დეტალისგან დაშორებით, არამედ მისკენ შემობრუნებით აღნევს. თუ პირველი ნაწილის დასასრულამდე ოდნავ ადრე ბეთჰოვენის სონატა „*Les Adieux*“ სამი ტაქტის განმავლობაში ცხენების ჭერების ეფემერულად ხელიდან გამსხლტომ ასოციაციას აციტირებს, ეს უშუალოდ ნებისმიერი ცნების შემარცხენელი, მსწრაფნარმავალი ადგილი – თვით მოძრაობის კონტექსტშიც მყარად არაიდენტიფიცირებადი ქრობის ბგერა – იმავდროულად დაბრუნების იმედზე უფრო მეტს გამოთქვამს, ვიდრე ამას ეფემერულად ხანგრძლივი ბგერის არსზე ზოგადი რეფლექსია გააცნობიერებდა. მხოლოდ ისეთი ფილოსოფია მოახერხებდა დაპირების შესრულებას, რომელიც ესთეტიკური მთელის კონსტრუქციაში ასეთი მიეროლოგიკური ფიგურების, მათი უშინაგანესი მომენტების ჩათვლით, გარანტირებას შეძლებდა. ამისთვის ასეთი ფილოსოფია თავად საკუთარ თავში გამოწვლილვით ჩამოყალიბებული, გაშუალებული აზრი უნდა იყოს. თუ ის, ამის ნაცვლად, შეფიცვის პირველადი სიტყვებით ხელოვნებაში იღუმალის განდევნას ისურვებდა, მას ხელთ მხოლოდ არარაობა შერჩებოდა – ტავტოლოგიები, უკეთეს შემთხვევაში, ფორმალური ნიშნები, რომლებიდანაც სწორედ ის არსი აორთქლდებოდა, რომლის უზრუპირებასაც ენის ჰაბიტუსი და საწყისზე ზრუნვა ახდენს. ფილოსოფია ისევე იღბლიანი არ არის, როგორც გამოცანის კითხვაზე ზუსტი პასუხის გამცემი მოდიპოსი; სხვათა შორის, უკვე ამ გმირის იღბალი სიბრმავის ტყვეობა აღმოჩნდა. რადგან ხელოვნების გამოცანის ელემენტი მხოლოდ და მხოლოდ თითოეული ნანარმოების კონსტრუქციებში არტიკულირდება საკუთარი ტექნიკური ხერხების საშუალებით, ცნებები არა მხოლოდ ასეთი გამოცანითი ელემენტის გასაშიფრო საჭიროებაა, არამედ, ასევე, ამის შანსიც. ხელოვნება, საკუთარი არსით, საკუთარ განკერძოებაში თავისსავე კერძოობას აღემატება; თვით ხელოვნების უშუალობა გაშუალებული და, ამდენად, ცნებების შერჩევითად მონათესავეა. მარტივ ადამიანურ განსჯას სამართლიანად სურს, რომ ესთეტიკამ, გადაჭარბებული ნომინალიზმით, ნანარმოებების ცალკეულ ანალიზში თავი არ გამოიკეტოს, მიუხედავად იმისა, რომ არც ასეთ ანალიზზე უარის თქმა შეუძლია. ესთეტიკას არა აქვს უფლება სინგულარობის თავისუფლების ხმობა დაუშვას. თუმცა, ეპოქის მიერ ასევე ესთეტიკურად მოთხოვნილი მეორადი რეფლექსია ხელოვნების ნანარმოებისგან დაშორებულ მედიუმში

მოძრაობს. საკუთარი შეუზღუდავი იდეალის პირისპირ რეზიგნაციის ელემენტის გარეშე მეორადი რეფლექსია ისეთი დაკონკრეტების ქიმერის მსხვერპლი გახდებოდა, რომელიც ხელოვნებას ეკუთვნის – და არც მასში ნებისმიერი ეჭვისგან თავისუფალი არ არის –, თუმცა სულაც არ არის თეორიის დაკონკრეტება, ესორეტიკა აბსტრაქციისა და კლასიფიკაციის განმახორციელებელი ხერხის საწინააღმდეგო არგუმენტია. მიუხედავად ამისა, ის აბსტრაქციებს ითხოვს და საკუთარი საგანი ასევე მაკლასიფიცირებელი ჟანრებია. ხელოვნების ნანარმოებების უანრები, რაც არ უნდა რეპრესიულები, ისედაც სუფთა *flatus vocis* არ არიან, თუმცა ზოგადი ცნებითობის წინააღმდეგ ოპოზიციური მიდგომა ხელოვნების არსებითი მამოძრავებელია. ნებისმიერი ხელოვნების ნანარმოები, თუნდაც რომ სრულყოფილი ჰარმონიის ნანარმოებად ნარმოდგებოდეს, თავისითავად პრობლემის კონტექსტია. როგორც ასეთი, ნანარმოები ისტორიაში მონაწილეობს, ამით კი საკუთარ ერთჯერადობას გადააბიჯებს. თითოეული ნანარმოების პრობლემის კონტექსტში საკუთარი თავის გარეთ არსებული მონადაში ილექტება: ის, რის საშუალებითაც მონადა კონსტიტუირდება. ისტორიის სფეროში ესთეტიკურად ცალკეული და საკუთარი ცნება ერთმანეთთან კომუნიცირებს. ისტორია ესთეტიკური თეორიას შინაგად ახასიათებს. მისი კატეგორიები რადიკალურად ისტორიულია; ეს მათ გაშლას იძულებითობას ანიჭებს, რომელიც, მართალია, საკუთარი მოჩვენებითი ასპექტის შედეგად, კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ საკმარისად ძლიერია ესთეტიკური რელატივიზმის დასარღვევად, რომელსაც ხელოვნების და ხელოვნების ნანარმოებების ერთმანეთთან დაუკავშირებელ თანაარსებობად ნარმოდგენა უნდევს. რამდენადაც სათურ არ იყოს შემეცნების თეორიის ასპექტით განცხადება, რომ თითოეული ხელოვნების ნანარმოები, ან სულაც მთლიანობაში ხელოვნება, ‘აუცილებელია’, არცერთი ნანარმოების არსებობა უპირობოდ აუცილებელი არ არის. ამდენად და მიუხედავად ამისა, ნანარმოებების ურთიერთმიმართება განპირობებულობის მიმართება და ის მათ შინაგან შემადგენლობაზეც ვრცელდება. ასეთი კავშირების კონსტრუქციას იმასთან მიყენართ, რაც ხელოვნება ჯერ არ არის და რითიც, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკა საკუთარ საგანს მოიპოვებდა. თუ რა მდგომარეობაშია კონკრეტულად ხელოვნება ისტორიულად, კონკრეტულ მოთხოვნებს გვამცნობს. ესთეტიკა სწორედ ასეთი მოთხოვნების რეფლექსით იწყება; მხოლოდ მათში გავლით თუ იხსნება იმის პერსპექტივა, თუ რა არის ხელოვნება. ხელოვნება და საკუთარი ნანარმოებები მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რადაც მათ შეუძლიათ იქცნენ. რადგან არცერთ ხელოვნების ნანარმოებს არ შეუძლია საკუთარი იმანენტური დაძაბულობის უნაშთოდ დაშლა, რადგან ისტორია, საბოლოოდ, თვით ასეთი დაშლის იდეასაც უტევს, ესთეტიკის თეორია ხელთყოფი ხელოვნების ნანარმოებებისა და საკუთარი ცნებების განმარტებით ვერ დაკმაყოფილდება. ის, რომ თეორია ნანარმოებების ჭეშმარიტების შიდაარს უბრუნდება, მას, როგორც ფილოსოფიას, ნანარმოებების მიღმა მიუძღვის. ხელოვნების ნანარმოებების ჭეშმარიტების ცნობიერება, სწორედ როგორც ფილოსოფიური, ესთეტიკური რეფლექსის მოჩვენებითად ყველაზე ეფემერულ ფორმას უკავშირდება – მანიფესტს. მეთოდური პრინციპი ის არის, რომ მთელ ხელოვნებას უახლესი ფენომენებიდან გამომდინარე უნდა მოეფინოს ნათელი და არა პირიქით, როგორც ეს ისტორიზმსა და ფილოლოგიას სჩვევიათ, რომელთაც ბურჟუაზიული სულისკვეთებით უაღრესად არ სურთ, რომ რაიმე შეიცვალოს. თუ ვალერის

მეთოდოლოგია, „მეორადი რეფლექსია“, ისტორია

თეზისი ჭეშმარიტია, რომ ახალში საუკეთესო ძველ მოთხოვნილებას შეესაბამება, მაშინ ავთენტური ნაწარმოებები წარსულთა კრიტიკებია. ესთეტიკა ნორმატიული ხდება, რადგან ასეთი კრიტიკის არტიკულირებაა. ამას კი უკუზემოქმედი ძალა აქვს; მხოლოდ ასეთი ძალისგან შეიძლება მოველოდეთ ერთობ ბევრს იქიდან, რასაც ზოგადი ესთეტიკა უბრალოდ მოგვაჩვენებს.



**გერმანიულ გამოცემის პროტეზი**



ადორნოს მეტაფორას ნაწარმოებებისთვის პირდაპირი მნიშვნელობა აქვს იმ ნაშრომებისთვის, რომელზეც იგი ბოლოს მუშაობდა: „ფრაგმენტი ნაწარმოებში სიკვდილის შექრაა. რადგან სიკვდილი ნაწარმოებს ანადგურებს, ის მას მოჩვენების ნაკლოვანებას ართმევს“. „ესთეტიკური თეორიის“ ტექსტი, რა სახითაც ის 1969 წლის აგვისტოში იყო წარმოდგენილი და გამომცემლებმა მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით გამოაქვეყნეს, *work in progress-ია*. „ესთეტიკური თეორია“ არ არის წიგნი, რომლის ბეჭდვის ნებართვასაც ადორნო ასეთი ფორმით გასცემდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მან ერთ-ერთ წერილში დაწერა: საბოლოო რეადაქცია „კიდევ ერთ სასოწარკვეთილ ძალისხმევას ითხოვს“. „თუმცა, ეს უკვე ახლა არსებითად მხოლოდ ნაწარმოების ორგანიზაციას და არა საკუთარ სუბსტანციას ეხება“. სუბსტანცია, როგორც ადორნო ხსნიდა, „მთლიანობაში, როგორც იტყვიან, თავისთავად უკვე სახეზეა“. დარჩენილი სამუშაოს საბოლოო ფაზის დასრულებას ადორნო 1970 წლის პირველ ნახევარში იმდოვნებდა. ეს ფაზა ტექსტში მრავალრიცხვან გადაადგილებას, ასევე შემოკლებას გამოიწვევდა; ამ დროს უნდა ინტეგრირებულიყო ის ფრაგმენტებიც, რომლებსაც ახლა „პარალიპომენას“ სახელით ვძეჭდავთ, ადრინდელ შესავალს კი ახალი შეცვლიდა. დაბოლოს, ადორნო, სავარაუდო, მრავალ ენობრივ დეტალსაც გამოასწორებდა. ამდენად, ნაწარმოები მთლიანობაში ტორსად დარჩა. „ნეგატიური დიალექტიკის“ და ზნების ფილოსოფიის შესახებ კიდევ ერთი დაგეგმილი წიგნის გვერდით, ადორნოს სურვილით, ეს ნაშრომი იმას წარმოადგენდა, „რაც მე სასწორზე შემიძლია დავდო“. სიტყვა ‘ნაწარმოები’ ასევე სხვა წიგნების მიმართაც უსამართლოა, „კირკეგორიდან“ დაწყებული ბერგის შესახებ მონოგრაფიის ჩათვლით; და ასეთი უსამართლობა მხოლოდ თავად ავტორის მხრიდან თუ იქნებოდა გამართლებული. მიუხედავად ამისა, მანიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ ნაწარმოებში განხორციელდა ჩარევა, როგორი კა უბრალოდ შეწყდა. „ფრაგმენტულობა ნაწარმოებს როგორც გამოხატულება“ ახასიათებს როგორც შინაგანად დახურულის, დასრულებულად სისტემურის კრიტიკის გამოხატულება; ასეთი კრიტიკა ადორნოს ფილოსოფიის სიღრმისეულ მოტივაციას წარმოადგენს. ფრაგმენტულობა ნაწარმოებს საკუთარი მოჩვენებს ნაკლოვანებას ართმევს, რომელშიც, ადორნოს თანახმად, სული ყოველთვის აუცილებლობით იხლართება. თუმცა, ასეთი დახასიათება ნაკლებად მნიშვნელოვანია „ესთეტიკური თეორიის“ ტექსტით დამონმებული განადგურების პირისპირ. ფრაგმენტის ცნებას ადორნო ორმაგი აზრით იყენებს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ცნებით პროდუქტიკული ელემენტი იგულისხმება: სისტემურად განზრაული თეორიები ფრაგმენტებად უნდა დაიშალონ, რათა საკუთარი ჭეშმარიტების შიდაარსი გამოათავისუფლონ. ასეთი ფრაგმენტულობა „ესთეტიკურ თეორიას“ არავითარ შემთხვევაში არ ახასიათებს. პირიქით, მასში წყვეტადობა

## გერმანელ გამომცემელთა ბოლოთქმა

ნაწარმოებში სიკვდილის შეჭრაა; და ის მანამ ხდება, სანამ ნაწარმოები საკუთარი ფორმის კანონს ბოლომდე განახორციელებს. ადორნოს ფილოსოფიისთვის მთლიანობაში აუცილებელია, სიკვდილის განადგურებიდან საზრისი არ გამოიხადოს, რომელიც სიკვდილთან თანხმობის უფლებას მოგვცემდა. ადორნოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მსგავსი რანგის მქონე ორ ბიოგრაფიულ ფრაგმენტს: იგი ვერც ბენიამინის „პასაუების შესახებ ნანარმების“ გადარჩენის შეუძლებლობას და ვერც ბერგის „ლულუს“ ინსტრუმენტაციის დაუსრულებლობას ბოლომდე ვერ ეგუებოდა. თუ „ესთეტიკური თეორიის“ ედიციას არ აქვს უფლება შეცდომაში შეგვიყვანოს საკუთარი ფრაგმენტულობის თაობაზე, ასევე შეუძლებელია ასეთ ფრაგმენტულობას უბრალოდ შევურიგდეთ. მხოლოდ შემთხვევითობის შედეგად დაუსრულებლად ქცეულით ვერ დაკამაყოფილდებით, თუმცა თავად ადორნოს მიერ მეუდარებლად გამოვლენილი ჭეშმარიტი ერთგულება ასეთი ფრაგმენტულისთვის განვრცობის მცდელობებით ხელის ხლებას მაინც გვიკრძალავს.

ფრანკფურტის უნივერსიტეტში ადორნომ სწავლება 1949-50 წლების ზამთრის სემესტრიდან განახლა და უკვე 1950 წლის ზაფხულში ესთეტიკის შესახებ პირველი ლექცია ჩაატარა. მომდევნო წლებში მან კიდევ ოთხჯერ წაიკითხა ლექცია იმავე საგანზე, ბოლოს ორ ნაწილად – 1967 წლის ზაფხულსა და 1967-68 წლების ზამთრში, როცა „ესთეტიკური თეორია“ უკვე მეტწილად დაწერილი იყო. თუ როდის დაგეგმა მან ესთეტიკის შესახებ წიგნის შეთხზვა, სარწმუნოდ ვერ დადგინდა; ადორნო დროდადრო ახსენებდა მრომას, რომლის დასახერადაც „მთელი ცხოვრება ფეხს ვითორევდი“-ი. დაგეგმილი განსაზღვრული ჩანანერები, სულ ცოტა, 1956 წლიდან მოიპოვება. სავარაუდოა, რომ პროექტის დაკონკრეტებაში თავისი წვლილი შეიტანა 1959 წელს გარდაცვლილი მეგობრის, პეტერ ზურკამპის, სურვილმა საკუთარი გამომცემლობისთვის ადორნოსაგან ესთეტიკის მზა ტექსტი მიელო. რასაკირველია, ადორნოსთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ესთეტიკის შესახებ საკუთარი იდეების ინტეგრაციის კონცეფცია თეორიის სახით გაეძალა, რომელიც მანამდე მუსიკის და ლიტერატურის შესახებ მრავალ ნაშრომში გამოიიტქა. ამ ნაშრომების რეცეფციას ხშირად აფორიზმული ან სულაც რაფსოდიული ხასიათი ჰქონდა. შესაძლოა, ადორნოს ფილოსოფიაში შინაარსობრივი აზროვნების პრიმატმა საკუთარი ფილოსოფიური ცნობიერების განტერეტა შეაფერხა. ადორნოს თვალსაზრისით, ხელოვნების შესახებ მატერიალური ნაშრომები „ესთეტიკური თეორიის გამოყენება კი არ არის, არამედ თავად ასეთი თეორიის ინტეგრალური მომენტებია“. 1961 წლის 4 მაისს ადორნომ „ესთეტიკური თეორიის“ პირველი ვერსიის კარნაზი დაიწყო, რომელიც შედარებით მოქლე აბზაცებად იყო დაყოფილი. მასზე მუშაობა ადორნომ მალევე „ნეგატიური დიალექტიკის“ სასარგებლოდ შეაჩერა. ამ ნაშრომის 1966 წლის ზაფხულში დასრულების შემდეგ ადორნო 1966 წლის 25 ოქტომბერს ესთეტიკის ახალი ვერსიის დამუშავებას შეუდგა. პარაგრაფებად დაყოფა თავებად დანანილებით შეიცვალა. დიდი ძალისხმევა დაიხარჯა „სექმატიზაციაზე“ – წიგნის დეტალურ დისპოზიციაზე. 1967 წლის იანვრის დასასრულს ტექსტის უკვე დაახლოებით მეოთხედი, ნედლი მასალის სახით ნაკარნახები, ნარმოდგენილი იყო. კარნაზის პროცესი მთელი 1967 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ პერიოდში, თითქოს სასხვათამორისოდ, ადორნომ ისეთი ნაშრომებიც შექმნა, როგორებიცაა დურკვპამის გამოცემის შესავალი და რუდოლფ ბორკარ-

ტის ლექსების კრებულის წინასიტყვაობა. დღიურის ერთ-ერთი ჩანაწერის თანახმად, „ესთეტიკური თეორიის“ „ნედლი, კარნახით დაფიქსირებული ტექსტი“ 1967 წლის 25 დეკემბერს დასრულდა; თუმცა, ეს შენიშვნა, როგორც ჩანს, ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან 1968 წლის 8 იანვარს ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ამასობაში ჩემი დიდი ესთეტიკური წიგნის პირველი რედაქციაც დავასრულე“: – კარნახის შედეგად ჩანერილი ვერსია, შესავლის გარდა, შვიდ თავს შეიცავს, შემდეგი სათაურებით: „სიტუაცია“, „ხელოვნების რაობა ანუ თავდაპირველი ისტორიის შესახებ“, „მატერიალიზმი“, „ნომინალიზმი“, „საზოგადოება“, „მონოდებები“ და „მეტაფიზიკა“. 1961 წლის ტექსტი, ორიოდ პარაგრაფის გარდა, ახალ ვერსიაში იქნა შეტანილი. თუმცა, ამ ვერსიასაც წინამდებარე გამოცემით წარმოდგენილ საბოლოო რედაქციაში თითქმის ვერ ამოვიცნობთ. საბოლოო საბეჭდი ვერსიის შედეგების შესახებ, პირველ კარნახთან შედარებით, აღირნომ ერთ-ერთ წერილში შემდეგი მოსაზრება გამოიტვა: „მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მთავარი საქმე, სახელდობრ, საბოლოო რედაქცია; მეორე რედაქციები ჩემთან ყოველთვის სამუშაოს გადამწყვეტი ნაბიჯია, პირველი მხოლოდ ნედლ მასალას წარმოადგენს, ან [...] ისინი ორგანიზებული თვითმოწყვეტაა. მეორე რედაქციები ჩემი საკუთარი ნაწილობრივი კრიტიკოსის პოზიციაში მოქეცევის საშუალებას მაძლევენ და ჩემთან ყოველთვის ყველაზე პოლიტიკულები აღმოჩნდებიან“ თუმცა, „ესთეტიკური თეორიის“ კრიტიკული რედაქციისას სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ამჯერად მეორე რედაქციაც ასევე მხოლოდ წინასწარი იყო.

კარნახის დასრულების შემდეგ სამუშაო შეფერხდა. ადორნო დაკვეთილ სოციოლოგიურ ნაშრომებს მიუპრუნდა, მათ შორის, მე-16 გერმანული სოციოლოგიური კონგრესის შესავალ მოხსენებას, ასევე, შესავალს კრებულისათვის „კამათი პოზიტივიზმის შესახებ გერმანულ სოციოლოგიაში“; ამავე პერიოდში შეიქმნა წიგნი ალბან ბერგის შესახებ. „მთავარი საქმისაგან“ ყურადღების ასეთ გადატანას ადორნო ყოველთვის განმკურნავ კორექტივებად აღიქვამდა. თუმცა, ყველაფერ ამას დაემატა დისკუსიები სტუდენტების საპროტესტო მოძრაობასთან დაკავშირებით და საუნივერსიტეტო პოლიტიკის დავაში მისი სულ უფრო მზარდი ჩართულობა; თუ პირველიდან საკმაო მასალა მის ნაშრომში „მარგინალიები თეორიისა და პრაქტიკის შესახებ“ შევიდა, მეორე მხოლოდ დროის და შრომის უნაყოფება ხარჯვა იყო. მხოლოდ 1968 წლის ზაფხულში შეძლო ადორნომ ესთეტიკაზე მუშაობის გაგრძელება. უპირველეს ყოვლისა, მან მთელ ტექსტს კრიტიკული ანოტაციები დაურთო, საკუთრივ კორექტურის მოსამზადებლად. ეს გულისხმობდა ნაკარნახები მასალის, ამასობაში უკვე საბეჭდი მანქანით აკრეფილი ტექსტის, გადამუშავებას, რის შედეგადაც თითქმის არცერთი წინადადება არ დარჩა შეუცვლელი, არ შეინარჩუნა თავდაპირველი ადგილი; დაემატა მრავალი პასაურ და არცთუ მცირეოდენი, ნაწილობრივ მომცველობითიც კი, უკომპრომისოდ წიაშალა. ამ ფაზის სამუშაო პროცესი ადორნომ 1968 წლის 8 ოქტომბერს დაიწყო. ამ დროს მან თავებად დაყოფაზე კვლავ უარი თქვა და სეგმენტებად დანაწევრებულის ადგილი უწყვეტმა ტექსტმა დაიკავა; გამიჯნვა მასში მხოლოდ ცარიელი სივრცეების საშუალებით უნდა მომხდარიყო. ეს ტექსტი 1969 წლის 5 მარტს დასრულდა. ქველი რედაქციის სამი თავი მთავარი ტექსტის ფარგლებს გარეთ დარჩა. ორი მათგანი – „მონოდებები“ და „სიტუაცია“ – ასევე უკვე მარტი შესწორდა, ხოლო ბოლო თავის, „მეტაფიზიკის“, გადამუშავების დასრულება 14 მაისს მოხერხდა.

## გერმანელ გამომცემელთა ბოლოთქმა

მომდევნო კვირებში მხოლოდ მრავალრიცხოვანი დამატებები წარმოიშვა. ისინი მთავარ ტექსტში მესამე სამუშაო რაუნდის შედეგად იქნა შეტანილი, ნაწილობრივ, ამ ტექსტის არადამაკმაყოფილებელი პასაჟების ჩანაცვლებების სახით. უკანასკნელი დათარიღებული ტექსტი 1969 წლის 16 ივლისით აღინიშნება.

წიგნის გადმიცემის ფორმა, საკარაულოდ, არცთუ უმნიშვნელოდ ართულებს მის რეცეფციას, თუმცა მხოლოდ „ესთეტიკური თეორიის“ ფრაგმენტული ხასიათის შედეგი არ არის. მეორე რედაქციაზე მუშაობის პროცესში ადორნო მისთვის მოულოდნელი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. ისინი როგორც ტექსტის დისპოზიციას, ისე, უპირველეს ყოვლისა, გადმოცემის და გადმოცემულის მიმართების საკითხებს ეხებოდა. ამის შესახებ ადორნო წერილებში გვამცნობს: „აღსანიშნავია, რომ ჩემთვის ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, აზრების შინაარსიდან გამომდინარე, გარდაუვალად წარმოიშვა გარკვეული შედეგები ასევე ფორმის თაობაზე. მათ დიდი ხანია მოველოდი, თუმცა ჩემთვის ეს მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. მარტივად, საქმე იმას ეხება, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისით, ჩემეული თეორემიდან, რომლის თანახმადაც არავითარი ‘პირველი’ არ არსებობს, ასევე, ჩვეულებრივი საფეხურზე კონცენტრული კონტენტის აგების შეუძლებლობაც გამომდინარეობს. და პირიქით, მთელი უნდა დამონტაჟდეს ნაწილობრივი კომპლექსების მწკრივებიდან, რომელთაც ერთგვარად თანაბარი მნიშვნელობა და ერთსა და იმავე საფეხურზე კონცენტრული განლაგება აქვთ; სწორედ მათი კონსტულაცია და არა შედეგია ის, რამაც იდეა უნდა მოგანოდოს“. კიდევ ერთ წერილში „ესთეტიკური თეორიის“ გადმოცემის სირთულეების შესახებ ვკითხულობთ: „ეს სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ ‘ჯერ-შემდეგ’-ის თითქმის გარდაუვალი თანმიმდევრობა წიგნისთვის საკუთარ საგანთან იმდენად შეუთავსებადი აღმოჩნდა, რომ, ამის შედეგად, ტრადიციული აზრით გაგებული დისპოზიცია, როგორც მას თავადაც აქამდე მიგვსდევდი (ასევე, ‘ნეგატიურ დაილექტიკაში’), განუხორციელებადი გახდა. წიგნი ერთგვარად კონცენტრულად თანაბარმნიშვნელოვან, პარატაქტიკულ ნაწილებად უნდა დაინეროს, რომლებიც საკუთარი კონსტულაციით გამოხატული ბირთვის ირგვლივაა თავმოყრილი“. გადმოცემის პარატაქტიკული ფორმის პრობლემები, რა სახითაც ისინი „ესთეტიკური თეორიის“ უკანასკნელ რედაქციაშია წარმოდგენილი – თუმცა, ადორნის ეს რედაქცია არ აქმაყოფილებდა – ობიექტურადაა განპირობებული: პრობლემები აზრის იბიექტურობასთან დამოკიდებულების გამოხატულებაა.<sup>1</sup> ფილოსოფიური პარატაქსისი ჰეგელთან წმინდა ჭვრეტის პროგრამის დაკამაყოფილებას ესწრაფვის. ნივთებს პარატაქსისი სუბიექტური წინასწარი ფორმირების ძალადობრივი აქტით კი არ ამახინჯებს, არამედ მათ არაენობრივ, არაიგივებრივ ელემენტს აამეტყველებს. ადორნომ მწკრივის შემქმნელი ხერხის შედეგები პიოლდერლინის მაგალითზე წარმოადგინა, ხოლო საკუთარი მეთოდის შესახებ აღნიშნავდა, რომ ის ყველაზე მჭიდროდ გვიანდელი ცერიოდის პიოლდერლინის ესთეტიკურ ტექსტებს უახლოვდება. თუმცა, ისეთი თეორია, რომელსაც *individuum ineffabile* აღანთებს და განუმეორებადში, არაცნებითში იმის გამოსწორებას სურს, რაც მას მაიდანტიფიცირებელმა აზროვნებამ მიაყენა, აუცილებლად კონფლიქტში ექცევა აბსტრაქტულობასთან, რომელიც მას, როგორც თეორიას, მაინც მოეთხოვება. ადორნის ესთეტიკას საკუთარი

<sup>1</sup> ფილოსოფიაში პარატაქტიკული, „ესეისტური“ ხერხის აუცილებლობის შესახებ იხ. ადორნის „ესეი როგორც ფორმა“, დევი დუმბაძის თარგმანი, lit.ge, 2017 (გამომც. მენ.)

ფილოსოფიური შიდაარსი პარატაქტიკულ გადმოცემის ფორმას განუსაზღვრავს, ეს ფორმა კი აპორიულია; ის პრიბლემის სეთ გადაუწყვეტადობაშიც ადორნი დარწმუნებული იყო. ამავე დროს, თეორიის სავალდებულოობა იმაზე დამოკიდებული რჩება, რომ აზრის შრომა და ძალისხმევა გადაუწყვეტადის გადაწყვეტას თავს არ ანებებს. ასეთი პარადოქსი, შესაძლოა, რეცეფციის ძალისხმევისთვისაც მოდელია. „ესთეტიკური თეორიის“ ტექსტთან პირის-ის, უშუალო მიდგომის მიერ აღმოჩენილ სირთულეებს ხელახალი გადამუშავებაც ვერ გააუქმებდა, თუმცა უეჭველია, რომ ისინი ასეთი დამუშავების შედეგად, უპირველეს ყოვლისა, გამონვლილვით გამოითვლებოდნენ და, ამდენად, შემსუბუქდებოდნენ. – „ესთეტიკური თეორიისთვის“ საკუთარი ავტორიტეტული ფორმის მინიჭებული სამუშაოს მესამე ფაზის დაწყება ადორნის იმ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ სურდა, რომელიც მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

ნინამდებარე გამოცემა კრიტიკულ შეჯერებულობასა და ისტორიულობაზე პრეტენზიას არ გამოთქვამს, არამედ მხოლოდ ბოლო რედაქციის სრულ ტექსტს გვთავაზობს. გამოტოვებულია მარტოოდენ კარნაბის შედეგად ჩაწერილი ვერსიის ისეთი პასაუგი, რომლებიც სამუშაოს მეორე ფაზის შემდეგ ინტეგრირებული აღარ იქნება; იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადორნომ ასეთი პასაუგი აშკარად არ გადახაზა, ისინი მის მიერ უკუგდებულად უნდა ჩაითვალონ. ასევე, შესწორებების გარეშე დაბრუნებული უფრო მცირე ფრაგმენტების გარკვეული რაოდენობა, საკუთარი მკაფიოობის გამა, „პარალიპომენაში“ ჩავრთეთ. შესწორებული, თუმცა ადორნის მიერ უკუგდებული ადრინდებული შესავალი დანართის სახით იბეჭდება. ის შინაარსობრივად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გამოტოვება დაუშვებელი იქნებოდა. ორთოგრაფიის თავისებურებები შევინარჩუნეთ. სასვენი ნიშნებიც, რომლებიც ჯერ კიდევ მეტყველების რიტმს მიჰყვებიან და დასაბეჭდად, საბოლოო რედაქტირებისას, ადორნის მიერ უეჭველად ჩვეულ წესებს მოერგებოდნენ, ცვლილებების გარეშე დაგტოვეთ. რადგან ხელანერის დედანი კორექტურების შედეგად თავად ადორნისთვისაც რთულად წაკითხვადი გახდა, მასში აღაგ-ალაგ შეკვეცილი ან ელიფსური ფორმულირებები გვეხვდებოდა. ისინი თავშეკავებულად გავშალეთ. ასეთ გრამატიკულ ჩარევებს თუ არ ჩავთვლით, გამომცემლებმა საჭიროდ მივიჩნიეთ, შესწორებებისგან შეძლებისდაგვარად თავი შეგვეავვებინა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გამეორებების, ზოგჯერ ნინააღმდეგობების გამო, გარკვეული შესწორებები აზრიანად გვეჩერებოდა. მრავალი ფორმულირება და პასაუგი, რომელთა თაობაზეც გამომცემლები დარწმუნებულები ვიყავით, რომ ადორნი მათ შეცვლიდა, მაიც ცვლილებების გარეშე შევინარჩუნეთ. შესწორებები მხოლოდ ისეთ შემთხვევებში შევიტნეთ, როცა საჭირო იყო აზრობრივი გაუგებრობების გამორიცხვა.

საგრძნობ სირთულეებს ტექსტის განაწილება იწვევდა. საფუძვლად ავილეთ კორექტირებული მთავარი ტექსტი. მასში შემდეგ ხსნებული, დამუშავებული, თუმცა არა ინტეგრირებული თავების ჩართვა მოგვინია. ნაწილი „სიტუაციის“ შესახებ (გვ. 28-48) – *modernité*-ს ისტორიის ფილოსოფია, პირველი თავი თავდაპირელ რედაქციაში – დაახლოებით იმავე, ადრინდელ ადგილას უნდა განთავსებულიყო. „ესთეტიკური თეორიისთვის“ ცენტრალურია წვდომა, რომ წარსულ ხელოვნებას წათელი მხოლოდ თანამედროვე ხელოვნების მწვერვალიდან ეფინება.

## გერმანელ გამომცემელთა ბოლოთქმა

ერთ-ერთი ჩანაწერის თანახმად, ადორნო „სიტუაციის“ და „მოწოდებების“ თავების გაერთიანებას აპირებდა და გამომცემლებმაც სწორედ ასეთ ხერხს მივმართეთ (გვ. 48-63). „მეტაფიზიკის“ შესახებ თავის (გვ. 159-168) განთავსება „გამოცანის ხასიათის შესახებ“ ნაწილის მომდევნოდ, აზრის მსვლელობიდან სარწმუნოდ გამომდინარეობდა. ცალკეულ შემთხვევებში, რამდენიმე აბზაცის თანმიმდევრობის შეცვლა მოგვიწია. ასეთ გადაადგილებათა უმეტესი ნაწილი თავად ადორნომ მარგინალიებში განიხილა. გამომცემელთა მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადაადგილებისას ვცადეთ, წიგნის გადმოცემის პარატაქტიკული წესის უფრო ნათელი არტიკულაციისათვის მიგვეძინა. გამორიცხული იყო წიგნის კვლავ გადმოცემის დედუქციურად იერარქიული კავშირი მსხვერპლად გვექცია. – გამომცემელთა მიერ „პარალიპომენას“ სახით განხილული ფრაგმენტები ნაწილობრივ მოგვიანებით დაწერილი ჩანართებია, ნაწილობრივ კი ეგრეთ წილებული განცალკევებული ჩანაწერები: თავდაპირველი ტექსტიდან გამოყოფილი პასაჟები, რომელებიც საბოლოოდ სხვა ადგილას უნდა განთავსებულიყვნენ. ამ ფრაგმენტების მთავარ ტექსტში ინტეგრირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ადორნო მხოლოდ იშვიათ აღნიშნავდა ზუსტად იმ ადგილს, სადაც მათ განთავსებას განიზრახავდა. თითქმის ყოველთვის მათი ჩართვა რამდენიმე ადგილას იქნებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, ამ ტექსტების ინტეგრირება გადამყვანი წინადადებების ფორმულირებას მოითხოვდა, გამომცემლებს კი მიაჩნდათ, რომ ამის უფლება მათ არ ჰქონდათ. „პარალიპომენას“ განლაგება გამომცემლებმა განვსაზღვრეთ. – ციტატების დამოწმებები ხელნაწერში ბოლომდე მითითებული არ იყო, თუმცა ადორნო დაგეგმილი მითითებების ადგილებს ხშირად აღნიშნავდა. ლიტერატურაზე ასეთი მითითებები გამომცემლებმა ჩამოვაყალიბეთ. ასევე, რამდენიმე დამოწმება ისეთ შემთხვევებში დავამატეთ, როცა ვვარაუდობდით, რომ ადორნოც ასე იმოქმედებდა. – სვეტის თავებში მითითებული დასათაურებებიც გამომცემელთა დამატებაა, თუმცა, რასაკვირველია, ამ დროს ხშირად ვეყრდნობოდით „heading“-ებს, შინაარსზე მიმთითებელ მოკლე ფრაზებს. ისინი თავად ადორნოს ხელნაწერის გვერდების უმეტეს ნაწილზე აღნიშნული ჰქონდა.

„ესთეტიკური თეორიის“ ეპიგრამად ფრიდრიხ შლეგელის ფრაგმენტი ივარაუდებოდა: „იმას, რასაც ხელოვნების ფილოსოფიას უწოდებენ, ჩვეულებრივ, ორიდან ერთ-ერთი აკლია: ან ფილოსოფია, ან ხელოვნება“. ადორნო წიგნის სემუელ ბეკეტისთვის მიძღვნას განიზრავდა.

გამომცემლები მადლობას უხდან ელფრიდე ოლბრიხს, მრავალი წლის განმავლობაში ადორნოს მდივანს, რომელმაც ტექსტი გამიფრა და ჩაიწერა.

1970 წელი, ივლისი

**მთარგმნელის პოლისიტურაობა:**

**ხელოვნება და ცსნა.  
აღორცის „ესთატიკური თეორია“**



უტოპიურ ელემენტს თეოდორ ვ. ადორნოს ესთეტიკურ თეორიაში სოციალური კრიტიკა ასაზრდოებს. თანამედროვე საზოგადოება საქონლური ფორმით განისაზღვრება, ერთდროულად ეკონომიკური და ეპისტემოლოგიური ფენომენით: ნივთთა საქონლური ფორმა მხოლოდ სამეურნეო რეალობა არ არის. მის საფუძვლად ისტორიულად ჩამოყალიბებული აზროვნების ფორმა ითვლება, რომელიც, ადორნოს თანახმად, არაიგიერობრივის იგივეობის ქვეშ მოქცევასა და, ამდენად, თვისებების მოკეთას ეფუძნება. მრავალფეროვანი, კოგნიტურ პროცესში ცნობიერებისთვის სენსორული ორგანოებით მიწოდებული, უკვე აზროვნების უზოგადესი ფორმების, კატეგორიების საშუალებით მოწერილებული მასალა. იმანუელ კანტის სინთეზური აპერცეფციის ერთიანობისა და კარლ მარქსის მწარმოებლური პროცესის შეუძლების შედეგად ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორებიცაა ლირებულება, ფული და კაპიტალი, ლირებულების როგორც საზოგადოებრივი ფორმის მეტამორფოზებად გაიაზრება. თავის მხრივ, ლირებულება, საკუთარი კვალიტიურ-კვანტიტატური ასპექტებითურთ, მაიდნენტიფიცირებელი აზროვნების უზოგადესი ცნებითი განსაზღვრებების იგივეობრივია. სუბსტანცია, თვისებრიობა, რაოდენობრიობა არა წებისმიერი არსებულის, როგორც არსებულის, ონტოლოგიური დეტერმინანტები, არამედ სოციალური ისტორიის პროცესში აღმოცენებული, საზოგადოებრივად აუცილებელი აზროვნების ფორმებად ითვლება.<sup>1</sup>

ადორნო საკუთარი ესთეტიკური თეორიის ქვაკუთხედად კანტის სუბიექტური ფილოსოფიის დებულებას აქცევს, რომ ნივთები თავისთავად საკუთარ ფენომენებად გამოვლინებას არ ემთხვევა. ფენომენალური სამყარო თავისთავადი ნივთების სუბიექტური ტრანსფორმაციის შედეგია. თუმცა, რადგან მოვლენა თავისთავადი ნივთებით გამოწვეულია, ის არა სოლიფისისტურად შემთხვევითად ცვალებადი, არამედ აუცილებელია. ამავე დროს, კინტისგან განსხვავებით, სუბიექტური გონება, ადორნოს თანახმად, ისტორიულია; ეს ისტორიული მატერიალიზმის სწავლებიდან გამომდინარეობს. ისტორიული გონება თავად შეზღუდულია, რადგან მხოლოდ თვითორჩენის მიზნით განვითარდა ხანგრძლივ პროცესში, ნინაისტორიიდან დღვანდელობამდე, რომელიც ადორნომ მაქს ჰორკჴამერთან ერთად ადრევე „განმანათლებლობის დიალექტიკად“ დაახასიათა. ადამიანთა მოდგმა, თავად ბუნების ნაწილი, ბუნებას იმით ემიჯნება, რომ აღქმულ მასალას შემეცნებით პროცესში სუბიექტურად ცნებითი პროექციის საშუალებით „უფრო მეტი უნდა დაუბრუნოს, ვიდრე ის მისგან იძენს“.<sup>2</sup> ტრანსცენდენტალური წარმოსახვის უნარი ადამიანს იმთავითვე ადამისეულ სახელდების უნარს ანიჭებს. წარმოდგენილი მასალის სინთეზს

1 ადორნო ამ ასპექტით ალფრედ ზონ-რეთელის ტრანსცენდენტალური სუბიექტის ლირებულების ფორმიდან აღმოცენების თეორიას ეყრდნობა, იხ. Alfred Sohn-Rethel, *Warenform und Denkform. Aufsätze*, Wien 1971.

2 თეოდორ ვ. ადორნო და მაქს ჰორკჴამერი, განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფიური ფრაგმენტები, თბილისი 2012, გვ. 273.

ეფუძნება, რომელიც მას თავად სუბიექტის პროდუქტიული წარმოსახვის უნარის ზოგადი წესების საშუალებით ფორმას ასხამს.<sup>3</sup> მრავალფეროვანი იდენტურ იმი-ექტებად სინთეზირდება. მათ კონტურებში კი არაიგივეობრივი თვისებები – ინდივი-დუალური საგნის მატერიალური განუმეორებლობა – ობიექტების შესაძლო გამოც-დილების კონტექსტში კანონზომიერად მარგანიზებელი სქემის მიღმა იკარგება. ამასთან, სინთეზი და შრომა ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა: თუ თვით ბუნებრივი ობიექტების აღქმა, მათი კოგნიტიური კონსტიტუირება, მოდელირებუ-ლა ინსტრუმენტული გონების კატეგორიული აპარატით, არტეფაქტების ბუნებ-რივი მასალებიდან წარმოება უკვე მიზანდასახულ ფორმათნარმოებას ემთხვევა. სუბიექტივისტური ფორმშესხმის ელემენტი ასეთ წარმოებაში განზრახ რეფლექსიას წაიმძღვარებს.

განმანათლებლობის დიალექტივის პროცესში, რომლის საწყისიც მითიური სახელდებაა, წინაისტორიის უადრეს საფეხურებზე, უკვე ქვედა პალეოლითის ხანი-დან შემონახული უძველესი არტეფაქტების მინიმალური ვიზუალურ-ნიშნური ელე-მენტები ადამიანის ბუნების მიმართ მაგიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ეს დამოკიდებულება, ნაბიჯ-ნაბიჯ, რაციონალიზაციის ათასწლოვან პროცესს გაივლის, სანამ ინდუსტრიალიზმის განვითარებულ სამეცნიერო პროცედურებსა და ექსპერი-მენტულ მეთოდოლოგიას დაექვემდებარება. „დიალექტიკაში“ პროცესი ოდისევების, როგორც პროტოტაპული ბატონის, ცნობიერების ჩამოყალიბების მაგალითით აღი-ნერება.<sup>4</sup> თვით ჩანასახობრივი მაგის საფეხურზე ადამიანი ბუნების გაობიექტე-ბითაა დაინტერესებული, რათა ურყევი იმის მისამართი ზოგადი ნიშნების და კანონზომიერებების საფუძველზე დაიმორჩილოს, იმის ნაცვლად, რომ ბუნებრივი ძალების და საგნების ინდივიდუალურ არაიგივეობრივ თვისებებს არარეგლამენ-ტირებული მიმეტური პრაქტიკით მოექცეს.<sup>5</sup> თანამედროვე საზოგადოებაში, მა-გიას პერიფერიაზე განდევნის რაციონალიზაცია – და რაციონალიზებური ქცევის გათვითმყოფადებული ფორმები, ასევე, საზოგადოების „ახალ ბარბაროსობაში“ უკუსვლის შესაძლებლობის პირობას ქმნიან.

უტოპიური ელემენტი საზოგადოებრივი კრიტიკით იმიტომ საზრდოობს, რომ, როგორც ადორნონ გვაუწყებს, მას თავად ბუნება შეიცავს. საზოგადოება დღემდე ასეთი ელემენტის რეალიზაციას ჩამოუვარდება, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ხვეწს მნარმოებლურ საშუალებებს. ასეთი შეუსაბამობა ესთეტიკურ გამოცდილებაში გამოიხატება. ამასთან, პრობლემა ადორნონს კონცეფციაში იმის დადგენაა, მხოლოდ ამახინჯებს თუ არა სუბიექტური გონება, რადგან ის საკუთარი სქემატიზაციის პრო-ცესით მრავალფეროვნის არაიდენტურ თვისებებს ცნობების ფორმირების შედეგად ანიველირებს, ნივთებს თავისთავად, თუ იმავდროული რეალობის სულ უფრო ადეკ-ვატურ ასახვას სწავლობს ისეთი ცივილიზაციური მიღწევების საფუძველზე, რომელთა ისტორიული ნაყოფიც ბუნების სამეცნიერო პროცედურებით ეფექტური კვლევაა.

ეს წინააღმდეგობა არსებითა. ერთი მხრივ, ადორნოს არ შეუძლია დაუშვას,

3 პროდუქტოლი ტრანსცენდენტალური წარმოსახვის უნარის შესახებ იხ. Immanuel Kant, Kritik der reinen Vernunft, B151, Hamburg 1998.

4 იხ. „ოდისევის, ანუ მითოსი და განმანათლებლობა“, ადორნონ და პორკპაიმერი, განმანათლებლო-ბის დიალექტიკა, გვ. 75-122.

5 იხ. დევი დუმბაძე, იდეოლოგია და არარეგლამენტირებული გამოცდილება. ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია, ადორნონს იდეოლოგიის კრიტიკა, თბილისი 2015.

რომ გონიება ნივთებისგან თავისთავად სრულებით მოწყვეტილია. სოციალური კონსტრუქტივიზმის ასეთ შემთხვევაში არა მხოლოდ უშედეგო სოლიფსიზმი შეგვრჩებოდა ხელთ, რომლის დაძლევაც უკვე კანტის ტრანსცენდენტალური სუბიექტივიზმის მონოდება იყო; „წმინდა გონიების კრიტიკის“ „იდეალიზმის უარყოფის“ შესახებ თავი ამას ექსპლიკატურად გამოიქვამს.<sup>6</sup> ამით, ასევე ვერ აიხსნებოდა იმის შესაძლებლობაც, რაც, ადორნოს მიხედვით, თავად საზოგადოებაში ზოგად ფორმებსა და ინდივიდუალურ არსებულს შორის გაბატონებულ გახლეჩილობას მოხსნიდა და ზოგადისა და კერძოს შერიგების მიღწევის წინაპირობაა. მაშასადამე, გაბატონებული გონიება ჭეშმარიტია. ბატონობა, რომლის განსახიერებაც არის გმირი ოდისეესის თვითმაკონტროლებელი ცნობიერება, ვერ იქნებოდა წარმატებული, თუ სუბიექტური შრომა-აზროვნების კატეგორიები ნივთებს თავისთავად ვერ სწვდებოდნენ. კატეგორიების მართებული ფორმირების კრიტერიუმი პრატიკული დამორჩილების რეალური წარმატებაა. ასეთ წარმატებას, როგორც დასძენს ადორნო, კაცობრიობა ბუნების დამორჩილების პროცესში წინასტორიული, მაგიური საფეხურიდან ისტორიულზე, რაციონალიზებური შრომის პროცესის გაშუალებით განხორციელებულ თვითრჩენაზე გადასვლის დროს მართლაც აღნევს.

ამდენად, მეორე მხრივ, გაუგებარი რჩება, თუ როგორ არის შესაძლებელი შერიგებას მიღწეული ისეთი გონიება, რომლის მომასხავებელიც, ადორნოს მტკიცებით, ეს-თეტიკური გამოცდილებაა – და ესთეტიკური თეორიაც, მის შესახებ რეფლექსია. სწორედ ბუნებასა და ხელოვნებაში განხორციელებულ ესთეტიკურ გამოცდილებას მიერჩება შესაძლებლობა, მართალია, არა ინსტრუმენტული გონიების ისტორიულად ცვალებადი სქემების აპსტრაქტული უკუგდებით, არამედ, მათზე დაყრდნობით, ასეთ სქემებს გასცდეს – მათი განსაზღვრული ნეგაციის საშუალებით. შედეგად, სუბიექტური გონიება ჭეშმარიტიც აღმოჩნდება და იმავდროულად ყალბიც. ის ყალბი და დამახინჯებულია თვითდასახიჩრების შედეგად, რადგან ბატონი ბუნებასა და სხვებზე, როგორც ყმებზე, ძალადობისთვის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ლტოლვების მოთოვას, თავისთვის თვითგვემით იარების მიყენებას და სოციალიზებულ თვითუკუგდებას ეწაფება. თვითუკუგდება ინდივიდში საკუთარი სურვილების უშუალო განხორციელების აკრძალვას ემთხვევა, ადორნოს ფრონდისტული ინტერპრეტაციის თანახმად, ცივილიზაციის გამამყარებელი ეგოსა და სუპერ-ეგოს გაშუალებული ინსტიტუციების აღმართოვის სასარგებლოდ. სუბიექტური გონიება და-მახინჯებულია იმ აზრითაც, რომ ადამიანის ცნობიერება თავად ბუნებასაც უნდა ამახინჯებდეს, მასზე ძალადობდეს. სქემატიზმის რეალიზაციის განუწყვეტელ, საბოლოოდ, გვარეუბითი გენეტიკურ-ნევროლოგიური პროგრამის სახით ავტომატიზებულ პროცესში ბუნებრივი თავისთავადი ნივთების ინდივიდუალური გარკვეულობა კერძო ობიექტებად რედუცირდება. თუმცა, რადგან ობიექტები თავად ზოგადი გონიების კონცეპტუალურ ფორმებს ექვემდებარებიან, პარადოქსულად, გამიზნული ინდივიდუალურის შემეცნება ვერ ხერხდება. ინსტრუმენტული გონიების შემეცნება წარმატებულია და ფუჭიც. გონიება თავისთავად ნივთებს აუცილებლობით ძალადობრივად უნდა მოეპყრას, რათა შრომა-სინოეზის განუწყვეტელ პროცესში ხელომყოფ ფენიმენალურ სამყაროდ გარდასახოს. თუმცა, გონიების წარმატება იმავდროულად მისი წარუმატებლობა უნდა აღმოჩნდეს. თვითრჩენა ისტორიულად სულ უფრო

6 ob. Kant, Kritik der reinen Vernunft, Widerlegung des Idealismus, B274-280.

და უფრო რაციონალიზებურ და ეფექტურ სახეს იძენს. ასეთ პროგრესს ადორნო, ანტიგანმანათლებლობის საწინააღმდეგოდ, არათუ უარყოფს, არამედ მომავალი საზოგადოებრივი შერიგბის აუცილებელ წინაპირობად სახავს.<sup>7</sup> თუმცა, რაც უფრო ღრმად იქრება ადამიანის ისტორიული ცნობიერება ბუნებაში, რაც უფრო ქმედუნარიანად განკარგავს ბუნებრივ ძალებს მისი ტექნიკა, მით უფრო შორდება იმას, რასაც ჭეშმარიტი ბუნება უნდა ვუწოდოთ. ადორნოს ვარაუდია, რომ რაციონალიზაცია ახალი ცნებების, თეორიების, სამეცნიერო-ექსპერიმენტული პროცედურების, დაბოლოს, ინდუსტრიული იმპლემენტაციების საშუალებით თავად ბუნების საკუთარ სინგულარულ მიღრუების უგულებელყოფს. სწორედ ამის გამო, იმის ნაცვლად, რომ თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მასალას იქ მისდიოს, საითაც ის თავად ცნობიერებას მიუძღვის – რაც მხატვრული შემოქმედების და ხელოვნების ნარმოების, როგორც ინდუსტრიულისან განსხვავებულის, კრიტერიუმად ცხადდება –, გონება მასალას მხოლოდ ისეთი ასპექტით აღიქვამს და, შესაბამისად, აღარიბებს, რომელიც მოცემულ ვითარებაში სახეობის საკუთარი თვითორჩენისთვის რელევანტურია. დანარჩენი, უკეთეს შემთხვევაში, უგულებელყოფა, უარეს შემთხვევაში, როგორც არაარსებითი, ნადგურდება.

თუ ადორნო თავის ადრინელ ნაშრომში „შემეცნების თეორიის მეტაკრიტიკის შესახებ“ ჭეშმარიტების ფილოსოფიურ „რეზიდუალურ თეორიას“<sup>8</sup> აკრიტიკებს, იგი თავადაც ჭეშმარიტების რეზიდუალურ გაგებას იზიარებს. არსებითად ჭეშმარიტი, ადორნოს მიხედვით, სწორედ ის ნარჩენი უნდა იყოს, რომელიც სციენტისტური გონების კატეგორიების ბადეს გარდაუვალად ხელიდან უსხლტება. თუმცა, მიუხედავად ამისა, პატონობაც, მებატონე ეგო და სუბიექტური სული, ასევე ჭეშმარიტად უნდა გამოცხადდეს. თვითდესტრუქციული პოტენციალის მიუხედავად, რომელიც ისტორიულ საზოგადოებრივ კატასტროფებში განხორციელდა, ასეთი სული საკუთარ მიზანს აღწევს, რადგან ბუნებაზე ბატონობას რეალურად ავითარებს.

ადორნოსთვის წინააღმდეგობიდან გამოსავლად ის ითვლება, რომ ჭეშმარიტების ასეთი წინააღმდეგობრივი ელემენტების შიდაარსის წვდომას ნეგატიური დიალექტიკის – მის თანახმად, შემეცნების ერთადერთი ლეგიტიმური კრიტიკის – აუცილებელ საგნად აქცევს. ამას იგი მხოლოდ ისეთ თეორიას ანდობს, რომელიც თავად არარედუცირებული მგრძნობელობის თვისებას ითვალისწინებს, ესთეტიკური ხდება – რაც წიგნის სათაურსაც გვიხსნის. თუ ნეგატიური დიალექტიკა არსებული თეორიის კრიტიკაა, ესთეტიკური თეორია ლეგიტიმურის წინასწარმეტყველება იქნება. მხოლოდ ესთეტიკურად ქცეული თეორია იხსენებს ინდივიდუალურ საგანთან მიმეტურ მიახლოებას არარეგლამენტირებულ გამოცდილებაში. მიმეტური კავშირის დავიწყებას ადორნო მაიდინტიფიცირებელ გონებას უჩივის. ხსენებული ნააღმდეგობა თეორიის ესთეტიკურად ქცევის საფუძველია. ერთი მხრივ, ჭეშმარიტების შიდაარსი ბრმა ინტუიტივიზმით ვერ მიიღწევა. ადორნოსთვის თავისთავად ცხადია, რომ შეზღუდული რაციონალიზმის პასუხი

7 ob. Theodor W. Adorno, „Fortschritt“, in: Gesammelte Schriften, Bd. 10.2, Kulturkritik und Gesellschaft II, herausgegeben von Rolf Tiedemann unter Mitwirkung von Gretel Adorno, Susan Buck-Morss und Klaus Schultz, Frankfurt am Main 1997, Bd. 617–638.

8 ob. Theodor W. Adorno, Zur Metakritik der Erkenntnistheorie. Studien über Husserl und die phänomenologischen Antinomien, in: Gesammelte Schriften, Bd. 5, Bd. 23.

ვერ იქნება ორაციონალიზმი, რომელსაც ის რომანტიზმსა თუ ნიცშესთან, ბერგ-სონთან თუ საკუთარ თანამედროვე პოსტმოდერნიზმის საწყისები *avant la lettre* აკრიტიკებს. არც განმანათლებლობა არის აბსტრაქტულად, ერთი ხელის მოს-მით, ნებირებადი პროცესი და არც უცნებო შეგრძნება მოგვცემდა რეზილუუმის, ნარჩენის, წედომის საშუალებას – რადგან, ადორნოს თანახმად, ლოგიკური, მეტყ-ველი ელემენტი თავისთავად ნივთებში სუფეს. სწორედ ეს მეტყველი ელემენ-ტია დახსნილი მდგომარეობის მომასწავებელი, რომელსაც ცალმხრივად სწვდება მხოლოდ თვითორჩენით დაინტერესებული გონება. გონებას მეტყველება წესრიგში გადაყავს, გამოხატულება – კომუნიკაციაში; ასეთი წესრიგი გულისხმობს სწორედ, რომ ცალკეული დისკურსული იმპულსები ზოგადი წესების თანახმად, მაშასადამე, ცნებების საშუალებით, ერთმანეთს მიზეზობრივ მწკრივებად უკავშირდებიან, რათა შემეცნების პროცესში არა წყვეტადი ქაოსი, არამედ ზოგადი კანონზომიერე-ბებით კონსტიტუირებულ შესაძლო გამოცდილების ფარგლებში ერთიანი საგნები მოგვეცეს. მაშასადამე, რაციონალიზმი ხსნის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან მიზეზობრიობის შემცნების გარეშე ადამიანი, თავად ბუნება, ბუნების მითიურ ბატონობას ვერ დაეხსნებოდა.

ამდენად, ადორნოს ესთეტიკური თეორია, ერთი შეხედვით, ისეთი ტროპის ვა-რიაციაა, რომ საკუთარ თავი უნდა უკუვაგდოთ, რათა ის ჭეშმარიტად მოვიპო-ვოთ. თუმცა, ეს მხოლოდ მისი რეგრესული ინტერპრეტაცია იქნებოდა. ესთეტი-კური თეორია ანტირაციონალისტური არ არის. პირიქით, რაციონალიზმის ჯერაც განუხორციელებელი პოტენციალის განხორციელებას ითხოვს და, ამდენად, არა ნაკლებ, არამედ მეტ სუბიექტურიზმს. მხოლოდ გაფართოებული სუბიექტურიზმი შეძლებდა საკუთარი თვითორჩენის მიზნებით დაწესებული შეზღუდულობის გადა-ლახვას და ბუნებაში იმის მიბაძვას, რაც რეგლამენტირებული სუბიექტურობის-თვის მიუღწევადი რჩება, რადგან ბუნებას მხოლოდ როგორც ობიექტს ექცევა და არა იმავდროულად თავად სუბიექტური საწყისის მქონედ. ამის შედეგად კი, კანტიანიზმის პრობლება ადორნოსთანაც ბრუნდება. მას ადორნო თავად აღი-არებს, თუმცა არა გადახსრად, არა კონკრეტულ მოაზროვნეთა შემთხვევით შეც-დომად – საკუთარი თავის ჩათვლით – არამედ თავად სოციალურად ფორმირე-ბული რეალობის მაკონსტიტუირებელ ელემენტად განმარტავს. ისევე, როგორც ფრიდრიხ ჰაინრიხი იაკობის, კანტის თანამედროვე კრიტიკოსის, თანახმად, თა-ვისთავადი ნივთის ცნების გარეშე კანტის სისტემაში ვერ შევალნევთ, მაგრამ მის შედეგად მას ვეღარც მივატოვდოთ და მასში გამოკეტილნი ვრჩებით, ადორნოს ესთეტიკური თეორიაც გაუგებარი დარჩებოდა „გამოცდილების ბლოკის“<sup>9</sup> ისე-თი ცნების გარეშე, რომელსაც იგი საკუთარი რწმუნებით კანტს ესესხება და ამ უკანასკნელთან ფენომენალური და ნოუმენალური სამყაროების გამიჯვნით აიხ-სნება; თუმცა, ერთხელ პოსტულარებული ბლოკიდან მხოლოდ თეოლოგია თუ გამოგვიყვანს. ბლოკი სუბიექტური გონების მიერ თავისთავადი საგნების წვდომას ხერგავს. ის სუბიექტისა და ობიექტის ცივილიზაციურად ფორმირებულ დამორე-ბას ნარმოგვიდგენს,<sup>10</sup> რომლის გარეშეც შეუძლებელია სწორედ ასეთი ზღუდის მიღმა გამყვანი ესთეტიკური თეორიის რესტიტუციაც. არის თუ არა, ადორნოს

9 ob. Theodor W. Adorno, Kants ‘Kritik der reinen Vernunft’ (1959), Frankfurt am Main 1995.

10 ob. Theodor W. Adorno, „Zu Subjekt und Objekt,“ in: Gesammelte Schriften, ტ. 10.2, გვ. 741-758.

თანახმად, გამოცდილების ბლოკის მოხსნა შესაძლებელი, ეს მისი წეგატიური დიალექტის გადამწყვეტი საკითხია.

ესთეტიკური გამოცდილება, ბუნებასა თუ ხელოვნებაში, ბლოკით საზრდოობს. ხელოვნება არარეგლამენტირებული გამოცდილების ინტენციური მომასწავებელია მამინ, როცა ბუნებაში შეუზღუდავი გამოცდილება არაინტენციურად განიცდება იმის სახით, რასაც კანტის ესთეტიკა ამაღლებულის გრძნობად აღწერს.<sup>11</sup> ესთეტიკური გამოცდილება ბლოკს არღვევს, თუნდაც წამიერად. „იმას, რაც ბუნებას ამაოდ სურს, ხელოვნების ნაწარმოებები აღასრულებენ: ისინი თვალებს ახელენ“.<sup>12</sup> თავად ადამიანის ცნობიერების საწყისი, ადორნოს თანახმად, ესთეტიკური გამოცდილებაა, რადგან პირველი გამოსახულება, სახვითი სახელი, თავზარდამცემი ბუნებით დატერორების შიშით აღმოხდილი ძახილია. იმავდროულად შეძრნუნების ხმა ბუნების მოვლენას გამოსახულებად გარდასახაეს და საწყისურ მაგიურ ცნობიერებაში აღმატებულ ბუნებრივ ძალას ჯადოსნურად დაშოშმინებულადაც წარმოიდგენს. ესაა მითოსის და, მაშასადამე, განმანათლებლობის მსვლელობის ისტორიული დასაწყისიც. საზოგადოებრივ პროგრესში ბუნების მიმეტური ასპექტი იზღუდება.<sup>13</sup> თანამედროვე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ადორნოს თანახმად, მიმეზისი მხოლოდ საკვირაო სკოლის ღონისძიების სახით შემოღობილ სფეროდ თუ დაიშვება და კულტურის ინდუსტრიის წარმოებაში ინტეგრირდება.<sup>14</sup> მასში ხელოვნების ნაწარმოებები თითოეულ შემთხვევაში სწორედ კულტურის ინდუსტრიის სქემიდან დახსნის საშუალებით რეალიზდებან ისე, რომ საქონლურ ფორმას მაინც ვერ იძორებენ. მეტიც, ადორნოს თანახმად, დღევანდელ სიტუაციაში ხელოვნების ნაწარმოები „აბსოლუტური საქონელიც“<sup>15</sup> კი არის, რადგან მასში ავტონომიის, თავად საკუთარი თავისთვის არსებობის, პრინციპი რეალიზდება: მოდერნული ხელოვნების ნაწარმოები იმით ემიჯნება საქონელს, რომ რადიკალურად ახორციელებს საქონლის ლოგიკას, რომლის მიხედვით ნივთები არა მოხმარებისთვის, ჩვენთვის, არამედ გაცვლითი ღირებულის რეალიზაციისთვის, საკუთარი თავისთვის ინარმოებან.

მოდერნული ავტონომიური ხელოვნების ნაწარმოები, ამდენად, იმის ბოლომდე მიყვანაა, რაც ტრადიციულმა ნაწარმოებებმა დაინტენს. ის მიზნობრიობას და, ამდენად, საზოგადოებრივ ფუნქციონალიზმს უკიდურესად სცილდება. ხელოვნების ნაწარმოები მოდერნში მხოლოდ საკუთარი ინდივიდუალური მასალის მოთხოვნებს მისდევს, რომლებიც მასში ექსპრესიის საშუალებით აღნევენ. ექსპრესია კი, თავის მხრივ, მხოლოდ კონსტრუქციის, ისეთი რაციონალური ფორმშესმით რეალიზდება, რომელიც ყურადღებას სხვას არაფერს აქცევს, თუ არა ინდივიდუალური ნაწარმოების იმანენტურ ფორმალურ კანონს. ადორნოსთვის ხელოვნების პოლიტიკური და ნებისმიერი სხვა სახის ფუნქციონალიზმი უცხოა.<sup>16</sup> თუმცა, ხელოვნების პოლიტიკური პოტენციალი, თუ სად-

11 იხ. თავი ბუნების მშვენიერის შესახებ, „ესთეტიკური თეორია“, წინამდებარე გამოცემა, გვ. 82-101.

12 იხ. იქვე, გვ. 87.

13 იხ. ადორნო და პორკპაიმერი, განმანათლებლობის დიალექტიკა, გვ. 262.

14 იხ. ადორნო და პორკპაიმერი, „კულტურის ინდუსტრია. განმანათლებლობა, როგორც მასების მოტივულია“, განმანათლებლობის დიალექტიკა, გვ. 175-243.

15 იხ. თავი საზოგადოების შესახებ, გვ. 184; ასევე, გვ. 35.

16 ამ კუთხით ადორნო ბენედეტო კროჩეს ნეოპეგლიანურ ესთეტიკას უახლოვდება, თუმცა სულის მისულ ტრიუმფალისტურ ცნებას უკუაგდებს. იხ. „ადრინდელი შესავალი“, გვ. 403 და შედ.; 242, 323, 393.

მე არსებობს, იმაში მუღლავნდება, რომ ხელოვნება საზოგადოებრივ მოთხოვნებს – საბოლოოდ, თვითორჩენის საზოგადოებრივ მაქსიმებს – უგულებელყოფს და, პირიქით, გამოხატულების და ესთეტიკური რაციონალიზმის ინდივიდუალურად განუმეორებელი შეუღლებით ჭეშმარიტების შიდაარსს იძენს.<sup>17</sup>

პარადოქსი, მაშასადამე, ის არის, რომ ხელოვნება არ არსებობს ბლოკის გარეშე, რომელიც სუბიექტს ბუნებისგან მიჯნავს: ხელოვნება ისტორიულ სიტუაციაში არ-სებული გაჭირვებების უზუსტესი ცნობიერებაა, რადგან სამეცნიერო თეორიისა და ინდუსტრიული პრაქტიკისაგან განსხვავებით ინდივიდუალურ მასალას თვითორჩენის მიზნით არ ამახინჯებს, მიუხედავად იმისა, რომ მასზე არანაკლებ ძალადობს, რადგან მას აფორმებს. ამავე დროს, ხელოვნებაში გამოხატული სწრაფვა სწორედ ბლოკის გადალახვაა: ადორნოს თანახმად, ხელოვნების ნანარმოვები შერიგების მდგომარეობის წარმატება გამოსახულებაა. ნანარმოვები ობიექტთან ისეთი მიახლობაა, რომელიც წამიერი ფეირვერკივით საზოგადოებრივად დახსნილ მდგომარეობას გამოსახულებად მოავლენს და ამით მას რეალურადაც მოასწავებს. ასეთ გამოსახულებაში კერძო და ზოგადი ელემენტი ერთმანეთს აღარ უჰირისპირდება, არამედ ცალკეული ნაწილები მთელს ისევე თანაბრად შეიცავენ, როგორც მთელი ინდივიდუალურ ელემენტებს მათზე ძალადობის გარეშე გამოხატვის საშუალებას უქმნის. თუმცა, ადორნო არც ამ მხრივ არის ილუზიით შეპრყობილი: ჰეგელის ცნობილ დებულებას ხელოვნების სიკედლის შესახებ ის აკრიტიკებს და მომავალში გადააქცეს. თუ საზოგადოება მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, რომელშიც სუბიექტი-სა და ობიექტის ისტორიულად ჩამოყალიბებული გამიჯვნა, საბოლოოდ ადამიანის თვითდასახიჩრება, მოიხსნება, მაშინ გაქრება ხელოვნების ისეთი საფუძველი, რომელიც მას ბლოკის სახით დღემდე ისტორიულ ეპოქებში ასაზრდოებდა. თუმცა, ესეც როდი ნიშნავს, რომ თავად ხელოვნება უნდა მოკვდეს.

ამდენად, გადამწყვეტია ის საკითხი, თუ რა პირობებშია შესაძლებელი სუბიექტური გონების შეზღუდვებისგან თავის დაღწევა. ის, რომ თავად ხელოვნებას ეს არ ძალას, ტრივიალურია. ადორნოს თანახმადაც, ასეთი ტრანსფორმაცია მთლიანი საზოგადოების ამოცანაა და არა მისი ერთ-ერთი ნაწილის, თუნდაც ისეთის, რომელიც წარმატებული ნანარმოებების შემთხვევაში ასეთი ტრანსფორმაციის საჭიროებას ყველაზე უფრო გამჭოლად გამოხატავს, რადგან ლტოლისებრი აღზნებების მიჩქმალვას ფეხს არ უბამს. ხელოვნება და ესთეტიკური გამოცდილება ადორნოსთვის იმის ნიშანია, რომ ასეთი მიზანი მიღწევადიც არის და მხოლოდ ცარიელი ნატურა არაა. ადორნოს მიერ ლმერთის ონტოლოგიური დასაბუთების სეკულარიზმებულ კონტექსტში გამოყენებაც აქ იჩენს თავს: რომ

17 „შინაარსის“ (*Inhalt*) და „შიდაარსის“ (*Gehalt*) „ესთეტიკური თეორიისთვის“ არსებითი განსხვავება გოტლობ ფრეგეს მიერ ცნების ექსტენსიის (*extensio*) დიფერენციაციით შეიძლება განისაზღვროს; პირველი გულისხმობს ცნებით გააზრებულ ყველა შესაძლო ნივთს, მეორე კი ცნებით გააზრებულ ნიშანია ერთობლიობას. ხელოვნებისთვის ამის მაგალითი შეძლება იყოს, რომ არასაგნობრივ ასტრატეგულ ფერწერას შინაარსი, მასში წარმოდგენლი ნივთების ერთობლიობა, შეიძლება არც ჰქონდეს. თუ წერტილებს, ხაზებს და ზოლებს ასეთებად არ ჩავთვლით – ადორნო მათ მისალებს მიაკუთვნებს –, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს შიდაარსი, მისით გააზრებულ ნიშანთა ერთობლიობა, მაგალითდ ვოლსის აბსტრაქტულ გრაფიკებში – სიცარიელის გამოცდილება. პირიქით, ნახატს შეიძლება ჰქონდეს შინაარსი, რამე სიუჟეტი, მაგრამ არ ჰქონდეს ის, რასაც ადორნო ჭეშმარიტების შიდაარსს უწოდებს: არ შეიცავდეს საზოგადოებრივ ჭეშმარიტებას, არ იყოს, ამდენად, აქტუალური და, ადორნოს თანახმად, არც ხელოვნების ნანარმოება. ამით ცადი ხდება ისიც, რომ პრობლემურია ტერმინ *Wahrheitsgehalt*-ის ინგლისურად დამკვიდრებულ *truth content*-ად თარგმნა, რადგან ის ხელოვნების ჭეშმარიტების შინაარსს არ ნიშნავს.

## მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

არ არსებობდეს ბუნების ისტორიაში თავად საკუთარი გარდაქმნის პოტენციალი, მაშინ გარდაქმნის გამოსახულებაც – ხელოვნების ნაწარმოებიც – არ იარსებებდა; იმის მსგავსად, როგორც ომერთის როგორც ისეთის ცნება, რომელზე აღმატებულის გააზრებაც შეუძლებელია, უკვე ლმერთის არსებობას შეიცავს. თუმცა, ბუნების ისტორიის გარდაქმნა, ადორნოს თანამად, რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლას ნაიმძღვარებს.

მოულოდნელი არ არის როგორც უადგილო თავილი, ისე, პირიქით, სულსწრაფი აღფრთოვანება, თითქოს ამის შედეგად ადორნოს კრიტიკულ თეორიაში სოციალიზმის აპოლოგია იგულისხმებოდეს. ადორნოს საზოგადოებრივი კრიტიკა არა შრომის გათავისუფლებას სახავს საზოგადოებრივ მიზნად, არამედ საზოგადოების შრომისგან გათავისუფლებას. თანამედროვე საზოგადოების ნაკლად იგი საკუთარ საქონლურ ფორმას განსაზღვრავს, მომ კაპიტალის რეალიზაცია, მოქმედ პირთა კლასობრივი მიუჟთვებულობის მიუხედავად, ინდივიდუალური ტანიერი ლტოლვების კაპიტალის მოძრაობის დინამიკაზე მორგებას ითხოვს. ძალადობის და, საბოლოოდ, კატასტროფის წყაროც, ადორნოს თანამად, ის არის, რომ საზოგადოებრივი უკუგდება ნებისმიერ ინდივიდში, მისი წარმოების პროცესში მდგომარეობის მიუხედავად, ტანჯვას და უბედურებას იწვევს, რადგან შრომის პროცესი, რომელიც რაციონალისტურად კაპიტალის რეალიზაციის ოპტიმიზაციაზეა ორიენტირებული, მასზე ადგატაციას, მაშასადამე, საკუთარი სურვილების რეალიზაციის განუსაზღვრელ გადავადებას ემთხვევა. „აგრესორთან იდენტიფიკაციის“ ასეთ საზოგადოებრივ პროცესს, რომელიც სასიცოცხლო ძალების სიმპტომატური ჩახერგვის შედეგად ძალადობისთვის მზაობას ემთხვევა, ადორნო სოციალური და ფინანსურული ასპექტითაც აანალიზებს.<sup>18</sup> სოციალიზმის მოთხოვნა არსებითად მცდარია. და ის მცდარია კაპიტალიზმზე უფრო მეტად, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის კანონის უზრნაესობის სამართლებრივ პრინციპთან საზოგადოებრივი შეულებების შედეგად. სოციალიზმი მიზნად ისახავს არა შრომის ღირებულებით ფორმის გაუქმებას, არამედ მხოლოდ შრომის საზოგადოებრივ მართვას, რის აგენტადაც პოლიტიკური ინსტიტუციები, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი დაწესებულებები ცხადდება. გეგმიური ეკონომიკა კი კოლექტივისტურ ჩაგვრას ემთხვევა, რადგან, ინდივიდუალური ადამიანების თვითგამოხატვის უფლებების დაცვის ნაცვლად, შრომის აუცილებლობის შენარჩუნების პირობებში, კოლექტივის დეკლარირებული მიზნები ინდივიდისაზე უმაღლესად უნდა იქცნენ. მოთხოვნა ადორნოსთან სიმდიდრის სამართლანი დისტრიბუციი არ არის, არამედ სიმდიდრის სოციალური ცნების რეალური საზოგადოებრივი გაუქმება.

სიმდიდრის ცნება – ადორნო მარქსის საქონლური ფორმის ანალიზსა და ღირებულების შრომის თეორიას ეყრდნობა – იმით არის განპირობებული, რომ შრომის საზომად მისთვის საზოგადოებრივად დახარჯული დრო განისაზღვრება. ღირებულების საფუძველი, ადორნოს განმარტებითაც, სუბიექტური შეფასება არ არის. სუბიექტური ღირებულებითი შეფასებები შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ღირებულების სოციალური კატეგორია არსებობს. მისი ობიექტური მნიშვნელობა იმას ეყრდნობა, რომ პროდუქტების წარმოება საზოგადოებრივი შრომის პროცესს ითხოვს, რომელიც მასში მონაწილე თითოეულის სიცოცხლის დროის ხარჯვას გულისხმობს. თუ

18 იხ. Theodor W. Adorno, „Zum Verhältnis von Soziologie und Psychologie“, in: Gesammelte Schriften, ტ. 8, Soziologische Schriften I, გვ. 42-85.

რა ღირებულება აქვს რაოდენობრივად კონკრეტული ინდივიდუალური შრომისთვის გაღებულ დროს სხვადასხვა დარგში, განსაზღვრებადი ხდება ნივთების არსებული ლირებულებითი ფორმის ძალით. ეს ფორმა სხვადასხვაგვარ შრომებს შორის თანაზომიერების დაფენის და მათი ზოგადი სოციალური შრომის დროს ფლუქტურებადი სტანდარტის მიხედვით ურთიერთმიმართ გაზიარდის საშუალებას იძლევა. მაიდენტიფიცირებელი აზროვნება ლირებულებითი ფორმის ჩამოყალიბების იგივეობრივია, თუმცა, ასევე, ამ უკანასკნელის ფარგლებს მიღმა გასელის შესაძლებლობის პირობაც, რადგან საკუთარი არარეგლამენტირებული მიმეტური საწყისის აქტუალიზება ძალუძს. ღირებულების ფორმირების პროცესში ცენტრალიზებული, კოლექტივისტური ჩარევა კი იგივე ბარბაროსიაბა, რადგან უგულებელყოფს ლირებულების სარეალიზაციოდ აპსტრაქტული შრომის პროცესში ინდივიდთა მიერ მართლაც გაღებული ინდივიდუალური სიცოცხლის დროს. ამის საპირისპიროდ, სოციალიზმი ასეთ ინდივიდუალურ მსხვერპლს, კაპიტალიზმისგან განსხვავებით, კერძო გამომუშავებული ლირებულებით ანაზღაურების მიღმაც ითხოვს, რადგან სიმდიდრის იძულებით რედისტრაბუციას ესწრაფვის, რაც ტოტალიტარული დამორჩილების საწყისა. გამაიგივებელი აზროვნება, რომელიც გონების პროგრესის საფუძველია – თუმცა იმავდროულად, თუ მისი რეფლექსია არ მოხდა, სოციალურ და ფსიქოლოგიურ რეგრესს ხელს უწყობს –, უნდა გამოყენებულ იქნეს იმისთვის, რომ, საბოლოოდ, ინდივიდუალური სიცოცხლის დროის ლირებულების საზოგადოებრივ წყაროდ ყოფინის აუცილებლობა გაუქმდეს. სოციალური თვალსაზრისით, ადამიანები იტანჯებიან, რადგან მათ შრომა უწევთ, რომელიც იმავდროულად მხატვრული შემოქმედების იგივეობრივი არ არის, თუმცა ხელოვნებაც შრომას ეყრდნობა: შრომა უცხო სოციალური იმპერატივით, ბაზრით, განსაზღვრული აქტივობაა, მიუხედავად იმისა, რომ ის, მოქმედი კაპიტალისტური ჩარჩოს პირობებში, ინდივიდის გამდიდრების საშუალებას და პრობლემების გადაწყვეტის ინოვაციურ ხერხებს შეიძლება იძლეოდეს. უმდიდრესი ადამიანიც შრომის და კაპიტალის მოძრაობით გამოწვეული უკუგდების საზოგადოებრივ იმპერატივს ემორჩილება. ცხადია, რომ დღეს საზოგადოება შორსაა ისეთი მდგომარეობიდან, რომელშიც ყველას თანაბრად საკუთარი სიცოცხლის დროის, კონტრაქტუალურ საფუძველზე მანც და არა უშუალო ძალადობის შედეგად, ხარჯვის საზოგადოებრივად გარანტირებული საშუალება ექნებოდა.

ამდენად, ადორნოს სოციალური კრიტიკა ეთიკურ მაქსიმალიზმს ემხრობა, მაგრამ არანაკლებ უსათუოდ აკრიტიკებს გადაჭარბებულ უტოპიზმს. ასეთია, მაგალითად, ხმირი მოთხოვნა დედამიწაზე კლიმატური პირობების შეცვლის შედეგად საგანგაშო მდგომარეობის ნარმოსახვით, ეტატისტური ინტერვენციონიზმის გამართლება. ის ეკონომიკურად უნივერსალურ ტარიფებში ან ინდუსტრიული სექტორების ნაციონალიზაციაში გამოიხატება, პოლიტიკურად კი ისეთი სახელმწიფოებისთვის, გლობალური რეგულაციების სახელით, ნაციონალური სუვერენობის შეზღუდვის მოთხოვნაში, რომლებიც მნარმობლური ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული კაპიტალიზმის პრიმატს იცავენ.<sup>19</sup> თუ რამდენად საგანგაშოა კლიმატური პირობების ცვლა პლანეტაზე, კლიმატის შემსწავლელი მეცნიერების საკითხია. ცხადი ის არის, რომ სახელმწიფოებრივი რეგულაციის უზენაესობა ისეთი პრინცი-

19 ob. Devi Dumbadze, „Der Klimawandel des Holocaust. Der Untergang Israels in Timothy Snyders ‘Black Earth’“, in: Bahamas, 73, 2016, gg. 64-68.

## მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

პის აბსტრაქტულ წევაციას ემთხვევა, რომლის მიხედვით ინდივიდუალური შრომა, კანონიერების დაცვით, ღირებულების შრომის თეორიის თანახმად, იმდენად ფასდება, რამდენადაც შრომის ბაზარზე ეფექტიანია, და არა ზემოდან, სახელმწიფოებრივი დირექტივების მიხედვით. რადგან კაპიტალიზმის ფარგლებში ემპირიული კაპიტალების სიმრავლის შეუზღუდავი კონკურენციის პირობებში ღირებულების გამომუშავება ეფექტიანობის ზრდას ეფუძნება, პროდუქტიულობის გაუმჯობესება კი რეალური პრობლემების კონკურენტებზე უკეთ გადაჭრას, უფრო მაღალია იმის შანსიც, რომ კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები სწორედ საწარმოო პროცედურების დახვეწით და არა ბიუროკრატიულ-ტექნოკრატიული რეგულაციებით შეიძლება მოუხალოვდეს გადაწყვეტას. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული განგაპის ზარის შემოკვრა ვერ ამართლებს ნაციონალური სუვერენობის მიერ სამართლებრივი პრინციპების დაცვით მოგრძელებული ბარბარისაბასევნ უკუსვლას. პირიქით, მანამ, სანამ შრომის რეალობა საზოგადოებრივად აუცილებელი რჩება, სწორედ შრომისა და წარმოების წარმოებადობის ზრდის პირობების შენარჩუნებას უნდა შეეწყოს ხელი. ფუნდამენტურად კი მანამ, სანამ უკანასკნელი ადამიანიც კი საკუთარი სიცოცხლის მინიმალურ დროს მაინც ხარჯავს გაუცხოებულ შრომაზე, რაც ღირებულების ფორმის საზოგადოებრივი წყაროა, საზოგადოებაში ტანჯვა იარსებებს. საზოგადოების განვითარების მიზანი ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება უნდა იყოს, სადაც შრომა ადამიანების მიერ კი აღარ ხორციელდება, არამედ, პირიქით, მთლიანი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, საგარაუდოდ, კომპლექსური ავტომატიზაციის შედეგად, თითოეულის ინდივიდუალურ მოთხოვნილებას ექვემდებარება. საბოლოო მიზანი – ეს არის ეთიკური მაქსიმალიზმის შინაარსი – საერთოდ ტანჯვის მოსპობა უნდა იყოს, რაც სხეულებრივი დასწულებების და დაზიანებადობის მოხსნის, დაპოლოს, სიკედილის გაუქმების იგივეობრივია. მანამ, სანამ ადამიანთა არსებობის დრო შეზღუდულია, ყოველთვის იარსებებს სხვათა ექსპლოატაციის საზოგადოებრივი შესაძლებლობა, თუნდაც კონტრაქტუალურად გაშუალებული ფორმით, მაშასადამე, ტანობრივი უკუგდების წყაროც, რადგან ინდივიდს შეზღუდულ დროში ზოგიერთი სურვილის განუხორციელებლად დატოვება, უსიამოვნების განცდა, უწევს. რაც არ უნდა არასაალბათოდ ჟღერდეს სიკედილის გაუქმების ტელოსი, ისაა ორიენტირი, რომელიც საზოგადოებაში ტრანზომრმაციებს უნდა განაპირობებდეს. შრომის დიეტატორული საზოგადოებრივი მართვა კი ვერ იქნება ასეთი მდგომარეობის მიღწევისთვის აუცილებლის სახით ნავარაუდები საფასური. ასეთი მართვა საზოგადოებრივი ტანჯვის მოხსნის მიზნით ასეთი ტანჯვის, თუნდაც თითქოს დროში შეზღუდულ, გაძლიერებას გაამართლებდა.

მიღწევადია თუ არა ეს მიზანი პრაქტიკულად და როგორ, დღეს განსაზღვრებადი არ არის. კაცობრიობას უფრო ისეთი პირი უჩანს, თითქოს ის კვლავაც ბარბაროსულ უგუნურებაში ჩაძირებისკენ იხრება, ვიდრე გეზს ყველას სიცოცხლეში ტანჯვის შემცირებაზე იღებდეს. ცხადია ისიც, რომ ადორნო არც ისეთი მიამიტა, რომ ასეთი მიზნის მიღწევას ტექნოკრატიულ გარდაქმნებს ანდობდეს. ესთეტიკური თეორიის ერთ-ერთი წვდომა ისაა, რომ ტექნოლოგია ისევე, როგორც თავად ხელოვნების ტექნიკები, საზოგადოებრივი ურთიერთობებისგან დამოუკიდებლად არ არსებობენ, არამედ მათით განპირობებული არიან; ტექნიკები მათი განსაზღვრული უარყოფისკენ ილტვიან. საზოგადოებაში უსაშინლესის პოტენციალი ცოცხალია, აუცილებელი სწორედ ასეთი ურთიერთობების ანტიბარბაროსული გარდაქმნაა, ან

მათი იმ სახით მაინც შენარჩუნება, რომ ბარბაროსობას, ინდივიდის კოლექტივის მიერ დაკინებას, საზოგადოებრივად წინააღმდეგობა გაეწიოს.

ხელოვნება, ადორნოს თანახმად, ასეთი დახსნილი მდგომარეობის ნეგატიურ გამოსახულებას ქმნის. დადებითი უტოპია ბიბლიურ კერძთა მსხვრევის მაქსიმას ემორჩილება: ხელოვნება ისევე, როგორც ფილოსოფია, სრულიად კომპრომიტირებული ხდება, როგორც კი უტოპიის დადებითი სურათის ხატვას იწყებს და ამით იმას, რაც ისტორიულია და თავად ბუნების ისტორიის ანარეკლია, თუნდაც უარყოფილის ნიშნით, ზედროით იდგალად ამაღლებს. ხელოვნებაში ჭეშმარიტების მიდაარსი გარანტირებული სულაც არ არის, თუმცა, ადორნოს თანახმად, იმგვარ, ერთი შეხედვით, უპრალო გამოცდილებაშიც შეიძლება გამოიხატოს, როგორიც ბაგშვობისდროინდელი ბედნიერების მომასახავებელი სცენის უნებლივ წამიერი მოგონებაა. ჭეშმარიტებას ხელოვნების ნანარმოებები მაშინ შეიცავენ, როცა შერიგების გამოსახულებაში *apparition*-ად, თითქოს ელვისებრ ზეციურ მოვლენად, იქცევიან, როგორც ადორნო ხელოვნების ნანარმოებების მოვლენას პოლ ვალერის ცნებაზე დაყრნობით აღწერს. ასეთი მოვლენა კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ხელოვნების ნანარმოებები საქონლური საზოგადოების კულტურის ინდუსტრიის ნანარმების ფორმებს არ ერწყმიან. ადორნოს თანახმად, ნარსულის ხელოვნებას სწორედ ხელოვნების ანტყო სიტუაციიდან ეფინება ნათელი და არა პირიქით; ამიტომ მოსდევს 1970 წელს, უკვე ადორნოს სიკვდილის შემდეგ, გამოქვეყნებული „ესთეტიკური თეორიის“ შესავალს თანამდერმოვე „სიტუაციის“ შესახებ თავი. მოდერნული ხელოვნება ხელოვნების ავტონომიურობის სრულ ცნობიერებას აღწევს, რომელიც სწორედ საქონლური საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება, რადგან კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში ხელოვანთა მიმართ არათუ დაკვეთა, არამედ უფრო განკარგულება ან ბრძანება ბატონობდა, ხოლო ხელოვნება ფუნქციონალურად მეტილად გარეშე ინსტიტუციებს ემსახურებოდა: მაგას, რელიგიას, გართობას, განათლებას თუ პოლიტიკას. ხელოვნების ავტონომიური ელემენტი, ნანარმოებში მხოლოდ საკუთარი ფორმის კანონის რეალიზაცია, ნანარმოების საზოგადოებრივი ფუნქციის მტკიდრო ჩარჩოში თუ ხორციელდებოდა. დღეს კულტურის ინდუსტრია უკვე არა მხოლოდ ზემოდან ან კორპორაციების ცენტრიდან, როგორც მეოცე საუკუნეში, არამედ, ასევე, დეცენტრალიზებურად, კერძო მომხმარებელთა მიერ, დიგიტალური ტექნოლოგიების მასობრივად სტანდარტიზებული გამოყენების საშუალებით რეპროდუცირდება. თუმცა, უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ცხადი იყო როგორც კულტურის ინდუსტრიის მიერ ხელოვნების ფორმების უმაღ ათვისების ტენდენცია, ისე, თავის მხრივ, ხელოვნების საერთოდ რეალიზაციისთვის საქონლური ფორმის გათავისების ტენდენცია. ადორნოსთან ახალი, როგორც ცარიელი კატეგორია, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის „მეტი“<sup>20</sup>, რომელსაც მან წიგნის ერთ-ერთ მონაკვეთი მოუძღვნა. ხელოვნებაში შეტი მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა ნანარმოები იმის გამოსახულებას ნარმოაჩენს, რაც არსებულზე აღმატებულია, მაბასადამე, არარსებულის ისეთი გამოსახულებაა, თითქოს ის უკვე არსებობდეს – ჭეშმარიტად ახალიც მხოლოდ ეს იქნებოდა.

თუმცა, არც ახალის, არც მეტის გამოხატვა შესაძლებელი არ არის, თუ ნანარმოები საკუთარ ფორმალურ კანონს ვერ აღწევს. ასეთი ინდივიდუალური ფორმალური

20 იხ. მონაკვეთი „მეტის“ შესახებ, „ესთეტიკური თეორია“, წინამდებარე გამოცემა, გვ. 101 და შმდ.

## მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

კანონი კულტურის ინდუსტრიული დარგების მიერ გამოყენებულ ესთეტიკურ ხერხებს არ იმეორებს. ეს კრიტერიუმი ხელოვნების ნაარმოებებს როგორც უკიდურესი ექსპრესიულობისკენ, ისე უკიდურესი ინტელექტუალიზმისკენ უბიძგებენ. ექსპრესიულობა მიმეტური იმპულსის რეფლექსია. მიმეტური იმპულსი თანამედროვე საზოგადოებაში რეგლამენტირებულია, რადგან ინდივიდში იმის მიბაჭვა, რაც თავად მისი საკუთარი ბუნებრივი სურვილია, ტაბუირებულია, მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე, ლიბერალურ საზოგადოებში, თითქოს ყველაფერი დაშვებულია. სექსუალობაც ვერ რეალიზდება, თუ მას საზოგადოებრივ მოთხოვნებზე ადაპტაცია უწევს, თუნდაც ეს ეგრეთ წოდებული ემანსიპირებული სექსუალობის მოთხოვნები იყოს. ხელოვნება ასეთ ადაპტაციას აცნობიერებს და საკუთარ გამოხატულებას ისეთი ცნობიერების საშუალებით აფორმებს, რომ იმას გამოხატავს, რაც ჯერ რეალიზებული არ არის; არ მოგვმეჩენებს, თითქოს, ყველაფერი მართლაც დაშვებული იყოს. ექსპრესია, ადორნოს თანახმად, ხელოვნებაში ბუნების მშვენიერთან კავშირია. ბუნების მშვენიერის ესთეტიკიდან განდევნის საწყის იგი, მისთვის რელევანტური ტრადიციის კვალობაზე, უკვე ფრიდრიხი იოზეფ შელინგთან აფიქსირებს. ბუნების მშვენიერის დასაბუთება, სავარაუდოდ, ყველაზე თვალსაჩინოდ მიჯნავს ადორნოს ესთეტიკურ თეორიას ხელოვნების სხვა თანამედროვე თეორიებისგან. ბუნებაში მშვენიერი, რომელსაც მოარული ცნობიერება და ესთეტიკა დღეს მხოლოდ კიტჩად თუ განიხილავს, შერიგების მომასწავებელ უნებლივ გამოსახულებებში ალიქმება, თუმცა გამოსახულებები თავად შერიგება არ არის. ბუნების მშვენიერის განცდის უნარი, ადორნოს თანახმად, ინდივიდის განუყოფელი ნანილია იმდენად, რამდენადც ადამიანები, როგორც ტანიერად ინდივიდუალური არსებანი, საკუთარ ტრანბრივ გამოცდილებაშიც, უკუგდების პირობებში, თუნდაც არაცნობიერად, სწორედ შერიგების არარსებობას მისტირიან. ამავე დროს, მშვენიერი ბუნებაში ნარმავალია: სწორედ საგონბრივი არ არის, არამედ ნამიერი გამოცდილებაა; თავად გამოსახულებაა. ხელოვნება, ადორნოს ზუსტი განსაზღვრებით, ისეთი ესთეტიკური გამოცდილებაა, რომელიც არა ბუნების, არამედ ბუნების მშვენიერის მიბაძვას ესნრაფვის.<sup>21</sup> ამისთვის მას, საკუთარი ექსპრესიულ-მიმეტური ელემენტის სარეალიზაციოდ, კონსტრუქციულობის პრიმატით ხელმძღვანელობა ესაჭიროება. გამოხატულება, ადორნოს თანახმად, ინდივიდუალური ხელოვანის ფსიქიკურ ცხოვრებას არ გამოხატავს, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის ფსიქოლოგიური საუნჯე ნაარმოებში გარდაუვალად ილექტა, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები სარისხით, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხელოვნების ფსიქოლოგიზე დამყვან თეორიებში მიიჩნევა, მაგალითად, ფსიქოანალიზმი. გამოხატულება მაშინ არის ნარმატებული, როცა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ტანჯვეს პირობებს ეზიარება და, ამდენად, ინდივიდუალურ ნანარმში ზოგადი გამოცდილება ილექტა. ეს არის ის არაცნობიერი, განუზრახველი ძალა, რომელიც მხატვრის ხელს, კომპოზიტორის სმენას, მწერლის სიტყვას ლტოლვის სახით ამოძრავებს, რადგან ინდივიდუალური ტანჯვა საზოგადოებრივად გაშუალებულია. თუმცა ის, რომ ასეთი მოძრაობა ფორმად იკვრება, მხოლოდ კონსტრუქციის ამოქმედებით მიიღწევა. ის კომპოზიტორის ცნებას ენათესავება. კონსტრუქცია, გამონვლილვითი ფორმშესხმა – ხელოვნებისეული რაციონალობის ელემენტი – უბრალოდ მიმეზისის ანტიპოდი კი არ არის, არამედ მისი აუცილებელი შემადგენელი ნანილია. შეზღუდული მიმეზისი სოციალური რეგლამენ-

21 იხ. იქვე, გვ. 93.

ტის ჩამომორებას მხოლოდ იმის საშუალებით ახერხდს, რომ ისეთ ფორმასა აკონტაციურობს, რომელიც რეგლამენტირებული გამოცდილების სქემებს არ ეთანადება. ამიტომ, აღორძოს თანახმად, ძირული ცნება, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას განსაზღვრავს, დისონანსია. წებიმეტერი ხელოვნების ნანრმოები, ტრადიციულთა და არქაულთა ჩათვლით, არსებითად დისონანსურია. განსაკუთრებით კი ეს ასეა თანამედროვე ვითარებაში, როცა ყალბი ჰარმონია, ადორნოს მიხედვით, მთელ კულტურას „მსგავსებით ამარცებს“.<sup>22</sup> დისონანსი, ამავე დროს, კარდინალურად განსხვავდება ისეთი ცარიელი ცნებებისგან, როგორიცაა დიფერანსი უკა დერდასთან ან დიფერენცია უილ დელიოზზა თუ სხვა პოსტ-ესთეტიკოსებთან. დიფერენცია ისეთი შემთხვევითობის პრინციპის იდეალიზაციაა, რომელიც თავად კაპიტალის მოძრაობას ახასიათებს; სიკედლოსკენ ლტოლვის გამოხატულებაა, რადგან იმს ერგება, რაც ისედაც უკვე არსებობს: კაპიტალით განსაზღვრულ საზოგადოებას. დისონანსი, საპირისპიროდ, გამოხატულების ინდივიდუალურ კონსტრუქციაში რეალიზაციაა, რომელიც არსებულის მიღმა გასვლას ახერხებს.

ამდენად, შშვენიერის კატეგორია თანამედროვე ხელოვნებაში უშნოს ითხოვს, რადგან შშვენიერი მასში დისონანსის გარეშე ტყუილად იქცა. ჰარმონია, ჰომეოსტაზი, სიმეტრია, მათემატიკური პროპორციები, იდეალური ფორმა – ყველა ის ცნება, რომელიც ისტორიულად წარსულში შშვენიერის ცნებასთან ასოცირდებოდა როგორც მისი დამფუძნებელი უიმედოდ დაკარგულია. შშვენიერის ცნება დღეს თავად ისეთ ტყუილს თუ დაეყრდნობოდა, თითქოს საზოგადოებაში, ის-ტორიაში გონება ბატონობდეს. ადორნოს თანახმად, საზოგადოება უარყოფითი ტომტალობაა, კაპიტალის მოძრაობის ჯერაც არაგონიერი გონიერებით მართული. გონიერების რეალიზაციას ადორნოსთვის მხოლოდ ესთეტიკური გამოცდილება და თეორია თუ მოასწავებს და ამას სწორედ გონიერების ფორმების მოხსნის და არა მათი განადგურების საშუალებით აღწევს. უშნო დღეს უფრო ჭეშმარიტია ვიღრე შშვენიერი, რადგან თავად საზოგადოებრივი რეალობა მახინჯა უფროა. მასში უკუგდება, ძალადობის მთვლემარე პოტენციალი და დროდადრო გამანადგურებლად განხორციელებული აქტუალობა ბატონობს. თუმცა, დესტრუქციული არა კაპიტალიზმი როგორც სოციალური ურთიერთობაა, არამედ, კაპიტალიზმის შეზღუდვების გამო საკუთარი უარყოფითი მოხსნის, უშუალო ძალადობრივ ბატონობაზე გადასვლის რეგრესული სურვილი. კაპიტალი საკუთარი თავის საზოგადოებრივი მოხსნისკენ საზოგადოებრივი ორიენტაციის საშუალებას შეიცავს. სწორედ ასეთი შესაძლებლობის უარყოფა კი ესთეტიკაში უშნოს ჰოყოფას იძლევა – სიკვდილისკენ ლტოლვის გამარჯვებას. ამას ადორნო „ესთეტიკურ თეორიაში“ მშვენიერისა და უშნოს შესახებ მონაკვეთში აღწერს:<sup>23</sup> უშნოს ჰოყოფა დაუშვებულია, რადგან სწორედ ეს იქნებოდა დაუკავშირებელი იმპულსების წყვეტად ქაოსში, მაშასადამე, არაარტიკულირებულ ბუნებაში დაბრუნება, საბოლოოდ, სიკვდილის იგივეობრივი. თუ ადორნო „ახალ მუსიკაში“, ვენის მეორე სკოლის წარმომადგენელ არნოლდ შიონბერგთან, ანტონ ვებერნთან, ალბან ბერგთან, გამოხატულების ის-ტორიულად ადეკვატურ ფორმულად მუსიკალურ დისინანსს მიიჩნევს, რომელიც შიონბერგის მიერ შემოლებულ დოდეკაზონიურ პრინციპში გამოიკვეთ და რომლის

22 იბ. ადორნო და ჰორკჰემერი, განმანათლებლობის ფიალეტიკა, გვ. 175.

23 იხ. „უშნოს შესახებ“, „ისთეტიკური თეორია“, წინამდებარე გამოცემა, გვ. 63-69.

## მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა

მიხედვითაც კომპოზიცია თორმეტი ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ბგერის სერიული გამეორებით იმართებოდა, ეს იმით არის განპირობებული, რომ ასეთი ატონალური კომპოზიციის წესები – კლასიკური ტონალობის ფორმების მიხდვით, უშნოები – წარმატებული ნაწარმოებების შემთხვევაში კომპონირებულობის უმაღლეს ხარისხს ამჟღავნებენ და ფორმის გამოწვლილვით ჩამოყალიბებით სწორედ „მეტს“ აღნევენ. დისონანსურია ასევე სემუელ ბეკეტის „მოლოის“ ენა – ადორნო „ესთეტიკური თეორიის“ სწორედ ბეკეტისთვის მიძღვნას გეგმავდა –, რადგან მთავარი გმირის გაბნეული ნარატიული ფოკუსის სტოქასტიკურ ხტომაში არა იმდენად ცნობიერების ნაკადი, რამდენადაც ცნობიერი ნაკადის საზოგადოებრივად გაპირობებული ლინგვისტური შეუძლებლობა გამოხატულებას პოულობს. დისონანსურია ვოლსის მხატვრობაც, განსაკუთრებით ომის შემდგომი პერიოდის გრავიურები, სიურრეალიზმის მიერ უშნოს ათვისების შედეგად წარმოქმნილები, რამდენადაც ომამდელი სიურრეალიზმი არაცნობიერი ფორმების განდიდებას ეფუძნებოდა. თუმცა, ზუსტად ისევე, როგორც არმილ გორგის სიურრეალისტური ექსპრესიონიზმი, ვოლსის ნახატებიც არაცნობიერის გააბსოლუტების შეუძლებლობის მოწმობებია, რადგან როგორც ვოლსთან, ისე გორგისთან არაცნობიერი აღგზნებები დარღვეული ლიბიდოს ძალად მოწესრიგდება და აბსტრაქციონიზმის საშუალებით თითქოს უკვალოდ განადგურებული კომპოზიციის აღდგენას ემსახურება. ვოლსთან ისინი მინიატურული კლაკინლების და განასერების ფსევდოფიზიოგნომიურ ფორმაციებს იძლევა, გორგისთან – თხელი ფერის ველების და წყვეტადი გრაფიკული ხაზების არა საგნობრივ-სილრმისეულ, არამედ ჰორიზონტალურ-სიბრტყისეულ ურთიერთკავშირებს. მხოლოდ კონსონანსური ფორმა სიცრუეა, მისი აბსტრაქტული უარყოფა – უბრალოდ უფორმობა. დისონანსი კი ხრწინისენ ლტოლვის გარდასასვაა ყოველგვარი ფანდების გარეშე, ესთეტიკური მოწვენების ხსნაა იქ, სადაც ილუზია კულტურის ფუნქციონალურმა ფორმებმა საკუთარი სავარაუდო ერთმნიშვნელოვანი ‘გზავნილით’ გააქარწყოლეს.

ესთეტიკური ილუზია ხსნის გამოსახულების ფაქტი საფარია. ესთეტიკური მოჩენების მისაღწევად, ადორნოს თანახმად, დღეს ხელოვნებას სხვა აღარავერი რჩება, თუ არა უკომპრომისოდ უშნოს, ძალადობის, ისე აღიარება, რომ მისი კიტჩად განდიდება არ მოხდეს. ინდივიდუალური წარმოები არა რაღაცის მიბაძვა, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის იმიტაციაა. ნაწარმოების თოთოეული ახალი წახნაგი, ნაკვთი, საკუთარი ინდივიდუალური ფორმის კანონით წინამორბედის შეუზღუდავი მიბაძვა და, ამასთან, ახლებური ინტერპრეტაციაა. თუ ხელოვნების წარმოები ასეთი ფორმალური კანონის უზენაშესიბას თმობს, ის იმთავითვე მკვდარია; მდარე ხელოვნების წარმოებები ხელოვნების წარმოებები არ არიან. ამდენად, ფუჭია ადორნოს ესთეტიკური თეორიისგან მხატვრული წარმატების რეცეპტების მოლოდინიც. თუმცა, მატერიალური ანალიზის წიმუშები, რომლებიც „ესთეტიკურ თეორიას“ უკვე წაიმძლვარებენ, მასში კი იშვიათად გვხვდებიან – ასეთი ანალიზებია, მაგალითად, ნაშრომები „ჩანაწერები ლიტერატურაზე“, „ახალი მუსიკის ფილოსოფია“ და ესსეები მუსიკაზე –, თითოეულ ხელოვნების წარმოების ჭეშმარიტების შედარისის კრიტიკას შეიცავენ. ჭეშმარიტება წარმომებში საზოგადოების ვითარებასთან ზიარებით აღნევს. ხელოვნება თავისუფლების უკიდურესი გამოხატულებაა, რადგან ადამიანური საზოგადოება, ინდივიდთაგან შემდგარი, თითოეულ ინდივიდში საკუთარი სურვილების სრულ რეალიზაციას ესწრაფვის, რასაც საზოგადოება ჯერ

კიდევ კრძალავს. ამის მატერიალიზებური გამოსახულებაა ხელოვნების ნაწარმოები, რომლის რეალიზაციაც, რაც საკუთარი ფორმის კანონის მიღწევას ეყრდნობა, თავის მხრივ, არანინასწარმეტყველებადია. ტექნოლოგია, თვით მონინავე ხელოვნური ინტელექტის ჩათვლით, ყოველთვის წესების იტერაციას ეფუძნება, იმის, რაც უკვე არსებობს. ახალი კი ის მეტა, რომელიც ჯერ არ არსებობს, ის, რაც ადამიანთა წარმოსახვის უნარის საშუალებით უნებლიერ ბუნების შერიგებულ მდგომარეობას იხსენებს და მას გამოხატულებას ანიჭებს. ადორნოს თანახმად, თვით ეგზისტენციალური მელანქოლია არ იარსებებდა, ბედნიერება აბიექტურად შეუძლებელი რომ ყოფილიყო, რადგან მელანქოლია სწორედ ბედნიერებას დასტირის, იცის რა მის შესახებ.<sup>24</sup> თუმცა, საზოგადოებრივი ბედნიერების აბსტრაქტული უარყოფით მიღწევა შეუძლებელია, ადამიანთა გადაწყვეტილებებს და კაცობრიობის ისტორიულ პროცესში ცვლილებებს ითხოვს. ურთულესია პრობლემა, რომელსაც ადორნოს ესთეტიკურ თეორია აღნერს, ის არის, არის თუ არა ბუნების და, შესაბამისად, ხელოვნების მიერ ხსნის დაპირება აღსრულებადი. ადორნო ამას უწოდებს ხელოვნების გამოცანას.<sup>25</sup> ხელოვნება ყოველთვის კითხვით ფორმით გვევლინება, რადგან თუ ხსნას ასერტორულად მიღწეულად მოგვაჩვენებს, ტყუის. მაგრამ, თუ ხელოვნება ხსნას არც გამოხატავს, ის უბრალოდ ემპირიული რეალობის გამეორებაა და ხელოვნებად ყოფნას წყვეტს. აღსრულდება თუ არა ბუნების შერიგების დაპირება, ეს არის ხელოვნების გამოცანა. ადორნოს ესთეტიკური თეორია არც უტოპის გარანტია იძლევა და არც არსებულთან იდგნებიფიკის, საბოლოოდ, სიკვდილის ლტოლვის ჰომოფია. მისი მცდელობაა ხელოვნება და, ასევე, მშვენიერი ბუნებაში იმად ნირმოაჩინოს, რადაც მათ ესთეტიკასა თუ საზოგადოებაში იშვიათად თუ აღიქვამენ: საზოგადოებრივი შერიგების გამოსახულებად, რომლის შესაძლებლობაც თავად ბუნებაში უნდა თვლემდეს, რადგან მის გარეშე საერთოდ თვით ცნობიერებაც, საკუთარი ესთეტიკური საწყისით, არ იარსებებდა.

ნიგნის თარგმანს ვუძღვნი დედას, რუსუდან ასათიანს.

დევი დუმბაძე

<sup>24</sup> იბ. Theodor W. Adorno, Kierkegaard. Konstruktion des Ästhetischen, in: Gesammelte Schriften, ტ. 2, გვ. 195-198.

<sup>25</sup> იბ. „გამოცანის ხასიათი“, „ესთეტიკური თეორია“, წინამდებარე გამოცემა, გვ. 148-159.

მაქს ჰორგვაიმერი და თეოდორ ვ. ალორნი –  
განვითარებულ კიბელის დიალექტისა. ფილოსოფიური ფრაგ-  
მენტები

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ୍ ଅଧିକାରୀ  
ପ୍ରକାଶନ କମିଶନ୍ ଅଧିକାରୀ


რომათ. ნიგბში მოცემულია თანამედროვე საზოგადოების ძირისული კრიტიკა. ცივილიზაციის განვითარების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია მთოსიდან განმანათლებლობის წარმოშობა და განმანათლებლობის მითოსისკენ შემობრუნება. ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე სუბიექტის, მისი „თვითის“, ფორმირების ფილოსოფიურ თავდაპირველ ისტორიას და განიხილავს ზენობრიობისა, და უზნეობის თანხევდრას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ წყვიწი განხილულია კულტურის იდეუსტრიის მეშვეობით ადამიანთა მასობრივი მოტივულის მექანიზმები. ასევე, გაანალიზებულია განმანათლებლობის საზღვრები, რომელსაც, ნაციონალსცალიზმი განხორციელებული კატასტროფის შედეგად, ანტი-სემიტიზმის ელემენტები წარმოადგენდნ.

პირველ ქართულ თარგმანს თან ახლავს დევი დუმბაძის „ნაკუვევი იმის ახსნის მცდელობით, თუ რა-ტომ რჩება, „განმანათლებლობის დააღლებტიყა“ დღესაც აქტუალური.

ვალტერ ბენამინა –  
ხელოვნების ნაწარმოები მისი  
ტექნიკური რეართილურებაზოგის ეპოქაში

მესტიურის ცხებას მასახებ  
მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ებრაული წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტურის მკლევრის, ვალტერ შენაიმინის (1892-1940), ორ უმნიშვნელოვნების ნაშრომს: »ხელოვნების ნანარმები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში« (1935-1936) და »ისტორიის ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნანარმოების »აურის« დაკარგვის ასხანა გვთავაზობს და ამ მოვლენას ტექნიკური რეპროდუცირების პირობებით განსაზღვრავს. ამ ტექსტში განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა 1960-იან წლებში და ის ფაქტურის გადა იქცა მიზნობრუნვის ხელოვნება გამოყენებისათვის. არა ფაშისტური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მიზნისათვის მიზნით.



**အေဒီ အျမားပွဲ –**  
ဂိုဏ်ပြန်ခွဲရေး လုပ်ငန်းများအတွက် အေဒီ အျမားပွဲ အသိပေါ်မှု ဖြစ်ပါသည်။

კრიტიკული თეორიის მიზანია, გაანალიზოს იმის პირობები, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს საზოგადოება საუკეთესოსკენ. წარსულში ხ ხმირად კრიტიკული საქმიანობა დაიცვანებოდა შრომის გათავისუფლების მოთხოვნაზე. ადორნოს თანახმად, გათავისუფლება უნდა მოიცავდეს შრომისგან გათავისუფლებასაც, რათა დამყარდეს ისეთი პირობები საზოგადოებაში, რომ ყველამ შეძლოს საუკარი გამოცდილების განვითარება ძალდატანებისა და რეგლამენტის გარეშე. თუ იდეოლოგიამ საგნობრივი ხასიათი მიიღო, მას უპირისპირდება არარეგულარენტირებული გამოცდილების მოთხოვნა, მისთვის ბრძოლა კი ნიშნავს საუკეთესოსკენ სწავლას.

გამოცემას დართული აქვთ თეოდორ ვ. ადორნოს ტექსტი »თეზისები მოთხოვნილების შესახებ«.



## პიერ პაოლო პაზოლინი – ლუთერული ცერილები

პირებ პაზლონის წიგნის »ლუთერული წერილები« (1976) მთავარი თემები გენდერული დისკრიმინაცია საზოგადოებისა და ჰომოფობია, (ახალგაზრდებისა) კრიმინალიტეტი, ოპორტუნიზმი სახელმწიფოს უძალესეს ეშელონებში, ძალაუფლების პოლუსთა ცვალებადობა, ტოტალიტარული თუ რეპრესიული ხელისუფლების ახალი ფორმებით ჩანაცვლება, კონსუმერული ღირებულებების (თუ ანტილიტერაციულ-ბების) დამკვიდრება, ადამიანების როგორც ფისიოლოგიური, ისე ფიზიკური გარდაქმნა. ეს გამოწვევები, რომელთა წინაშეც იტალიის საზოგადოება დაახლოებით 50 წლის წინ იდგა, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურია.

პაზოლინის ჟურნალისტური სტატიების ეს კრებული მეოთხეველს თანაცხდროვე ქართული საზოგადოებს პრობლემების გააზრდასა და ანალიზში დაგენერებს. ის იწერს ერთგვარი რეაქცია 2013 წლის 17 მაისის თბილისის მოვლენებზე, სადაც რამდენიმე ათეული საქართველოს მოქალაქე საჯარო პოლიციური ძალაობის მსხვერპლი გახდა.

გამოცემა თავისი ფორმით და წინარსით ხელს შეუწყობს საქართველოში პლურალისტური და კრი-ტიკული საზოგადოების ჩამოყალიბებას.



9 789941 823947

სა.გა.-ს ნიგენის ქურდი – ქურდი არ არისო!